ამ ნიჭიერი მსახიობის თამაშში არაფერი იყო საერთო სხვა უკვე ნათამაშვე როლებთან. ზედმეტია ჩამოთვლა შტრიხების, ნიუანსების, დეტალებისა, რასაც მსახიობმა ამ ხასიათის გასახსნელად მიაგნო. და თუ მათ შესახებ ვილაპარაკებთ, მხოლოდ იმისათვის, რომ აღვნიშნოთ თუ როგორ აღიქვამდა მაყურებელი ს. ჭიაურელს, როგორც მსახიობს.

„წიგნების სალიამო“



სინაზე, ანთებული თვალები, გრაცია, სიმსუბუქე, მოქმედების უმანეთ ვინაიანთა. მაყურებელმა დაივიწყა რომ მის წინ მსახიობია და მდიდარი ქალაქის ღარიბი კვარტლის მცხოვრები შეყვარებული გოგონას ბედი გაიზიარა. გოგონა კი ბაბთებზე ოცენობდა, რომ თავი მოეწონებია ვანიასისათვის. მაყურებელმა ამ გოგონას სხეულში „ფრინველის გულისცემა“ დაინახა.

რეჟისორ ანზორ ქუთათელაძის მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე დადგმულ ამ სპექტაკლში ძნელია ცალკეულ სცენების გამოყოფა, სადაც მსახიობი თამაშობდეს უკეთესად ან უარესად. იგი როლის ყველა რევისტრში თანაბრად ძლიერია. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მისი მონაწილეობით ყველა ეპიზოდის ემოციური ზემოქმედების ძალა ასევე თანაბარია. ეს დიდად არის დამოკიდებული პარტნიორებზეც და თვითონ პიესაზეც.

და მაინც მინდა აღვნიშნო ფინალური სცენა. გოგონა მარტა პაპასთან ერთად. მთელი მისი სიცოცხლის არსი ვანიასია. ვანიასი დარწმუნებულია, რომ გოგონამ უღალატა ღარიბებს და მისგან წავიდა. გოგონა-სოფიკო ჭიაურელი დაჟინებით გასცქერის სივრცეს, ფართოდ გახედილი თვალები უიმედობის იქით იმედსაც მალავენ, მოდიან ამხანაგები, შგატყობინებენ, რომ ვანიასი დაბრუნდება. „პაპა, მე ვიცეკვებ, დაუკარი ყველაზე მზიარული სიმღერა!“ და გოგონა იწყებს ცეკვას. მის მოძრაობებში გამოჭვივის სინაზე და ბედის მზიარული გამოწვევა, საკუთარი თავის რწმენა, რაც ვანიასის სიყვარულში დარწმუნებამ, მისდამი ჭაბუკის ნდობის აღდგენამ მოუტანა. გოგონა ცეკვავს და გჯერათ, რომ ცხოვრება მისთვის იმ წუთებში მშვენიერია. იგი ცეკვის დროს კვდება და ეს სიკვდილი ლაღი ფრინველის დაღუპვასა ჰგავს.

ხშირად გამოცდილი მსახიობის ფრაზები და შესტი მოკლებულია ინდივიდუალობას. ზოგადი ფრაზები და ზოგადი შესტები მაშინ წარმოიშობიან, როცა მსახიობი სცილდება მოცემულ სახეს. მხედველობაში გვაქვს არა „როლიდან ამოვარდნა“, არამედ, სამწუხაროდ, ჩვენი გაგრეცლებული შემთხვევა, როცა მსახიობი თამაშობს ადამიანს საერთოდ, და არა ინდივიდუალურად. ამას სპექტაკლისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს. სოფიკო ჭიაურელის შესტი და ფრაზა კი იბადებოდა, როგორც მსახიობის მიერ პარას ხასიათის გაზურების ბუნებრივი შედეგი, თავისი თავისა და სამყაროსადმი დამოკიდებულების შედეგი.

პარას როლი სოფიკოსათვის პირველი არ იყო სცენაზე. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ნათამაშვეი აქვს ნაწყვეტნი სპექტაკლები: ელზა დულიტლი — ბ. შოუს „პიემალიონში“, პოლ კეი — პრისტლის „დრო და კონვეის ოჯახი“, ფიროკა — როზოვის „სიხარულის ძიებაში“, კატერინა — შექსპირის „ჭირვეულის ცოლის მორჯულებაში“. თვით მარჯანიშვილის თეატრშიც მან ადრე ითამაშა ანა ალბაძის პიესაში „მღელვარე დღეები“, სადაც სოფიკომ შექმნა მამაცი და კეთილშობილი ქალიშვილის სახე, რომელსაც სჯერა ბოლშევიკებისა.

პიესის ავტორი ანა ალბაძე აღფრთოვანებული ამბობდა: „რომ იცოდეთ, რა კარგია სოფიკო, რა გულწრფელი და რა

შესანიშნავი. არა იმიტომ, რომ ჩემ პიესაში თამაშობს. არა, იგი ისედაც იმსახურებს ქებას. აუცილებლად ნახეთ და დარწმუნდებით. ნახეთ სპექტაკლი და მითხარით თქვენი შთაბეჭდილება“.

სამწუხაროდ, ეს სპექტაკლი ვერ ვნახე. რასაკვირველია, მაყურებლის აღიარება ზრდის დრამატურგის სიმპათიას სპექტაკლის მონაწილეებისადმი. კარგად ითამაშა სოფიკომ ნენის — ინგლისელი მწერლის კრონინის „ბროუდის ციხე-დარბაზის“ მიხედვით დაწერილი პიესაში „ეკრაში“. შემდეგ შესარულა ხატია ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“. თვლა — ოტია იოსელიანის „ცეცხლთან თამაშში“ და სხვა.

შეიძლება ვინმე შეგვედავოს — როგორ მიგაჩნიათ თქვენ, მსახიობისათვის სასარგებლოა ერთნაირი ხასიათის როლების შესრულება? გოგონა, გოგონა და კიდევ გოგონა, თოთხმეტი-დან თერამეტი წლის ასაკამდე. თუ ყურადღებას მიაქცევთ, ყველანი გარგები, ძალიან ნაზი და მაკროვანნი არიან. ამასვე ვუპასუხებდით, რომ ჩვენ სხვა ხასიათის როლშიც გვინახავს სოფიკომ, ეს არის მ. ჭიაურელის ფილმი „გენერალი და ზიზი-ლები“.

ფილმი ანტიმილიტარისტულია. იგი გააფრთხილებს: რა შეიძლება მოხდეს თუ... ატომური ბომბი მილიტარისტი მანიაკების ხელში აღმოჩნდება. ამ ფილმში სოფიკომ თამაშობს ზოსიას — კაბარეს აკრობატს, „გადასახლებულ სულს“, ქალს, რომელიც ცხოვრების ფსკერზე აღმოჩნდა. ბავშვობაში ზოსიას ოჯახი პოლონეთიდან ფაშისტურ გერმანიაში გარეკეს. და ახლა ზოსია გერმანიაშია, იგი არ სჭირდება არც თავის თავს და არც სხვა ვისმეს. სტუდენტობის წლებში და მარჯანიშვილის თეატრში სოფიკომ თამაშობს შექსპირის კულიტას. თბილისს ვერონადან მრავალი ასობა კილომეტრი და ოთხი საუკუნე ჰყოფს, მაგრამ არსებობს კლასიკური ნაწარმოების შესრულების ძველი, ნაცადი ტრადიციები, ბავშვობიდან ნაცნობი გმირის ბედთან თანშეზრდა და პირადი დამოკიდებულება მისადმი. ნიჭიერი მსახიობისთვის საბერძნეთში წასვლა არც იყო საჭირო პარას როლის მართლად, ადამიანურად განსახორციელებლად.

სულ სხვაა ზოსია. აქ მსახიობის წინაშე კვლავ ახალი ამოცანა დადგა. ამ სახეში ბევრია უიმედობა, საკუთარი ბედისადმი უნდობლობა, სულიერი გაპარტახება. გმირი ქალი ხდება ვლადეკს, უცხო მხარეში თანამემამულესთან შეხვედრის სისარული სიყვარულში გადიარდება.

მსახიობმა კარგად გაართვა თავი როლს, დამაჯერებლად, ეპიზოდურიდან ეპიზოდამდე თანდათანობით მიდის ის სახის საბოლოო გასანამდე. მაგრამ ეს ნამუშევარი ისეთ მხატვრულ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს, როგორც გოგონა მარამ, ხატია და თვლამ დატოვეს. შესაძლოა ფილმის შემოკლებამ, ორი სერიიდან ერთ სერიად, შეკვეცა ხასიათის მნიშვნელოვანი ნაწილები, რაც გამიზნული იყო განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის. შესაძლებელია მიზეზი ნაწილობრივ ვინა-ლის რეჟისორულ გადაწყვეტაში, სადაც, ჩემი აზრით, გმირის ხასიათის განვითარების ლოგიკა დაქვემდებარებულია ფილმის მთავარი ხაზის განვითარების ლოგიკისადმი. ფილმის არსი კი იმაშია, აქვთ თუ არა ჩვეულებრივი, უბრალო ად-

სოფიკო ჭიაურელი
— პარა



მიანებს უფლება მოსთხოვონ ხელისუფალთ პასუხი ჩადენილ ან მოსალოდნელ ბოროტებაზე. და მოულოდნელია, როცა ამ ხაზის გამომხატველად ფილმში გამოყვანილია არა მოხუცი დედა (ვერიკო ანჯაფარიძე) არამედ სოფიკო ჭიაურელი.

ზოსია მიიჩქარის მიიმედ დატვირთულ ვლადეკისაკენ. მას კინადამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა მოსალოდნელი პროვოკაციის ჩაშლა, ვლადეკი მკვდარი დახვდება. მოკვდა საყვარელი ადამიანი, არაფერი აღარ დაუბრუნებს მას სიცოცხლეს. უსიტყვო, უსაზღვრო დარდი და სასოწარკვეთილება დაუფუღება გმირს. მაგრამ როცა ვუცქერით მსახიობის სახეს, თვალბს ვხედავთ, რომ ეს არის არა დრამის მონაწილისა და მსხვერპლის თვალბი, არამედ ცხოვრების უშუალო მოწმისა. ისინი იმდენად მწუხარებას კი არ გამოხატავენ, რამდენადაც გვეითებთან: ვინ არის დამნაშავე ვლადეკის დაღუპვაში? რა მოვლის მას და ბევრ სხვას? მაგრამ მწუხარების ამ პირველ უტუთებში ეს არ არის წამოწყებული წინა პლანზე. ამჟამად კონკრეტული ხასიათის სიმართლეს სცვლის ზოგადი ხასიათის სიმართლე, რაც ეკრანზე დამაჯერებლად არ გამოიყურება.

კადრი ფილმიდან „რაც გინახავს, ველარ ნახავ“





სოფიო ჭიაურელი
შვილთან

ფსიქოლოგიურად მეტად დამაჯერებელი დეტალი: ბიჭი და დღის ბაქანზე და მოკლე პალტოში ჩაცმულ, სიცოცხესაგან გათოშილ ქალიშვილში ვერ ამოიცინობს თავისი ოცნების ქალიშვილს. თვალა კი დანახვისთანავე იცნობს მას.

მაყურებელი თვალსათან ერთად ღვლავს, ღვლავს ჯიბოსთვისაც, ნუთუ არ შეგვხდებინა? ჯიბო პოლოს შეიცნობს ქალიშვილში თავის ოცნებას და ის უკვე ვეღარ ამჩნევს ვერც მოკლე პალტოს, ვერც იმას, თუ სიცივისაგან გათოშილი ქალიშვილი როგორ უღამაშოდ იხტავს ცხვირს. სიუფეტი დიდ შესაძლებლობებს უშლიდა რეჟისორსა და მსახიობებს. ორივე შემსრულებელი უშუალო და გულწრფელია, მათ თამაშში არ იგრძნობა არავითარი გადაჭარბება.

სოფიკოს არ უყვარს ლაპრაკი თავისი მუშაობის შესახებ. მოკლედ, მაგრამ არსებითად გვიპასუხა შეკითხვაზე: „მე ვცდილობ წარმოვიდგინო ის ადამიანი, რომელიც სცენაზე უნდა განვასახიერო“. ფორმულა თვით ნათელი ფრაზა და შეუცნობლის ძიების გზას ხსნის. ეს შესანიშნავი უნარი ხელს უწყობს მსახიობს გვიჩვენოს ადამიანის სულიერი განწყობა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მსახიობსაც: მართლად, დამაჯერებლად, სიყალბის გარეშე.

„წარმოვდგინო“ ეს შესანიშნავი უნარი ხელს უწყობს მსახიობს გვიჩვენოს პერსონაჟის შინაგანი და გარეგანი სამყარო მთლიანობაში. ეს კარგად ჩანს სოფიკოს მიერ ხატის როლის შესრულებაში, ხატია უსინათლოა და სწორედ ამითაა გამოწვეული სოსოიას (შესანიშნავად ასრულებს ამ როლს გ. ჭავთარაძე) მისდამი დამოკიდებულება, საოცარი სიფაქიზე, რაც არა იმდენად სიტყვებში, რამდენადაც მის ქვეყანაში გამოიხატება.

საქეტაკლი ღრმად ეროვნულია, იგი გვიზიდავს ხასიათების ადგიანურობით, სიკეთისა და სამართლიანობის, მეგობრობის, პატივითვისა და ინტერნაციონალიზმის დიდი იდეალებით. სწორედ ამისა მსახიობების დიდი გატაცებით თამაშის მიზეზი.

ხატია პიესის მთავარი და მეტად რთული როლია. მსახიობი მაყურებელს არ ახვევს თავზე თავის უსინათლობას და არც მალავს. ხატია არასოდეს არ უნახავს დღის სინათლე და ამიტომ მსახიობი ტრაგედიას არ თამაშობს. სოფიკო ჭიაურელი-ხატიას თვალზე უმოძრაოა, მაგრამ გამოხატავს. მაყურებელს სჯერა, რომ ის მხოლოდ მუცს ხედავს და როგორც ბათუმელმა ექიმმა თქვა, ოპერაცია დაუბრუნებს სინათლეს.

ჭიაურელის ხატია გულკეთილი, ღამაში და სათნოა. იგი სოფლის სინდისია, როგორც სოსოია — მისი სინდისის მრისხანე დამცველი. მსახიობი არ არის უხვი ტემპერამენტის გარეგნულ გამოხატვაში, შორსმჭვრეტელი და შეურიგებელი უარყოფითი მიმართ, რასაც დუმილით, მაგრამ მკაფიოდ გამოხატავს. სოფიკო ჭიაურელის მსახიობური მანერის განსაზღვრისას შეიძლება ვისარგებლოთ ბუშკინის სიტყვებით: „ყველაფერი მასში იყო წყნარი, უბრალო“. ამ „სიწყნარესა და უბრალოებაში“ სწორედ ახალგაზრდა მსახიობის წარმატების გასაღებია.

გასულ თეატრალურ სეზონში რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგა „ნოველების საღამო“, რომელიც არჩილ სულაკაურის, ოტია იოსელიანისა და ოთარ გობრონიძის ნოველებისაგან შედგება. სოფიკო ჭიაურელმა არჩილ სულაკაურის ნოველა „ცეცხლთან თამაში“ თვალს როლი შეასრულა. ნოველა შესანიშნავადაა დაწერილი. მასში არის ლირიზმი, მსუბუქი იუმორი და გმირების სულიერი სიფაქიზე. ავტორმა, რეჟისორმა და ორმა მსახიობმა ამ ნოველაში გულთბილად მოგვიჩვენეს ახალგაზრდული, ჯერ კიდევ თითქმის შეუცნობი სიყვარულის ამბავი.

მაინც რა ხდება სცენაზე? ერთ წვიმიან დღეს უსაქმოდ დარჩენილი ახალგაზრდა გართობის მიზნით წერის მისწერს უცნობ ქალიშვილს და სთხოვს პასუხი მისწეროს. ქალიშვილი პასუხობს. პიესა მათი წერილების ხმამაღალ კითხვაზეა აგებული. ახალგაზრდა ვაჟს თამაშობს მალხაზ გორგილაძე, ქალიშვილს — სოფიკო ჭიაურელი.

ცნობისმოყვარეობა, გაოცება და სიხარული სიყვარულში გადაიზრდება. ჯიბო მიემგზავრება ქალიშვილის სანახავედ. ქალიშვილი მას სადგურში ხვდება... აქ აღანიშნავია ერთი



დღეც დიდი ხნით ადრე ვიცნობდი და მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა მჭონდა როგორც უკეთილშობილესი ადამიანისა და აქტიორისა.

ბულგარული კლასიკი, გოქალაქი, აქტიორი

ანტონ კელენჯერიძე

(მოკონება შალვა ღამბაშიძეზე გარდაცვალებისათვის ათი წლისათვის დაკავშირებით.)



თი წელია, რაც შალვა ღამბაშიძე ჩვენს შორის აღარ არის, რაც აღარ გვატობს თავისი ადამიანური სითბოთი, ვედარ გვიბოლავს და გვაღვლეებს თავისი მაღალი არტისტული ნიჭით.

როდესაც შალვა ღამბაშიძეზე მოგონების დაწერა განვიზრახე, ცოტა არ იყოს მეუხერხულა. მეუხერხულა, რამდენადაც ბოლო ხანებში მასთან ნათესაურად ვიყავი დაკავშირებული და ვიფიქრე მიეკრძოებად არ ჩამეთავალოს ის, რასაც განვიცდი და მინდა ვთქვა. მაგრამ, ვფიქრობ მიეკრძოებას ვერაინ დამწამებს, რადგან შალვას ნათესაურ ურთიერთობამ-

შალვა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან მასსოს, როდესაც იგი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. იგი ჩემზე უფროსი იყო. მე პირველ კლასში ვსწავლობდი, როცა ის მეოთხეში იყო. მასსოს, ის მაშინაც ისეთივე დაჟღავნა, ყოველთვის გაბადრული და ხალისიანი, ისეთივე ბრგე და ჩასუქებული იყო, როგორც შემდეგ ასაკს ოდნავადაც არ შეუცვლია მისთვის ნირი. თავის ტოლებში არაჩვეულებრივი სიყვარულით სარგებლობდა. ჩვენ, პატარებს აკრძალული გვექონდა უფროსკლასელ მოსწავლეებში გარევა მათ მხოლოდ დიდ შესვენებაზე ვხვდებოდით ერთში, როცა კარგი დარბეი იდგა და გარეთ გვიშვებდნენ.

ყოფილი რეალური სასწავლებლის შენობაში ახლა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტია მოთავსებული. ადარ ვიცი დგანან თუ არა მის ეზოში კიდევ ის მუხები, რომლებიც მაშინ ჯგუფად იდგნენ. ამ მუხების პატარა ტყვეში მიწაში ჩაფლულ ბოძზე დაკრული ფიცრის საკამი იდგა. აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავს უფროსკლასელები, პატარებს კი ლახტი ან ჩიკორობანა გვექონდა გაჩაღებული. ერთ ამის სრულ შესაძლებლობას გვაძლევდა. მაგრამ „სერიოზულ“ ბავშვებს მაინც დიდები უფრო გვიზიდავდა და გაინტერესებდა რაზე მსჯელობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ უფროსები, რომელთა შორის მასწავლებლებსაც შეხვდებოდით. მასხენდებო მათ შორის ყველასათვის საყვარელი მსცინავი დამრიგებელი მიხეილ ჭიჭინაძე, ლაზარე ხმალაძე, ბუნებისმეტყველების შესანიშნავი მასწავლებელი სისო ლოღობერიძე, ხატვის მასწავლებელი ვასილ კროტკოვი და დირექტორი — მიტროფანე ალექსის ძე ამოსოვი, შესანიშნავი კაცი, რომელიც „დერჟიმორა“ მასწავლებელთა შორის გამოირჩეოდა დიდი ჰუმანიურობითა და ქართველებისადმი კარგი დამოკიდებულებით, რის გამოც მოწაფეებს დიდად გვიყვარდა. როდესაც ის ჩვენგან ბაქოს გიმნაზიის დირექტორად გადაიყვანეს, მოსწავლეებმა ხელში აყვანილი გააცილეს სასწავლებლიდან ვაგზლამდე და ჩვენმა კლასელმა ბენდელიტე მესხმა შესანიშნავი ლექსიც უძღვნა.

შალვა ამ თავშეყრილობის სული და გული იყო ყოველთვის და მის მოყოლილ ამბებზე დაუსრულებელი ხარხარი იდგა. ჩვენ „სერიოზული“ პატარები პირდაღებული შეცქეროდით გახალისებულ უფროსებს, არ კი გვესმოდა რაზე იცინოდნენ, ან რას უამბობდა შალვა ისეთს, რომ ასეთიარად მზიარობდნენ.

პირველ კლასში ვიყავი, როდესაც კროტკოვის რეჟისორობით სასწავლებელში გოგოლის „რეჟისორი“ დაიდგა. გორდინირი შალვამ ითამაშა. ამ სპექტაკლზე პატარებიც დაგვასწრეს, ალბათ იმიტომ, რომ „რეჟისორის“ მალე ვისწავლიდით. სპექტაკლი დიდ დარბაზში გაიმართა, სადაც ყოველდღე, გაკვეთილების დაწყების წინ, მთელ სასწავლებელს გვიყრიდნენ თავს დილის ლოცვაზე. ამ სპექტაკლისაგან მიღებული შთაბეჭდილება დღემდე მემჩნა, ისეთი ძლიერი იყო იგი. შალვამ შემდეგ თავისი „გორდინირი“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე რომ გაიმეორა, შთაბეჭდილება თითქმის არ შემცვლია.



მამინ არც კი ვიცოდით რა იყო თეატრი, ან მსახიობობა რას ნიშნავდა, თეატრში მოწვევებს ვინ შემუშავებდა, მით უფრო ჩვენი სახის პატარები. მაგრამ ახლა რომ ვიკვირებ ამ ამბავს, აშკარაა, რომ შალვა იმთავითვე დაჯილდოებული იყო გარდასახვის შესანიშნავი უნარით, ხოლო შემდეგ, როცა მათს ოჯახს დაუვახლოვდით და გაეცანით, აღარ შეუცნაურა. მსახიობური ნიჭი მას უთუოდ დედისაგან მქონდა მომადლებული.

შესანიშნავი ქალი იყო შალვას დედა პელაგია—ლაგრენტი ციტიშვილის ასული, —კაც შეიღობს დედა, მივითაძინე მეოჯახს, დიასახლისა, უსომოდ არცამოყვარე და მეტისმეტად კეთილი ადამიანი. სასიამოვნო დარბაზის მსახური იყო და ამ უსწავლელმა ქალმა, მაგრამ ბევრი რამ მქონდა წაყითხულ. უყვარდა ილია, ავაკე და ყაზბეგი. იგი რძალი იყო ჟურნალ „მწვეთის“ რედაქტორ-გამომცემლის დავით ღამბაშიძისა და ამ ტრადიციულ ოჯახში უთუოდ ბევრი რამ შეიძინა. მარტოს სი რად ღირდა, რომ პირადად იცნობდა მამა-თილთან სტუმრად მოსულ მამინდელ მილვაწვებას, განსაკუთრებით ავაკის, რომელსაც დავითის სიცოცხლეში სხვა ბინა არ მქონია შესტაფონში. სასიამოვნო იყო შესანიშნავი იმპროვიზაციის უნარით დაჯილდოებული ამ კეთილშობილი ქალის მოსმენა, ამბავს ისეთი გამომსახველობით გაიმბობდათ, რომ არ დაიღლებოდი და გინდოდათ დიდხანს არ დემთავრებინა. მას იუმორის დიდი გრძობა მქონდა.

უთუოდ ასეთი დედისაგან გამოჰკვა შალვას მსახიობური ნიჭი. და განა მარტო შალვას? მის უფროს ძმას ბიძინასაც გარდასახვის არარეველებრივი უნარი მქონდა. ისიც უბრალო მოსახურე და მიიტატორი იყო. სცენის სამსახურს რომ აირჩია უთუოდ გამოჩენილი კომედიური მსახიობი იქნებოდა, მაგრამ მან იმეორება ამჯობინა. ბიძინას შვილია რუსთაველის თეატრის მსახიობი ლეილა ღამბაშიძე.

შემდეგი მოვინება შალვაზე შესტაფონის პერიოდს ეხება. თებერვლის რევოლუციის შემდეგ შესტაფონში გიმნაზია გაიხსნა და შორაპნის მახურებმა მას მივაშურეთ. შალვა ქუთაისში განაგრძობდა სწავლას და არდადეგებზე ამოდიოდა ხოლმე თავის უახლოეს მეგობარ უშანგი ჩხუბიძესთან ერთად. მათ ჩამოსვლას შესტაფონის ცხოვრებაში უჩვეულო გამოცდებლბა შემოქმონდა. იმართებოდა წარმოდგენები, რომელს დასწრებასაც ახლა აღარავინ გვიწოდებს. მთელი მისწავლე ახალგაზრდობა და ინტელექტუალი ამ წარმოდგენებით სულდგმულობდა. არარეველებრივად კარგები იყვნენ უშანგი და შალვა, ყველას მათ ახლოს ყოფნა უნდოდა, გადაატაცებებს ხომ ბოლო არ უნდა, ყველასათვის საყვარელ და სასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ.

შალვას ახლოს თბილისში გავყავანი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კოტე მარჯანიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და თეატრს სათავეში ჩაუდგა. მთელი საქართველო თეატრით ცხოვრობდა.

ახალგაზრდა თეატრალური ძალების შესანიშნავ პლეადაში, რომელიც კოტეს მამინ გვერდში ამოუდგა და ქართული საბჭოთა თეატრის ფუძის დაფუძნებში იღებდა მონაწილეობას, შალვა ღამბაშიძეც იყო. მას თავისი ნიჭით, უშუალობითა და

სიწრფელით თვალსაჩინო წვლილი შექმონდა ახალგაზრდა თეატრის საბჭოთა თეატრალური კულტურის შენებაში.

კოტე მარჯანიშვილის დიდი რეჟისორული ალღოს შედეგი იყო სწორედ ის, რომ მანამდე თითქმის შეუმჩნეველ ახალგაზრდა არტისტულ ძალებში დანახა მოხავალი დიდი აქტიორები და ისეთ მსახიობებად აღზარდა, რომლებითაც დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს.

მათ შორის შალვა ღამბაშიძეც იყო. თბილისში პირველად 1919 წელს ჩამოვედი. მესუთე კლასიკი გიმნაზიელი ვახტანგ, სკოლაში „თეოფანის“ გავდიოდი და პირველყოფისა „აბესალომ და ეთერის“ სანახავად გავმუშეო ოპერის თეატრში, შემდეგ კი მთაწმინდა, დიდებუ და სხვა სტორიული ადგილები მივიარე. „ოტელიო“ მამინ ვნახე პირველად. ალექსანდრე იმედაშვილი თამაშობდა. მას შემდეგ ბევრი სხვა დიდი და გამორჩენილი მსახიობები მინახავს ამ როლში, მაგრამ მასათვის არავინ მისწონებია. ასეთი ყოფილა პირველი შთაბეჭდილების ძალა.

ეს იმიტომ გამახსენდა, რომ შალვას უფროსი თაობიდან იმედაშვილი და გიორგი არაძელ-იმენელი მიჩნდა ყველაზე დიდ მსახიობებად ლაოდ მესხიშვილის შემდეგ. აკი დასწერა კიდეც მასის შესახებ.

შემდეგ სულაც თბილისში დავსახლდი. ხშირი სტუმარი ვიყავი მწერალთა კავშირისა, სადაც ვხედავდი და ვუხმენდი ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და ლიტერატორებს, დავდიოდი თეატრში. ვასო აბაშიძე, ვალ. გუგია, ა. იმედაშვილი, მ. გელოვანი, მ. ჭიაურელი, მ. გოციტიანი, ე. ჩერქეზიშვილი, ც. ამირაჯიბი, ა. ქიქოძე — იი ვის სახელებს გაიგონებდით ყველაზე მეტად. რეჟისორებიც უფრო ავაკე ფაღვალა და მიხეილ ქორელი იყვნენ ცნობილი. მხოლოდ კოტეს ჩამოსვლის შემდეგ გახდნენ ისინი ფართოდ ცნობილი, მათი სახელებით ახლაც ვამაყობ. დიდი რეჟისორის ა. ახმეტელის სახელი კოტემდე ისე არ ხმინაობდა, როგორც მას შემდეგ.

მე თეატრალური მკვლევარი არ ვახლავართ, მოგახსენებთ იმას, რასაც ვხედავდი და მესმოდა.

კოტეს სპექტაკლები კი მთელი ტრიუმფი იყო. აბა გორგონი შეიძლება რომელიმე გამოგვეტყუებინა. ამაში კი უშანგის ძმა ჭიჭიკო და შალვას ძმა ჯუმბერი გვევლიდნენ. ხან ფასით და ხან უფასოდ შევაყვარეთ რუსთაველის თეატრში. მონაწილე ვხდებოდით იმ დიდი ეროვნული სიხარულისა, რასაც მამინ მთელი საქართველო განიცდიდა საბჭოთა ქართული თეატრის წამოშენისა და ფრთხილ ფართოდ გაშლის გამო, მოწმენი ვიყავით ქართული თეატრის ფართო ასპარეზზე გამოსვლის დიდი აქტისა, რომელიც „დურუკის“ მანიფესტი დაიწყო.

შალვა ღამბაშიძე ამ დიდი მოძრაობის ცენტრში ტრიალებდა. შემდეგ, როგორც ცნობილია, კ. მარჯანიშვილმა უძველესი თეატრალური ტრადიციების მქონე ქუთაისს მიამშურა. მასწავლებლს თან წაყვანენ მისი საყვარელი მოწაფეები: უშანგი, ვერვი, შალვა...

ვინც დასწრება, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ქუთაისის თეატრის გახტომლებს თბილისში.

მართლაც, რომ ტრიუმფი, არანახლი თეატრალური, სახალხო ზემო სუფილი დაბაქალაქში: „ურთილი“, „ყვარყვა-



რეკ., უმანგი, ვერიკო, შალვა გვერა ყველას პირზე. ოპერის თეატრი, სადაც სპექტაკლები იმართებოდა, ტრამსაგან ზანზარებდა, ხალხი არ იმღებოდა, ელოდნენ საყვარელ არტისტებს, ხელით გამოჰყავდათ ქუჩაში.

შალვა დამბაშიძე ამ ტრიუმფის ერთ-ერთი მიზეზი და მონაწილე იყო.

კოტეს ქეთაისში მოღვაწეობა იმიტაც იყო შესანიშნავი, რომ ბრწყინებულ აქტიორულ ძალებს შეემატა ახალი სახელები: სერგო ზაქარიასძე, გიორგი შავგულიძე, და ბევრი სხვა.

ქეთაისის თეატრმა შემდეგ თბილისში დაიღო ბიზა და მას თავისი შემქმნელის სახელი ეწოდა. საქართველოს დედა-ქალაქს, რომელიც მანამდე ერთ თეატრსაც ვერ ინახავდა, ერთბაშად ორი დიდი თეატრი გაუჩნდა და ორივე ბერძენულ-საბჭოთა ფესვმადარი.

ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი კულტურული მონაპოვარი და ამის უშუალო სულისჩამდგმელი გახლდათ კონსტანტინე მარჯანიშვილი.

ამ საქმეში გარკვეული წილი შალვა დამბაშიძესაც ედო. კოტე იყო პირველი, რომელმაც ქართული თეატრი რუსეთისა და უკრაინის ასპარეზებზე გაიყვანა და უჩვენა, თუ რა დიდი პოტენციის ყოფილა ქართული თეატრი.

სხვა რომ არაფერი გაკეთებინა კოტე მარჯანიშვილს, მისი სახელის უკუდაცსაყოფად მარტო ესეც კმაროდა.

დღეს საქართველოში ორატულზე მეტი თეატრი და ყველაზე კოტეს სახელი ტრიალებს, ყველა მას ბაძავს. კოტე გტაქონია ყველა თეატრალური კოლექტივისა და მოღვაწეობის ჩვენში.

ამ დიდ თეატრალურ შემართებაში თავის კოლეგებთან ერთად შალვა დამბაშიძე ყოველთვის მხარში ედგა საყვარელ მასწავლებელსა და აღმზრდელს.

შემდეგ შალვა დიდხანს ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის თეატრს და მტკიცედ იცავდა კოტეს ხაზსა და ტრადიციებს. როდესაც მას ამ ადგილზე ნიშნავდნენ, უთუოდ მხედველობაში ჰქონდათ მისი მაღალი არტისტული ავტორიტეტი და კეთილშობილური ადამიანური თვისებები: გულწრფელობა, სისპეტაკე, ადამიანის დიდი ნდობა და სიყვარული.

ამ დროისათვის ჩვენ უკვე ნათესაურად დაგავშირებული ვიყავით. პირად და მე ჟურნალისტიკის დარგში მუშაობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა და ხშირად ვსაუბრობდით თეატრისათვის საინტერესო საკითხებზე.

მან თავისი სცენიური ცხოვრების მანძილზე თეატრსა თუ კინოში შესანიშნავი სახეების მთელი გაღურება შექმნა, რომელთაც დავიწყებთ, ვისაც უხილავს, არ შეიძლება. სხვას რომ თავი დავანებოთ მარტო კუბუჭოვია საკმარისი სამსონიას — „ბაგრატიონში“, ან ათალიკოსი ლევან გოთუას — „დავით აღმაშენებელში“, კიდევ დე-სილვა „ურიელში“, ხოლო გოროდინი „რევიზორში“? — ეს ხომ გვირგვინი იყო შალვას არტისტული შემოქმედებისა. სამწუხაროა, რომ ბევრ როლში შალვა აქამდე შეუცვლელი რჩება და მისი ადგილი თეატრში, ისევე როგორც უმანგისა, გიორგი შავგულიძისა, ცვილია წუწუნავს, პიერ კობახიძისა, ჯერ კიდევ შეუსყებელია. მაინც რა ძალები დაჰკარგა ამ თეატრალურ მაგარამ სასიხარულო ის არის, მისი შემოქმედების მხატვრული დონე

ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად ოდნავადაც არ დაქვეითებულა. მას აგრძელებს თეატრში მოსული ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც მარჯანიშვილისეულ სამქედლოში იწრთობა.

ესეც კოტეს მიერ დატოვებული დიდი თეატრალური ტრადიციის მაღლია.

შალვა უაღრესად კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. დიდ აქტიორთან ერთად იგი იყო იდეალური მამა თავისი ერთადერთი ქალიშვილის ნინასი, რომელმაც სცადა თავი კინოში და არც თუ ურიგოდ, და უხადლო მუედლე მსახიობი ანეტა დონაჟელისა, რომელიც გადაიტანა საყვარელი მეუღლის უდროოდ დაკარგვამ.

შალვას ყოველთვის დიდად ახარებდა ყოველი მამულიშვილის წარმატება, ყოველთვის ახარებდა რუსთაველის თეატრის გამარჯვება.

ერთხელ დასწერა კიდევ აღფრთოვანებული რეცენზია რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „ესპანელ მღვდელზე“. (იგი ყოველთვის დაბეჭდამდე წაიკითხავდა ხოლმე თავის წერილს).

შესანიშნავი წერილი უძღვნა შალვამ ალ. იმედავილს უკანასკნელად, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წამიკითხა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, ბრწყინვალე დაწერილი რეცენზია გამოჩენილი ქართველი აქტიორის გიორგი არაძელის იშნული შემოქმედების შესახებ ალ. ბურთიაშვილის წიგნზე. სამწუხაროა, რომ ეს სტატია დაუმთავრებელი და გამოუქვეყნებელი დარჩა.

შალვა მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება იყო. უყვარდა მასპინძლობაც და სტუმრად ყოფნაც, ორივე შემთხვევაში გულთმედიანად ხოლმე ლხინს. იმიტომ მოსიყვარულე იყო მეგობრების, დედამამიშვილებისა და ნათესავების. ყველას ეხმარებოდა, რითაც შეეძლო.

შალვა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოთხივე მოწვევის დეპუტატი იყო და იწვიათ გულისხმიერებით ასრულებდა დეპუტატის მაღალ მოვალეობას, უყვარდებოდ არ დაუტოვებია ამომრჩევლის არცერთი თხოვნა. დაუარებლად დადიოდა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებში ამომრჩევლთა თხოვნით და შედეგაც აღწევდა.

საქართველოს რადიოში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში იგი სიმართლენარევი ხმობით მეტყობდა ხოლმე, რაც შენ რადიოში მოხვდი მას შემდეგ იზვიათა მიწვივევ. ვიცი შენი ამავე, გტყობი ნათესავია და ნაკლებად მოიწვიეთ.

რასაკვირველია მართალი არ იყო.

სცენის სხვა წამყვან არტისტებთან ერთად მისი მონაწილეობით ბევრი საინტერესო ჩანაწერი გაკეთდა: „გლახის ნამბობი“, „მოდერნი“, აკაკი ბულიაშვილის — „ოქროს ხალხის“, და ბევრი სხვა, რომლებიც დღესაც საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს შეადგენენ და სამუდამოდ დარჩებიან. ამ ჩანაწერებით შემორჩა მისი ხმა, როგორც ბევრი სხვა მოღვაწისა.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ასტმამ უმატა, გულის ავადმყოფობაც გაურთულდა, ჰიპერტონიაც დაერთო. უკანასკნელ ხანებში მეტად გაუარესდა ჯანმრთელობა, თუმც თავისი საყვარელი საქმიანობის ერთი წუთითაც არ დაუნებოდა თავი და, როგორც იტყვიან, პოსტუმ დაეცა მებრძოლი



ჯარისკაცებით. უკანასკნელად მიღერის — „მარია მ სტიუარტი-ში“ შრუსბერის როლის შესრულების დროს დედოფლის წინაშე დაიჩოქის წელის წამოწევა გაუძნელდა, ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ იგი მეტს ვეღარ ითამაშებდა და ასეც მოხდა.

სპექტაკლის მსვლელობის დროს დაწვარა ჩვენგან უღროდ წასულმა ნიჭიერმა პოეტმა და საყვარელმა ადამიანმა ვიქტორ გაბესკირიამ შალვა დამბაშძისადმი მიძღვნილი ლექსი — „მსახიობი კულისებში“:

ის გაუხვდა ავად სცენის ციფს, უნდო ნიავს,
თავს ცუდად გრძნობს, ადარ ძალუმს მს ლაპარაკიც,
მიღის სპექტაკლი... უკვე გასვლის მოლოდინი აქვს,
ზის უხალისოდ იგი მოხუც კაცის პარკით...

მაგრამ ზარის ხმა გაისმის, მსახიობს სცენაზე იწვევენ და ისიც უმოღვე წამოდგება, თითქოს ავადმყოფობამ გაუარაო და განაგრძობს თამაშს:

უცხე წამოდგა, რადგან ზარი ეძახის, იწვევს.
მთლად შეიცვალა: სიციხეს არ გრძნობს, არაფერს
იტკენს.

ვერძნობ, მისი სული სცენისაკენ ისე მიიწვევს,
როგორც რომ აფრა ხომალდისა მღელვარე ზღვისკენ.

ეს სპექტაკლი იყო შალვას გედის სიმღერა. სასვებით მიწადგის და დარქვა ერემო ქართლიშვილმა უ. დამბაშიძეზე დაწერილი მონოგრაფიის „გადაწყვარი გული“. მაროლაზე სცენაზე გადაიწვა შალვას დიდი სიბოროტმცველი, კეთილი გული.

უკანასკნელად, სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე ვინახულე. შინ იწვა, ეჭიმები თავს ეხვია. ყველაზე მეტად მზრუნველობდა ძმისშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნიჭიერი კარდოლოგი ნათელა დამბაშიძე, რომელიც ყურადღებებს არ აკლებდა ნაამაგარ, სახელოვან ბიძას. არ მესიამოვნა ავადმყოფის მდგომარეობა — გულისხუნვა სჭირდა, ციკლისებურად ხან შეუტევდა, შავი ფერი გადაუვლიდა სახეზე, ხან გაუვლიდა და ამ დროს ისევე ხალისიანი შალვა ხდებოდა, თავისი განუმეორებელი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გაბადრული, ალალი ღმილით. მეორე დღეს ჩემს საარჩევნო ოლქში უნდა ჩასვლიყავით ამომრჩევლებთან შესახვედრად და თანაც გზა ზესტაფონში უნდა გამევიღო.

— ახლა კი გაატარებ დროს, რა დროსა ვევიარ! — მაინც იოხუნჯა თავისებურად.

იმ ღამესვე გადავწყვიტე და საავადმყოფოში მივიყვანეო. ისე ყოჩაღად გვირა თავი, რომ ვერც კი შეამჩნევდით ავადმყოფობას. დაუხმარებლად ჩამოვიდა კიბეებზე და ჩაჯდა მანქანაში, გამოვიდა მანქანიდან და ასევე დაუხმარებლად ავიდა საავადმყოფოში.

მაინც რა შეუდური ავადმყოფობაა ეს ძიპერტონია, რა მსაკერულად აცხრება ხოლმე თავს მსხვერპლს!

ის საავადმყოფოში მოეწყო, მე კი ცხაკაიასკენ გასწვიე. სრულებით ვერ წარმოვიგინებდი, რომ ეს იქნებოდა ჩვენი

უკანასკნელი შეხვედრა. საქმეები თითქმის მოთავსებულადასასტუმროში შევიაგრე შესასვენებლად. სწორედ ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა — თბილისიდან მატყობინებდნენ შალვას გარდაცვალებას.

ივეკე მწარად დაღვტირე ძვირფასი მეგობარი, რომელსაც სიცოცხლეში ბევრ ჩემს პირად განცდებდა და აზრებს ვუზიარებდა და თვითონაც ყოველთვის მიამბობდა თავისას. ყველაფერი ერთბაშად გამახსენდა, ნიშნური მარტო ვიყავი, შემოწოლილ სევდას ვეღარ გაუძეულ და ატყვიითინდი.

მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ეს სამწუხარო ამბავი, ყველას გული დაწვივებდა შესანიშნავი არტისტისა და მოქალაქის უღროდ დაკარგვამ.

დანიშნულ დროს ამომრჩევლებს შეგხვდი, დამით კი თბილისისაკენ გამოვეშურე. პირდაპირ მის ბინაში მივედი და მეკვდრის სარეცელზე ვიხილე გოლიათივით მწოლარე ეს ბრეკ ვაჭაკი.

რა მოიხვედრულე, რა სათნო ადამიანისა და განუმეორებელი აქტიორის გულის ძველა შემწყდარიყო!

თბილისისაკენ მომავალი ვიქტორებმა და მოგონებებმა გამიტაცა, ძილი დამიფრთხო. ერთი მეორეს მისდევდნენ მოგონებები შალვასა და მასთან შეხვედრის ეპიზოდები. ხომ არაფერი მიწვევინებია ოდესმე? მისგან ყურნა ხომ არავის არ ახსოვს. მესხიერებს ვუტყვი, თითქოს წყნაფერს ვპოვებო, მაგრამ არა, მაინც ამოფხრჩიკე:

შალვა ერთხანს მხატვრული კითხვით იყო გატაცებული და მართლაც კარგად კითხულობდა. ვისაც ახსოვს მის მიერ ილიას „მეზავრის წერილების“ კითხვა, დაგვეთანხმება, შეუდარებელი იყო იგი. მაგრამ უკანასკნელად ავადმყოფობის გამო სუნთქვა აღარ ყოფილა, ხმის ტემბრიც დაუტყვევია და ისეთი ოსტატობითა და მომხიბლობით ვეღარ კითხულობდა. ერთხელ რადიოში მოვიდა და მომასმენინა, რაც ჩაეწერა.

— რა არის, ამ ბოლოს სულ აღარ მუშაობ ხმაზე, ძველებზედაც ვეღარ კითხულობ-თქო ვუთხარი. ხუმრობით მინდოდა და მკვახედ ნათქვამი გამოვიდა.

— მაშ, აგრე არა! ჭარგი, მეყოდინებამო — გაბრუნდა და წვიდა.

ბევრი ვინანე, ვაი თუ ეწყინა-თქო. შინ მივეჭირე, ბევრი ვუბოდიშე, ცუდად გამომივიდა, ასე არ მინდოდა, მამატიე თუ გაეწყინებ-მეთქო.

— აღარც კი მასოვს რა იყოო, — მიპასუხა. გულზე მომეშვა. შესანიშნავი ყვარლის ღვინო ჩამომივიდა, იმის ჭამნიეს გაგასინჯებო. განჯინდნან ხელად გამოიტანა, ანეტამ სუფრა გაგვიმალა და ასე ამოვიწერა ეს, მე რომ მეფანა, „კონფლიტი“ ჩვენს შორის.

დაის, შესანიშნავი, გულმართალი ადამიანი-მოქალაქე და აქტიორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, სამშობლოს მგზნებარე პატიოტიკი წავიდა ჩვენგან ამ ათი წლის წინათ, მაგრამ დრომ ვერ წაშალა მისი ხსოვნა მრავალ თაყვანისმეყმელთა გულში, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მისი მაღალნიჭიერი, მომჯადობელი შესრულება, ვისაც მისი ადამიანური სიბორო და სიყვარული განუცდია.

ვერც წამლის!
შალვა დამბაშძისთან ადამიანები არა კვდებიან!

რიკარდ კალო

ლტოლენინი



ესტონეთის გრაფიკოსები

ბორის ბერენშტეინი

ბითი გრაფიკა და შრიფტის ხელოვნება ამჟამად აღმავლობის
სახანს განიცდის.

ესტონური გრაფიკის ოსტატთა შორის არის ფართოდ
განთქმული სახელები: გინტერ რეინდორფი, — პეიზაჟის
ვირტუოზი, ფაქიზი და პოეტური, ლირიკოსი მხატვარი, პორ-
ტრეტული ესტამპის ოსტატი აინო ბახი, ძალზე მრავალ-
მხრივი, ნიჭიერი და ტემპერამენტული ვეაღდ ოკასი, პორ-
ტრეტული ნახატის თვალსაჩინო წარმომადგენელი ედუარდ
ეინმანი და სხვ. მათ ნამუშევრებს კარგად იცნობენ ქართველი
ხელოვნების მოყვარულნიც. ამიტომ ქვემოთ გვსურს დაგახასია-
ათოთ სხვა, შედარებით ნაკლებ ცნობილი, მაგრამ ყურადღე-
ბის ღირსი სხვა ესტონელი გრაფიკოსები, რომელთა შემოქმე-
დება არა მარტო ღრმა და თვითმყოფადია, არამედ ასახავს
თანამედროვე ესტონური გრაფიკის ძირითად თავისებურებე-
ბებს.

შევეცდებით რა მოგვხაზოთ მხატვართა ინდივიდუალური
სახეები საყურანალო სტატიის ჩარჩოებში, ამით შესაძლოა
დაიხატოს რამდენიმე თაობის შემოქმედებითი ბედიც, რაც
მთლიანობაში წარმოქმნის საბჭოთა ესტონურ გრაფიკას.
ესტონური ესტამპის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელი
მარტ ლაარმანი მალე სამოცდაათი წლის თარიღს აღნიშ-
ნავს. იგი მიეკუთვნება იმ თაობას, რომელიც 1920—30
წლებში საფუძვლს უყრიდა ეროვნულ ტრადიციებს ამ დარგ-
ში. მისი შემოქმედებითი ფორმირება ხდებოდა ბურჟუაზი-
ული დიქტატურის წლებში და მაშინდელი სამხატვრო ცხოვ-
რების მწვავე წინააღმდეგობრივობამ განაპირობა მხატვრის
ძიებათა სირთულე. ლაარმანის სახელი დაკავშირებული იყო
კონსტრუქტივისტულ მიმართულებასთან, რომლის გაფურჩქე-
ვა 20-იანი წლების დასასრულს და 30-იანი წლების დასა-
წყისს მიეკუთვნება. ამ ჯგუფის შემოქმედებითი მიზანდასა-
ხულება მოითხოვდა, რომ ხელოვნების ნაწარმოები ყოფილი-

უკი სწორია, რომ ხელოვნების სხვადასხვა სახეო-
ბანი არათანაბრად ვითარდებიან, პერიოდულად
წინ უსწრებენ ერთმანეთს მშვიდობიან შეჯიბრში,
მაშინ მომავალი ისტორიკოსები ჩვენს დროის ეს-
ტონურ სახვით ხელოვნებაში უჩვეულად აღნიშნავენ გრაფი-
კის უპირატესობას. მისი გაფურჩქენა მრავალი მიზეზით არის
გაპირობებული — შესანიშნავი (თუმცა არა დიდი ხნის) ტრა-
დიციით, რომელიც ნაყოფიერად ვითარდება უკანასკნელ
წლებში, და ესტამპის შესაძლებლობათა და თავისებურები-
სადმი მახვილი ინტერესით. ასე თუ ისე, ესტონური ესტამპი
და ნახატი, ილუსტრაცია და წიგნის გაფორმება, გამოყენ-



მარტ ლარანბი

კვააულ იეპუს აიეიაიე

ყო დამოუკიდებელი „ნიეთი“, რაღაც ახალი ობიექტი, რომელიც ბუნებას კი არ ასახავს, არამედ მისგან იღებს „სტრუქტურასა და მეთოდებს“. ლარანბის შემოქმედებაში ცოცხალ ჭერეტას შეგნებულად ცვლიდა საგნის კონსტრუქციული სქემის ლოგიკური გამოვლენა, ემოციური გამომსახველობას — რიტმული მოტორიკა. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი იყო. ლარანბის ადრეული გრაფიკა გამოირჩევა ძლიერი ექსპრესიით და საერთოდ რეალური ფორმების აღბეჭდვის სიმართლით. უფრო გვიან, 30-იანი წლების შუალედში, მის შემოქმედებაში კონსტრუქტივისტული ტენდენციები ქრება. მხატვარი უბრუნდება სამყაროს რეალისტური ასახვის პრინციპს მისი ცოცხალი პლასტიკური სიმდიდრით: დაზუერი ფურცლები და ილუსტრაციები გრძნობას, განცდებს, განწყობილებას გადმოსცემენ. უკვე მაშინ იწყო ფორმირება ლარან

მარტ ლარანბი

ყვეილები



მანის შემოქმედებითი სახის თავისებურებებმა, რომლებიც დამახასიათებელი გახდა მისი შემდგომი ნაწარმოებებისათვის. მხატვრის საყვარელ ტექნიკად რჩება მაღალი ბეჭდვის სხვადასხვა ვარიანტი, განსაკუთრებით ხეზე გრაფიკა.

ომისშემდგომი წლების საბჭოთა გრაფიკაში ლარანბი შემოდის როგორც ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ოსტატი, მისი შემოქმედება შინაგანად მთლიანია, თუმცა, გარეგნულად რამდენიმე ეტაპს გადის. 40-იანი წლების მთვრ ნახევარში იგი მხოლოდ წიგნისათვის მუშაობს. 1953 წლიდან გამეფენზე უკვე გვხვდება მისი დაზუერი ფურცლები.

ლარანბის წიგნის გრაფიკა აღბეჭდილია შემოქმედის ინდივიდუალობით, რაც არა მარტო გარეგნულ ფორმალურ ხერხებში, ნათელ გრაფიკულ მანერაში ვლინდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის, მხატვრული გააზრების მეთოდში. მას ან აკამაყოფილებს მოველინების ელემენტარული, „სახეითი“ გადმოცემა, და შემთხვევით არ არის, რომ თხრობითი ილუსტრაციები ნაკლებად მეტყველი გამოვიდეს. მხატვარი თავის სტიქიაშია, როცა იგი ახერხებს ნაწარმოებში ჩაწვდვს მის ფილოსოფიურ მარცვალს, მსოფლმხედონებას, ძირითად განწყობილებას და გადმოსცეს იგი თავშეკავებულ, მაგრამ ელფერებით მდიდარ პლასტიკურ სახეში. ეს გრაფიკური, თავსართები, ბოლოსართები, შმუცტიტულები აზრის შიშვლი ლოგიკური „კვინიტესცია“ როდია, მათი პოეტური მნიშვნელობა ემოციური მდგომარეობის უსუსტ მიენებაშია. ამას ემორჩილება თხრობითი ხასიათის მომენტები, სიმბოლიკა და სხვ. ამიტომია, რომ ლარანბის წიგნის გრაფიკაში ასე დიდ როლს თამაშობს პიეზატი.

ლარანბის ყველაზე დიდი ნაშრომი წიგნის სფეროში არის გრაფიკები გამოსიწილი ესტონელი პროზაიკოსის ფრანდებერ ტელუასის „თხზულებათა კრებულისათვის“, რომელიც 1957—1962 წლებში გამოვიდა.

მხატვრის წიგნისა და დაზუერი გრაფიკის შორის ბევრი საერთოა. ეს ვლინდება კომპოზიციური იდეებისა და მოტივების საერთო ნიშნებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ბევრი ტექნიკური ხერხის ერთობლიობაზე. მაგრამ მისი ფესვები უფრო ღრმაა: დაზუერი გრაფიკაში ლარანბის ლირიკა უპირატესად ფილოსოფიურ საფუძველს ინარჩუნებს.

ადამიანის გამოხატვისას მხატვარი თავს არიდებს ინდივიდუალურ თავისებურებებს და ისწრაფვის რელიგიურად გამოვლინოს საერთო ტიპური ნიშნები — მაგალითად, გლუხის ეროვნული ხასიათი („მოხუცი“, გრაფიკა ხეზე, 1958 წ.), ან მნიშვნელოვანი სულიერი მდგომარეობა („ოგონა“, ლინოგრაფიკა, 1962 წ.). პიეზატიური ფურცლები, რომლებიც გარკვეულ მოტივს ასახავენ, ამასთან უფრო ფართო აზრს შეიცავენ, მათში თითქმის იხსნება ესტონეთის ბუნების მუდმივი თავისებურებანი, მისთვის სახასიათო განწყობილებანი. მართალია, მხატვრის ზოგიერთ ახალ ნამუშევარში გრძნობის გულბრწყვილი — უშუალო გადმოცემას ვხვდებით, მაგრამ ჩვეულებრივ პოეტურ მჭერეტელობაში განმაზოგადებული აზრია ჩაქსოვილი. ცალკეულ შემთხვევაში მწიდი და დიდებული ბუნების ამსახველი ეს ფურცლები პიეზატიური სახის საზღვრებს სცილდება და ადამიანის ბედზე მეტაფორულ დაფიქრებად იქცევა. ასეთია ლარანბისათვის სპეცი-

ფიგური პეიზაჟები ფრინველებით: „ყვავი მდინარეზე“, „გედები“, „მშინებ“. ეს უკანასკნელი აღიქმება, როგორც ლაკონური სიმბოლო სტიქიასთან შეჭიდებული ადამიანის ვაგაპციობისა.

ლაარმანის ნაწარმოებთა სახეობრივი წყობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი ინდივიდუალური გრაფიკული სტილის თავისებურებებთან. მხატვარი იყენებს მალალი ბეჭდვის ტექნიკას, ამასთან მათ შორის მთავარი ადგილი ხეუფ გრაფიკურას უკუთრავს. მხატვარი შეგნებულად გაურბის შტრიხების შეღამაზებას, დამრგვალებას, ვირტუოზულ სისწორეს, ან თვალიათვის სასიამოვნო ტალღოვან ხაზებსა და სილუეტებს. მისი შტრიხი ფართოა და ხშირად კუთხოვან, არასწორ სიბრტყედ იქცევა, მოცულობები, სივრცითი პლანები განზოგადებულ სიბრტყეებშია მოცემული შავისა და თეთრის მსხვილ კონტრასტულ „ნაჭრებდა“. ამავთა ლაარმანის პოეტური ინტონაციის მკვრივი, ვაგაკური ქღერადობა, რომელიც მხოლოდ შინაგანადაა განათებული ლირიკული სინათლით.

მხატვართა შემდგომი თაობა, რომელიც ამავამდ ესტონური გრაფიკაში მუშაობს, ეს ის ოტატებია, რომლებმაც განათლება ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ პერიოდში მიიღეს, მაგრამ მათი ფორმირება საბჭოთა პერიოდში მოხდა. ამ მხატვართა შემოქმედებითი განვითარება მიმდინარეობდა მეურად უფრო თანმიმდევრულად და ორგანულად. ე. ოკასთან, ე. ეინმანთან, ა. ხოიდრესა და სხვებთან ერთად ამ ჯგუფს მიეკუთვნება რიპარდ კალო, ხეუფ და ლინოლეუმზე გრაფიკურის თვალსაზრის ოსტატი. კალოც ასევე, ერთნაირი წარმატებით მუშაობს როგორც დაზგურ ესტაპში, ისე წიგნის ილუსტრაციათაში.

ესტონეთის ისტორიის გარდატეხის პერიოდში, 1940 წელს ახალგაზრდა მხატვარმა, რომელმაც ის-ის იყო დატოვა სტუდენტის სკამი, შესარულა კომპოზიცია „პოლიტიკური პატიმრების განათვისუფლება“. (გრაფიკრა ხეუფ). ეს ნამუშევარი უოველმხრივ პროგრამული იყო: მოწმობდა ახალგაზრდა მხატვრის უნარს — სწრაფად გამოეხმაროს მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებს. სცენა მოძრაობითაა სასვე. პოზებისა და სახეების ექსპრესიას აძლიერებს შუქჩრდილის ფაქიზ მოდელირებასთან შავი სიბრტყეების შერწყმა.

ამ ხაზის გაგრძელება იყო „ლტოლიონი“ (გრაფიკრა ხეუფ 1942). ესტონური გრაფიკაში იგი ერთერთი იშვიათი ნაწარმოებია, რომელიც მოგვიხიბობს ოკუპაციის შავნელ დღეებში რბევისა და წამების შესახებ, ექსპრესია აქ კიდევ უფრო დაძაბულია — მძაფრი, თითქმის გროტესკული მიმიკა, კომპოზიციის დინამიკურობა, ლაქებისა და შტრიხების მღელვარე რიტმი ღრმა ტრაგიკულ ნოტებს შეიცავს. ოკუპაციის წლებში შესრულებული მისი სხვა ნამუშევრები პეიზაჟებს და ყოფით სცენებს ასახავდა. კალის ოსტატობა მუდმივად იზრდება, განსაკუთრებით ხეუფ გრაფიკურაში. საემარისა დავასჯელოთ დიდი განწყობილებით შესრულებული „ქვის ხიდი ტარტუში“ (1942).

ესტონეთის განთავისუფლების შემდეგ კალო დაუბრუნდა აქტუალურ საბჭოთა თემატიკას. მისი გრაფიკის შინაარსი ტიპობისა ამ დროისათვის. ეს არის, პირველყოფლისა, ადღენითი სამუშაოების მოტივები, მამონდელი ტარტუ თავისი უნივერსიტეტით, ლაბორატორიებით, ბილიოთეკებითა და



ვივე ტოლი

სალაპო


საწარმოებით. და, ბოლოს, ნახატებისა და გრაფიკურების დიდი სერია მხატვარმა სომხეთს უძღვნა.

სტილისტური თვალსაზრისით კალის ნამუშევრები მკვეთრი კონტრასტებით განირჩევა. ფურცლების ერთ ნაწილში ტიპათის ადრინდელ გროტესკულ, გამახვილებულ ინტერპრეტაციას ვხვდებით, მეორეში მხატვრის ეს სპეციფიკური ღირსება ქრება. ნატურის ცოცხალ, უშუალო აღქმასთან ერთად გამჩნევთ მოტივისადმი პასიურ-აღწყობილობით მიდრეკილ.

40—50-იან წლებში კალის ნამუშევრები დაზგურ გრაფიკაში მცირდება. მაგრამ ამ გამოცდილი და ჩამოყალიბებული ოსტატისათვის ძნელი როდი იყო კრიზისიდან გამოსვლა. 1954 წელს მან გამოიფინა ნათელი განწყობილებით სასვე გრაფიკრა ხეუფ „ტალინური მოტივი“. 1957 წლიდან კი ქმნის ნამუშევრებს, რომლებშიც მხატვარი თითქმის ისევე პოულობს თავის თავს („მოპარაკები“, „ტრაგედიის გაჩერე-

ვივე ტოლი

ქალაქი





რიჩარდ კალო ილუსტრაცია შექმნილია თხზულებითი კრებულისათვის

კალოს დაზგური გრაფიკა ღირსშესანიშნავა თემატურის სიფართოვით, თანამედროვე ცხოვრებასთან უშუალო კავშირით. იგი ვირტუოზულად ფლობს მაღალი ბეჭდვის ტექნიკას, ანაბეჭდში აღწევს ძალზე მრავალფეროვან ეფექტებს. მისი ხაზი, შტრიხი, ენერგიული და მკერვიანი, ნახატი — საყვე და რელიეფური.

საინტერესოდ თხრობის უნარი განსაზღვრავს იმ დიდი წვლილს, რაც კალოს მიუძღვის წიგნის გრაფიკაში. კალმით და ხეზე გრავირით მხატვარმა მრავალი ათეული წიგნის ილუსტრაცია გააკეთა. ეს არის რომანები და ზღაპრები, პოეზიის კრებულები და მრავალტომიანი თხზულებანი, რომლებშიც ბრწყინვალედაა გადმოცემული ლიტერატურული სახეების განწყობილება და ხასიათი. გარკვეული აზრით თითქმის შემაჯამებელია მისი ორი დიდი ნაშრომი — კალმით ნახატები ა. დუმას რომანისათვის „სამი მუშეკტერი“, „ოცი წლის შემდეგ“, „ათი წლის შემდეგ“ და ხეზე გრავირები შექსპირის „თხზულებებისათვის“. დიუშას ტრილოგიაში კალმით ერთხელ კიდევ გაიბრწყინა, როგორც თხრობის ოსტატმა ცოცხალი პლასტიკური წარმოსახვით.

სხვა, უფრო რთული ამოცანა იდგა მხატვრის წინაშე შექსპირის ილუსტრირებისას. ძნელა საბოლოო აზრის გამოთქმა, ვინაიდან ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი ტომია გამოსული, რომლებიც ისტორიულ ქრონიკებსა და კომედიებს შეიცავს. თვითველ პიესას ერთი გრაფიურა — შმუტიტიული უძღვის, რომელშიც ერთგვარად ნაწარმოების მარცვალაა მოცემული. ისტორიული ქრონიკების ილუსტრაციებში მოცემულია დრამატული და ტრაგიკული სიტუაციები, ვნებათა თამაშითა გამჭვალული ატმოსფერო. მხატვრის ტემპერამენტი ყველაზე უფრო სრულად იქ ვლინდება, სადაც სახეები მგაფიოა და მოქმედება მძაფრი. თავის სტაქაშია იგი კომედიების ილუსტრირებისას — სცენების სახეა სიცოცხლითა და მიორაობით, პერსონაჟები მოხაზულია თეატრალური სიხედაით, გაციით, ჭეშმარიტად კომედიური იერით. ხეზე კვეთის ხელოვნება აქ სრულ სიმწიფეს აღწევს. მხატვარი უხვად და თავისუფლად იყენებს მთლიანი ტონის, შტრიხის, ნაირნაირი ფაქტურის შესაძლებლობებს, მოცულობასა და ბრტყელ სილუეტს. მისი საჭრტრეობის ქვეშ იხადება მკვერივ და მგაერი ფორმების მთელი სამყარო.

ფართო პოპულარობა დაიმსახურა კალოს ექსლიბრისებმა. მხატვრის გამომგონებლობა ამ ჟანრში ჭეშმარიტად ამოუწერავია: ათეულობით ხის გრავიურის მინიატურული ვარიანტებულისა სურთილული, ამაღლებული, ყოფითი, რომანტიკული, იუმორისტული და სხვა სახეები. ყოვერებსა და საგნებში მინიშნებულია წიგნის პატრიონის საქმიანობა ან გატაცება. ეს „ასოციაციების თამაში“ განსაკუთრებით გვიზიდავს კომპოზიციური ოსტატობის, ნახატის მოხდენილობის მხრივ და გრაფიკული შესრულების ვირტუოზულობით.

კალოს გრაფიკა, რომელიც ესტონურ და ნაწილობრივ რუსულ საბჭოთა ქსილოგრაფიაზე აღმოცენდა, გარკვეული აზრით ტრადიციულია. მიუხედავად ამისა, მხატვრის შემოქმედებითი სახის თავისებურება მის ნაწარმოებებს ახლებურობას და მაღალ ღირებულებას ანიჭებს.

თანამედროვე ესტონურ გრაფიკაში სულ უფრო მნიშვნე-

ბასთანა და სხვ. გრავიურები ლინოლეუმზე). ამ მომენტიდან კალო ისევ დიდად პროდუქტიული ხდება. უკანასკნელი წლების მის გრაფიკაში მთავარი ადგილი უჭირავს ყოფით ჟანრს — შრომას, დასვენებას, სპორტს. და ეს შემთხვევითი როლია. იგი მუდამ ისწრაფვის თხრობისაკენ, მაშინ როცა ბევრი გრაფიკოსი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, უარს ამბობენ თხრობაზე პლასტიკური „ჩვენების“ გულისათვის. კალო პირველი პრინციპის ერთგული რჩება და ოსტატურად იყენებს მის გამომსახველობით საშუალებებს. „მოჭადრაკეები“ — სამი ხასიათი, სამი განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპი, რომლებიც მსგავს მდგომარეობაში არიან, გამოძიწილია დეტალურად და გატაცებით. „უსტი ნახატი, დაჯერებული და მრავალფეროვანი ტექნიკა სახეებს დიდ პლასტიკურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

მხატვრის შემოქმედებაში პორტრეტს შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს, თუმცა თვალსაჩინოა მხატვრის უნარი — მახელად დაახასიათოს მოდელი. კალოს პორტრეტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. უკანასკნელ ნამუშევრებში (1960 — 1961) არის ცდა — თავისებურად გაიაზროს რევოლუციის ბელადის მრავალმხრივი სახე: აზრის გიგანტურობასთან ერთად აქცენტირებულია შურეყველი ნება და მიზანწარფრვა.

ლოან ადგილს იჭერენ ახალგაზრდა ოსტატები, რომელთა შემოქმედებითი ფორმირება განსაკუთრებით კარგ ატმოსფეროში ხდება. მათმა გაბედულმა და გამართლებულმა ძიებებმა ინდივიდუალურ ხელწერაა, სახეების სამყაროს, თემების, განწყობილების, თვითმყოფადი პოეტური მსოფლმეგრძობის ნათელი ჩამოყალიბება განაპირობა.


უმცროსი თაობის ერთ-ერთი დიდად ნიჭიერი წარმომადგენელია ვივე ტოლი. იგი ტიპური მთელი ამ ჯგუფისათვის. მხატვარმა ჯალმა ტალინის სამხატვრო ინსტიტუტი 1953 წელს დაამთავრა. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა მანინე მითქია ყურადღება. ეს იყო მანინ იშვიათი თემატური ციკლი განხორციელებული ოფორტის ტექნიკით. მასში არის გონივრულად და ტემპერამენტულად აგებული კომპოზიციები, გამბარბი მხატვრის უშუალო გრძნობით. მაგრამ მხატვრის ნამდვილი ჩამოყალიბება გასული ათეული წლის დასასრულისთვის ხდება.

1957-58 წლების მისი კომპოზიციები — პორტრეტები ქლებისა და ბავშვების — ეს თავისებური ზღვარია, რომლის შემდეგ იგი ლირიკული გრძნობით აღსავსე ნაწარმოებებს ქნის. ვლინდება ტოლისათვის დამახასიათებელი ემოციურობის ხასიათი — მხატვარი იცავს ზომიერებას განცდათა გადმოცემის დროს, რის წყალობითაც მისი ლირიკული აღსარება კეთილშობილური მოხდენილობის იერს იძენს.

ვივე ტოლის შემოქმედებაში იგრძნობა მისი დაკვირვებული და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი. თვით მკაცრ, გარეგნულად ეპიკურ ფურცლებში, მათ ქვეტექსტში, ფაქტურულ და ტონალურ კარბონაში გამოსტევივის შინაგანი სინათლე, ლირიკული ალტაქება.

ეს ღირსებები ახლებურად გაიშალა მის პეისაჟურ ნამუშევრებში. მოტივები აქ მკაცრადაა შერჩეული — არავიანობისა და არ ჩანს იმისა, რომ თვალი მოიხიბლოს ამა თუ იმ კუთხის „სილამაზით“, პირიქით, ჩანს თავის არიდება ბანალურობისაგან, ლანდშაფტის ხასიათი იხსნება თავისებური და ნამდვილად ახალი ხედვითი წერტილიდან. უსწორმასწორო ჩუქები, ჩაკეტილი ეზოები, მოლდაჯური სოფლის მყუდრო ნაგებობანი გულბრწყინლოდ და ბუნებრივად ერწყმის გარე სამყაროს, მზეს. ტალღისებურად ამოილი ან ჩახვეული მდინარება შტრიხებისა („მოლდაჯეთის სოფელი“, „ბაღა“, 1963) გამომსახველად ძირწაფს შორეული ბუჩქნარის პლასტიკას. განსაკუთრებით ორგანული გამოუვიდა ტოლის ზამთრის ტალინის მოტივი („ქალაქი“. აკვატინტა, 1962 წ.) ამ გამჭვირვალედ ნათელ ფურცელში სუფევს მყუდროება და წინასწრობა, რაც მიღწეულია წყნარი პირიზონტალებითა და ნაირნაირი და ლამაზი ფაქტურის მსხვილი ტონალური სიბრტყეებით. აქ განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა მხატვრის ერთ-ერთი არსებითი ღირსება — უბრალოებისა და ემოციური ნიუანსირების სიმდიდრის შერწყმა, მთლიანი სიცხელი დეტალების დამუშავებაში დიდ ტექნიკურ დახვეწილობასთან.

არა ნაკლებ საყურადღებოა წიგნის გრაფიკა. აფორმების რა პოეტურ კერებულეს, ე. ტოლი რჩება მიღწეული სქემების ფარგლებში — შმუცტიკლებს ზოგჯერ ემატება თავსართ-



ბ. ლები

შებაღურება

ბი, მაგრამ ამავე დროს გეთავაზობს გონივრულ და მოხდენილ გადაწყვეტას. ეს ნახატები, რომლებიც უპირველესად პლასტიკური გასაღებია ლექსთა ციკლისათვის, ამავე დროს ინარჩუნებენ სიუჟეტურ კონკრეტულობას. შემდგომში მხატვარი სახის კიდევ უფრო მეტ სისავსეს აღწევს: ფიგურათა ან საგნების არტიკული ლაკონური მოხაზულობა აზრობრივი და ემოციური ქვეტექსტების მრავალნაირ ელფერებში გადადის. ამით მხატვარი კიდევ უფრო მოქნილად და სრულად მოიცავს შინაარსს. ე. ნიიტის კრებულის „დედამიწა სავსეა ნაბოგებით“ ილუსტრაციებში (1960) მკითხველის თვალწინ გავიდის „პოეტურ დროში“ პირობითად ცვალებადი ლირიკული გემირის სახე. თვითეული ნახატი შინაგანი განწყობის მახვილად მიგნებულ, სახიერი ექსტრაქტივა სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან ახლოსდომი ლექსებისა. და ბოლოს, მხოლოდ ასოციაციებზეა აგებული პატარა, შმუცტი-

ხ. ლაერტი

ჰაბრტაბი



ტულის ნახატები, თითქმის ვინიეტები (1960). აქ გონება-მასვილურადაა ვარირებული ხის მოტივები — ზოგჯერ შემოდგომის, ფოთოლცვენის პერიოდის ხისა, ზოგჯერ ახალგაზრდა და ხან კი ომით დასახინრებულია. წესითქმის სახვითი ეპიგრაფებისა ნოველების მთელი წყებისათვის. ლ. პრომეტის წიგნის ილუსტრაციებში „ემოციური რეზონანსის“ ხერხი სრულყოფილებამდეა აყვანილი.

მხატვრის უმაღლეს მიღწევად „ლირიკული ილუსტრაციის“ ჟანრში იქცა ბოლოსანს გამოცემული ლექსების წიგნი — ესტონეთის პოეზიის კლასიკოსის ანნა ხაავასი „მინდვრის ყვავილი“. შეინარჩუნა რა მთლიანად თავისი ინდივიდუალობა, ვივე ტოლიმ შექმნა გარეგნულად თავშეკავებული, ფაქტად და მრავალფეროვანად ნიუანსირებული თავისი სამყარო, ანნა ხაავას პოეტური სამყაროს პარალელური, ისეთივე მღერადი, სუფთა და გულწრფელი გრძნობებით აღსავსე და ეროვნული მხატვრული მსოფლშეგრძნების იმავე ნაკადში მიმდინარე.

სხვაგვარად დასაურათა მხატვარმა საგზაო ჟანრის ნაწარმოებები ლ. პრომეტის და რ. პარვეს „სამჯერ ჩალავებული ხელჩანთა“ — წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში და ფინეთში მწერალთა მოგზაურობის შესახებ. წიგნში უხვადაა ნახატები, რომლებიც თითქმის თვით წიგნის ავტორთა მიერაა შესრულებული საგზაო დღიურის მინდვრებზე: სწრაფად ჩახატული არქიტექტურული მოტივები, ჟანრული სცენები, მეტყველი ტიპები, მონუმენტები... ასევე გადაწყვეტილი ი. სმულის „ყინულის წიგნი“ (1962). მასში მომენტალური ჩანახატები კიდევ უფრო ორგანული და ბუნებრივია, გამომირჩევა უშუალობით.

ტოლის წიგნის გრაფიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკა-

ვებს მისი ილუსტრაციები საბავშვო წიგნებისათვის. რამდენიმე ნამუშევარში მხატვარი თანდათან ხვეწავს თავის უნარს — ელაპარაკოს პატარა მკითხველებს მისთვის გასაგებ და საინტერესო ენაზე. ამ მხრივ გამოირჩევა ე. ნიტიის წიგნი „მოთხრობები პილ რინზზე“ (აკვ. ფერ ფანქ. 1963), რომელსაც ფერადოვანი და საზეიმო იერი აქვს. მასში უხვადაა გაზილი გვერდების ილუსტრაციები, ბოლოსართები, ნახატები ტექსტში, მრავალფერადი სათაურები. თითქმის ყოველი ახალი გვერდი ახალ შთაბეჭდილებას უზმადებს მკითხველს და ისევე, როგორც ცხოვრების ყოველი დღე, ახალი აღმოჩენებით ასაწურებს მოთხრობის ხუთი წლის გმირს. ილუსტრაციების ხასიათი ბავშვის ნახატს უახლოვდება, თუმცა სრულიადაც არ ემთხვევა მას. ასეთი გაორება — „ბავშვურისა“ და „დიდურის“, რაც მსჭვალავს წიგნის გაფორმებას, პარალელურია ე. ნიტიის ორბლანოვანი მოთხრობისათვის, რომელსაც ბავშვის უშუალო აღქმაში ისახება ჩვენს დღეების დიდი სამყარო.

ვივე ტოლის შემოქმედება განვითარების პროცესშია. მისი ტალანტი ახლებურად ვლინდება ყოველ მის ახალ ციკლში. მაგრამ იმაში, რაც მან უკვე შექმნა, გამოავლინა თავი როგორც მომწიფებულმა ოსტატმა, რომელმაც მნიშვნელოვანი და თვითმყოფადი წვლილი შეიტანა ესტონურ გრაფიკაში.

ცხადია, სამი მხატვრის შემოქმედება, რომელიც ზოგადაა დაა აქ დახასიათებული, სრულიადაც ვერ ამოსწურავს ესტონური გრაფიკის მრავალფეროვნებას. ამ სურათს შედარებით სრულად წარმოადგენდა თბილისში მოწყობილი ესტონური გრაფიკის გამოფენა, რომელზეც ჩანდა მისი თანამედროვე მდგომარეობა. ჩვენ ნარკვევში გვსურდა მხოლოდ წინ წამოგვეწვია ზოგიერთი ტიპიური და ღირსშესანიშნავი მოვლენა.

ე. ლეტი

კემეროვოს საწარმოო მოტივი





მწერალი — თუნდაც ნიჭიერი — ვერ ბედავს ხელი შემაერთოს“. დროთა განმავლობაში იცვლება დრამატულ ნაწარმოებებსა ფორმა, მაგრამ არის ერთი ძირითადი თვისება, რომელიც უნდა იქონიებდეს დრამატულ ლიტერატურას, როგორც ხიზნადობიერი — აღმზარების ცოცხალ მოქმედებაში ჩვენება თხრობითი ახსნა-განმარტების გარეშე.

სინამდვილის აძვარი ასახვის სირთულე ცნობილია. მის შესახებ არავინ დაოს, მაგრამ მინც ვინ და რა აპირებებს დრამატურგიის ესოდენ ცნობილ სირთულეს და სპეციფიკურ თავისებურებას?

დროებით დავივიწყოთ ის, რაც ვიცით დრამატურგიის შესახებ ამ საკითხის გარემო არსებული ლიტერატურიდან, დავაკვირდეთ მხატვრულად ხარისხოვან პიესას და ვნახოთ რას გვაუწყებს იგი საკუთარი თავის შესახებ: ავტორი. სათაური. აქტების რაოდენობა. მოქმედ პირთა ჩამოთვლა, ტუნწი განსაზღვრებით, ზოგჯერ მათ გარეშე. ყოველი აქტის წინ მცირეოდენი მითითება მოქმედების ადგილზე. გვერდის მარცხენა ნაპირზე გმირის სახელი, გასწვრივ — მის მიერ თქმული სიტყვა. ზოგჯერ ფრჩხილებში ჩამწვედული ტუნწი მითითება, რემარკას რომ უწოდებენ. იკითხება არა უშუაღეს 1,5 საათისა. (ასე რომ, მოცულობა თითქმის ერთნაირი).

ავტორი და სათაური ყველა ნაწარმოებს გააჩნია. აქტებზე მითითება — მხოლოდ დრამატურგიულს. ყველამ კარგად იცის, რომ აქტების რაოდენობის აღნიშვნა მხოლოდ ნაწარმოების მოცულობაზე არ მივითითებს. იმანდაც, რომ ამ ნაწარმოების მიმდინარეობაში გარკვეული წყვეტილი, შესვენება იგულისხმება. შესვენება დროში გაძლიერ ყველა ნაწარმოებშია გათვალისწინებული. რომანის მკითხველიც ისვენებს, ოდნოდ ხეიხშირად, დრამატურგი კი ამ შესვენებაზე აქტის დასასრულით მიგვანიშნებს. ვისთვის ყოფს იგი პიესას აქტებად? ვინ უნდა იცოდეს ასე ზუსტად სადაა საჭირო და შესაძლებელი ნაწარმოების დინების დროებითი შეწყვეტა? რასაკვირველია, არა პიესის მკითხველმა. მკითხველი, მიუხედავად აქტებად დაყოფისა, სულაც არ არის მოვალე სწორედ აქტის დასასრულს შეისვენოს. მას შეუძლია, სადაც სურს, იქ შეწყვიტოს კითხვა. შეუძლია შეუსვენებლივ თავიდან ბოლომდე წაიკითხოს ნაწარმოები. პიესას დრამატურგი აქტებად ყოფს თეატრისთვის — მსახიობისთვის, რომელმაც გმირის ცხოვრება ერთი საღამოს განმავლობაში უნდა განიცადოს სცენაზე. ეს ცხოვრება კი ზოგჯერ ურთულესი გრძნობებით და აზრებითაა დატვირთული. მსახიობს დასვენება სჭირდება. გარდა ამისა, დრო ჭირდება იმისთვის, რომ სამოსი გამოცვალოს, საჭიროების მიხედვით შეიცვალოს გრიმი. დასვენება ჭირდება მაცურებელსაც, რომელიც ერთი აქტისთვის განსაზღვრული დროის განმავლობაში სცენიდან ერთდროულად აღიქვამს დრამატურგიას და მსახიობის, რეჟისორის, მსატრისა და კომპოზიტორის ერთობლივ ნაწარმოებს. მისი ყურადღება მრავალფეროვანი და ძლიერი შთაბეჭდილებით იტირდება — აღქმისუნარიანობა იკლებს. საჭიროა დასვენება. ამგვარად, დრამატურგიული ნაწარმოების აქტებად დაყოფის თავისებურება თეატრალური ხელოვნების ბუნებითაა გაპირობებულია.

ბელეტრისტიკ თავისუფალია გმირთა რაოდენობის განსაზღვრაში, ამიტომ ეს გმირები ზოგჯერ უამრავი. დრამატურგს შეუძლია შეიცვალოს პიესაში მხოლოდ იმდენი გმირი, რამდენი ადამიანის გამოვლენასაც მოახერხებს წარმოდგენისთვის განკუთვნილი დროის მანძილზე.

ბელეტრისტიკულ ნაწარმოებს მასში მონაწილე გმირთა ჩამოთვლა არ უძღვის წინ. პიესაში ეს ჩამოთვლა მუდამ არის, რატომ? რა მოსაზრებით გვაცნობს დრამატურგი მოქმედ პირებს პიესის დაწყებამდე? ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ყოველი გმირის დასახელებას გარკვეული ახსნა-განმარტება ახლებს ხოლმე თან, იმის მინიშნება, რაც ყველაზე მეტად ყურადსა-

დრამატული

ქანრის

საკითხისათვის

ნათელა ურუშაძე



რამატურგიის შესახებ არსებულ ყველა შრომაში აღინიშნულია, რომ დრამა ბერძნულად მოქმედებას, ქმედებას ნიშნავს, რომ პიესა არის სცენიური განხორციელებისათვის გათვალისწინებული ლიტერატურული ნაწარმოები დიალოგურ ფორმაში. მიუთითებენ ლიტერატურის ამ სახის სირთულესა და იშვიათობაზე. იხსენებენ პეველის, პუშკინის, ბელინსკის, ილია ჭავჭავაძის, გორკის და სხვათა ცნობილ აზრებს იმის შესახებ, რომ „დრამა ლიტერატურის ურთულესი ფორმაა“, „ხელოვნების განვითარების მეტეგალია“, რომ „დრამატული მწერალი უნდა ფლობდეს ფილოსოფიის მიუდგომლობას, ისტორიკოსის სახელმწიფოებრივ აზროვნებას, შორსმჭვრეტელობას, ცოცხალი წარმოსახვის უნარს და თავისუფლებას“, რომ „დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა



ლებია (ასაკი, თანამდებობა, ზოგჯერ მთერე გმირისადმი მიმართება და სხვა), ახსნა-განმარტებითი ტექსტი კი პიესის დრამატურული ქსოვილისთვის უცხოა. მეორე — დრამატიკური დროს არ მარჯავს ამაზე — მოქმედ პირთა ჩამოთვლა ან წაგრილი გვერდის რომ დღივასი პიესაში, ეს ხსენებრი გვერდი გარკვეულ სცენურად იხსნება. სცენური დრო კი ისეთი იყავით პირობაა, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს. კ. მარჯაბი-მეილი ამბობდა თურმე — თუ საათის ისარი თორმეტის ნახევარს გადავდა, წარმოდგენა კი ვერ არ დათმავრებულა, მაშასადამე დადგმა არ გვართავს. რას ნიშნავს ეს: იმას, რომ კ. მარჯაბიძემილ მუდამ ითვალისწინებდა მაყურებლის მიერ თეატრალურ შთაბეჭდილებათა მიღების საშუალო უნარს და არ უნდოდა დაღლილი გავიქცა იგი წარმოდგენიდან. დაღლილი ადამიანი შთაბეჭდილებით ვერ დაიტვირთება, ე. ი. საჭირო არცხვს, განძნობებს და სურვილებს ვერ გაიყოფილებს თეატრში. მაშასადამე, თეატრის მისაცემი თვალსაზრისით დარჩება. სცენური დროის ეს განსაზღვრულობა აძილებს დრამატურად რაც შეიძლება მუნქი იყოს გმირთა „სასცენოებელი ფართობის“ განაწილებისას. ამიტომ იგი პიესის არც ერთ გვერდს არ ხარჯავს მოქმედ პირთა ცანცანაზე, მის ვარჯთ გამაძრავს იგი, წინ უმძღვარებს. დრამატურული ნაწარმოების ეს თავისებურება თეატრის ბუნებითაა გაპირობებული.

მოქმედების ადგილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველგან, სადაც არ ადამიანის ცხოვრებასთან გვაქვს საქმე. ადამიანი არ წარმოადგენს იმ კონკრეტული გათვლის ვარჯთ, რომელიც პიესის ცხოვრება მიხედვით ხდება. სცენური დროის მიზანი და მისი განზორციელების გზები მუდამ გარკვეულ სინამდვილესთან მიმართებაში ვლინდება. დროში შეუზღუდავი ბელეტრისტიკა სრულად და ამოქურავს გადაცემის სიღრმეში, გაბრუნებს, რომელსაც გმირთა ცხოვრება მიმდინარეობს, გარკვეულად იმისა ბუნების სურათი იქნება ეს, თუ საცხოვრებლის აღწერილობა.

დრამატურული ნაწარმოები მოქმედების დრო და ადგილი ზოგჯერ აღნიშნულია გმირთა ვიხაბების მიითთების შემდეგ პირველი ფურცლის დასასრულს, უმთავრესად კი რემარკებში, რომლებიც წინ უძღვანია აქტებს. დროთა განმავლობაში დრამატურული ნაწარმოების აგებულებაში მომხდარი ცვლილებებისა ერთად რემარკებიც იცვლებდნენ. შექმნილი ზედმოქმენით მუნქად მიგვანიშნებს მოქმედების ადგილს. ჩეხოვის პიესებში რემარკა, მოქმედების ადგილის აღნიშვნის გარდა, საერთო განწყობილობის და თავისებურ ატიმფეროსაც ვაუწყებს. გორკისთან ამავე კიდევ უფრო იმატა. თანამედროვე დრამატურია, რომელიც მეტად კონდენსირებულია თვით პიესის ტექსტით (ორ მოქმედებაზე მეტი თითქმის აღარ იწერება), უფრო ვრცელ და დაწერილებით რემარკებს მიმართავს (მილოჩი).

რემარკის საკითხში მომხდარი ცვლილებები უშუალო კავშირშია თეატრალურ ხელოვნების მიმდინარე პროცესებთან და ცვლილებებთან. როცა ჩეხოვი რეფორმას ახდენდა დრამატურებაში, ამ დროს მისი დიდი თანამედროვეები კ. სტანისლავსკი და ე. ნემიროვი-დანიევიც ახალი თეატრის შესაქმნელად იბრძოდნენ. შედეგ მათ სამივე ერთად შექმნეს სამხატვრო თეატრი, რომლის ხელოვნება თვისობრივად იყო ახალი. ეს იყო თეატრი, რომელიც მიზნად ისახავდა გმირთა ცხოვრების საერთო სურათის კუქმარტავ და მხატვრული სიმართლით ხატვას. ამ საერთო სურათში მოქმედების ადგილს, რა თქმა უნდა, ერთი უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რემარკას დრამატურული გმირთა მოქმედებამდე აქოსეს. ჩელოვნიკი, ეს არის ფრჩხილებში ჩასმული მოკლე მიხმინება იმაზე, თუ რას აკეთებს გმირი ამა თუ იმ სიტყვებზე (მიუხელოდა, შეჩერდა, ჩაიანა. თათი დახარა და სხვ.). ან რა ორ წარმოქმნის მას (ამოხიზრით, დაცინით, მკვხედ და სხვ.). ამგვარი რემარკები არ არის ხშირი, მაგრამ

რადგან მაინც აქვთ ადგილი დრამატურული ნაწარმოებში, გასაკვივია რა შემთხვევაში და რა მხნით მიმართავენ შერე პიესის ატორები.

რადგან წარმოდგენისთვის განკუთვნილი დრო განაპირობებს პიესის მოცულობას, მხატვრულ ხერხთა სიძუნწე და ლაგობორთა დრამატურების თვისიდად იქცა. ფართო სურათის ასუალებას მოკლეობისთვის ამავე გმირთა ცცხვარში იმლება. ამ საუბართა ჩამოვლილი გმირებში ტიტრის და ინიციალიური ილფრის ამოვიხვავს ატორი ანდობს მნიშვნელობა და მასობის, რომელიც ამ სიტყვას სცენიდან გაავითხნის მაყურებელს. მაგრამ ზოგჯერ დრამატურული მაინც აუხსტებს მიმდინარე მოქმედების საუბართ ხედვას და ტექსტში ჩაიროული რემარკის სახით რომელიც კონკრეტულ ქვეყაზე ამ სიტყვის წარმოთქმის თავისებურებას მოვითვლივს (გუნლებზე დაცვა, ხელზე გამორთა, შეკავება, ჩასურრვა და სხვ.). რადგან ყველა შემთხვევაში ატორი რემარკა გმირის სიტყვით ამ უსტრული მოქმედებასთანაა დაკავშირებული, ნათელია, რომ ატორის ისინი გავთავლისწინებია, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, ვინც ამ ბუნების სახით უნდა ამოქმედდეს სცენაზე — მსახიობისთვის. ამ დრამატურული ერთის მხრივ თითქმის ზღუდავს მასობის, მეორე მხრივ კი პირიქით — მიანიშნებს იმაზე, რაც მნიშვნელოვანია მისი გმირისთვის იმ მომენტში. შეიძლება პიესაში სულ არ იყოს ატორი რემარკა და ის უბრწყინავს დრამატურული ნაწარმოებად ითვლებოდეს, მაგრამ თუ რემარკა იჭრება გმირთა სიტყვებში, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს პიესის სცენურ ხორცშესხას.

დრამატურია საკითხავა ლიტერატურად არაა მიჩნეული. ითვლება, რომ მითხვლავა უმრავლესობა პიესებს არ ეტანება იმიტომ, რომ ჩვეულებრივი წარმოსახვის უნარის მქონე მკითხველს ავიღოდა ვერ აწდის საჭირო აზრობრივია და ემოციური სავებს. ძირითად მიზნზე ხედავენ იმაში, რომ პიესა გმირთა საუბრებისაგან შედგება მხოლოდ.

რატომ უნდა იყოს ძნელი საუბრებისაგან შემდგარი ნაწარმოების კითხვა? განა ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ცოცხალი საუბრით არ უკავშირდება სხვა ადამიანებს? მის უკან ამ დროს არაიან არ დგას და დამატებითი ახსნა-განმარტებებს არ იძლევა არც იმის შესახებ თუ როგორი აინდია ამ დროს, ან რა გაიფიქრა მისაუბრებია შორის რომელიმემ, რა გაახსენდა, რა მიხნით წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა და ა. შ. ცხოვრებაში ჩვენ ყველაფერი ჩორვად გვემისი და თქმული სიტყვა სრულად ადამიანის ხარვედ იმისთვის, რომ ურთულეს ვითარებაში გავკვრებ, სათანადოდ ვუპასუხოთ და მოვიქცეთ. მაშ, რატომ გვიკვირს რელიკებს უკან გმირთა ცხოვრების სურათის ამოკითხვა პიესაში? იმიტომ, რომ ცხოვრებაში ნათესაობი სიტყვა ცალკე და მარტო არ არსებობს. მას წარმოსახვას კონკრეტული ადამიანი, ჩვენ ვხედავთ მის სახეს, თვალთა გამომეტყველებას, გვემისი მრავალფეროვანი იტხნაკაციით ფერადი მისს ხმა. ვიყოფებით გარკვეული განწყობილებით მოცულ გარემოში. ეს გარემო მუდამ შეიცავს მეტყველ საშუალებათა იმ მრავალფეროვანებას, რომელიც თან ახავს ხოლმე ადამიანის მიერ სიტყვის წარმოქმნას. ასევე ეს ცხოვრებაში. ბელეტრისტიკა ყოველგვ ამას გმირთა შორის მიმდინარე დიალოგში აქსუსს: აღწერს ბუნებას, გმირთა სამყოფლებას, მის მიერ უკვე გახილული ცხოვრების გზას, ყველაგან დადავარულ საიდუმლო შრავებს, შეუშოთა ნებისმიერად გადაცივანების წარსულსა და მომავალში. ბელეტრისტიკული ნაწარმოების ის ადგილები, რომლებიც გმირთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს შორისაა, სწორედ ამგვარი მასალათა შევსებული. ამიტომ აღიქმება ავიღოდა და სასიამოვნოდ იკითხება. ბელეტრისტიკა მიმდინარე ამის გადმოცემის მიხედვით საშუალებას ვლობს, რომ მის მიერ დახატული სურათი იმდენიხველის ტონების ზედმეტი ძალით ამუშავებს არ მიითხვს.



დრამატურგს არცერთი ეს საშუალება არ გააჩნია. მის ხელთა მხოლოდ მოქმედ პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვები იარაღის ეს ერთადერთობა არ შეიძლება გაოცდული დავს არ ასაძვებს სიტყვას პიესაში და არ განახლებდნენ მას სიტყვისაგან ბელეტრისტულ ნაწარმოებში. ეს რომ ასე არ იყოს, იყოლიდა რამასა და მოთხრობისში რომ არ განსხვავდებოდეს დრამატურგული რეპლიკისაგან, მაშინ ყოველი ბელეტრისტული ნაწარმოების პიესად ქცევისთვის საკაიროს იქნებოდა ატორისთვის ანუწერიტი ტექსტების ამოღება და მხოლოდ რეპლიკების დატოვება. ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცემა-განმარტების. ყოველი მათგანი რეპლიკის საყრდენია, მისი დამამარტ. დრამატურგული რეპლიკა დახმარებ არ უყავს, ის სრულიად მარტა. ყველაფერი, რაც მწერალთან ალწერაშია დაუსტებული, დრამატურგთან თვით რეპლიკაშია ჩაღვრილი და ხაულოისმები. ამანა და დრამატურგული სიტყვის ძირითადი იარაღად, როგორც მწერლის მიერ მისი მოთხრობის, ისე მკითხველის მიერ მისი ათვისების თვალსაზრისით. გმირთა ცხოვრებაში მრავალპირი ჩარევები შეუძლებლობის გამო, დრამატურგმა ისე უნდა მიმართოს მკითხველის ყურადღება, რომ დასვენებში მან თვითონ გამოიტახოს. გმირები პიესაში ავტორთან დამოუკიდებლად ცოცხლობენ. კარგი დრამატურგის წარმართული ხელი არასდროს არ ეტყობა მის ნაწარმოებს და რაც უფრო მაღალხარისხისაა იგი, მით უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად მოქმედებენ მისი გმირები.

დრამატურგული ნაწარმოების ამგვარი ბუნება მისი აღწერის თავისებურებაშიც ემსახურება — მისი მკითხველზე უფრო დამოუკიდებელი, უფრო თავისუფალი იმანი, რასაც ათიო-თიხანეს იგი რეპლიკა შორის დატვირთვულ საიდუმლო სი-ცაირლეში. მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტად მაღალხარის-ხოვან პიესაში მაინც ყველაფერი გასაგებია. შესაძლოა, აღ-ვისი სირთულის გამო, ის საკითხავად საინტერესო არ იყოს მწავალთათვის, მაგრამ თუ კი წაითხოვს, ყოველგვარი ასხს-ანამარტების გარეშე გაიგებ, რაიმე შემოვიღებ ამ გავიდა-გმირი, თუმა ავტორი ერთი სიტყვით მიგვიითხებს მხოლოდ იმარტაში (შემოვიდა, გავიდა). არც ისაა გვიამბობს სად უკი ეს გმირი სანამ დაბარუნდებოდეს, ციოდა თუ ცხელიდა-ცარტ, განურჩევლად იმისა გმირის ამ ორ გამოჩენას შორის ერთსა სათმა გაიარა, თუ რამდენიმე წუღამ. გმირის ცხოვრე-პის ეს მონაცემთი არ შედის პიესაში ჩვენთვის ხილულად, ის ლინდებდა მხოლოდ შემდგომიჩენაში, როდესაც ჩვენ კვლავ ვითხულობთ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

არც ერთი პიესა არ იწყება გმირთა ცხოვრების პირველ დღით და არ მოაგრდება უკანასკნელით, ის ცხოვრების რო-მიოლაც მონაკვეთის ასახავს ხოლმე ჩვეულებრივ, მაგრამ რეპ-ლიკებში ჩანებდელი ეს მონაკვეთი თხრობის გარეშე გვატ-კობინებს როგორი იყო მოქმედ პირთა ცხოვრება პიესის დაწყ-ყვამდე, ვინ და როგორი არიან ისინი, რით სულდამულებენ, რა კონტრეტული მოხზებებით ცოცხლობენ, როგორ იბრწვიან მათ განსაზღვრებულად.

მაღალხარისხოვან პიესაში გასაგებია როგორც ყოველი ცალკეული მოქმედი პირის ინდივიდუალური ხასიათი და ში-ხანდა მამობრავლებული ცხოვრების ხასი, ისე ამ ცხოვრების ხასების ურთიერთი სლარობები და შენარტობები. კარგი დრამა-ტურგი ცხოვრებას ღრმა ჭრილიში ხედავს. მხოლოდ მაშინაა გმირთა ურთიერთობა რთული და საინტერესო. რამდენჯერ შეუღარებიათ პიესა სიმფინიური მუსიკისთვის იმის გამო, რომ ძირითად თემას თანხლებენ, პარალელური თემები ექ-მედმარტება, მონოლოგებისა და დიალოგების თეოდებიტა-ტურგური ეპიზოდების პოლიფონიურ გვრადობას ერწყმის და გმირთა ცხოვრების შენაერთის ერთ მთლიან ნაკადად მოე-

დინება. მისი მამობრავლებული იდეა, დრამატული ამბავი ყვე-ლა გმირისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უსაყოფოდ ატურის ხდის მათ, ხოლო საპასირობი ინტერესები ბუნებრი-ვად დაბეჭდ კონფლიტს, რომლის გარეშეც არ არსებობს დრამატურგია. კონფლიტის გარეშეც თავისიერი გმირთა ცხოვრება ბრძოლის ციციცად პროცესში ცხადდება ჩვენ თვალ-წინ. იდისა და გმირთა ცხოვრების პროცესში ჩამოყალიბება დრამატურგულიობის აუცილებელი ნიშანია.

სისაბდლოს ესოდე რთული გზით ასახავში დრამა-ტურგს ხელთა აქვს მხოლოდ ის სიტყვები, რომლებსაც მისი გმირები ამ საკუთარ თავს ან უთმამათეს ეუბნებიან — მონ-ილოგი და დიალოგი.

მონოლოგი საკუთარ თავთან საუბარს ნიშნავს. კ. სტანის-ლაგინი ამბობდა: „მონოლოგი... აღარაბა მაყურებლისა და საკუთარი თავის წინაშე... ეს ერთადერთი საათია ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც იგი ბოლომდე გაიმოუღებელი რო-გორც საკუთარი თავის, ისე მათ წინაშე, ვისაც შეუძლია მისი სიტყვა გააგონოს იმ დროს“.

დროთა მამილულ დრამატურგულ ლიტერატურაში მომ-ხდარი ცვლილებები მეშვი როგორც მონოლოგის დანიშნულე-ბას, ისე სტრუქტურას. ზოგი ავტორი სხვადასხვანაირად იყე-ნებს დრამატურგიული აზროვნების ამ ფორმას — შექპაირ-ობს პამლები მონოლოგს ზოგჯერ სრულ სიმარტოვში წარ-მოსთავებს, ზოგჯერ კბინია რომ ხმარტია, მის მხამადად ფიქრს კი კლავდნენ და პოლიონესი სიმენენ ისევე, რო-გორც აიავახებ შეიქნებუ კულიტებს რომეო უამენს. ზოგჯერ, სინოლოგი ადამიანებთან შეხვედრის ნიადაგზე იმადება (ტელის მონოლოგი სენატო, ანტონოსის მონოლოგი კე-ისის ნემტობა). კლასიციტურ დრამაში მონოლოგი ეპიზო-დების ლიოლიურ დაკავშირებას ემსახურება (თხრობით ხასი-სის მონოლოგი სეცვის გარეთ მომხდარ ამბავს ვაკატყობენ-ებს). ადრინდელმა ბურჟუაზიულმა დრამამ მონოლოგს სა-ზოგადოებრივი მზილების ფუნქცია დააკისრა. ცნობილია, რომ ფიგაროს ბოლო მონოლოგს ნაპოლეონმა უწოდა რევილუციის მსველობამა, ეს ტანდენცია გახსაყურებთი შესამჩნევია რუსულ კლასიკურ დრამატურგიაში. გრიბოიედომა ჩაცვის მონოლოგები საზოგადოებრივი წყობის მზილებით დატვირტია, ამიტომ მისი მამადალი ფიქრი ასე ხშირადა მიმართული კონკრეტული ადამიანებისადნ. საზოგადოებრივი პათოსით აღსაცე მონოლოგებს ოსტროუსკისთანაც ვხვდებით (ჭადღვი, მწუხროვი, ნესალატოციკვი). ოსტროუსკის გმირები ხშირად უმწავებს სულიერ ტანჯვასაც ვადაგვიშლიან ხოლმე მონოლო-გებში (ლარისა, კრუჩინინა, ტაქერინა). ჩეხოვის გმირთა მონ-ოლოგებიც მრავალგვარია. მონოლოგის საშუალებით ჩეხოვი ზოგჯერ გმირის რთულ განცდებში ჩავვახვდები (ნინა ზარე-ნაია, მამა, ტრალევი), ზოგჯერ გმირის მიერ განხილვ მთელ ცხოვრებას ვადაგვიშლის (ასტრევი, ლობახინი). ყველა შემ-ხვეცაში მონოლოგი ჩეხოვთან ნაწარმოების ძირითადი მისა-წარაფასებაა დააკავშირებული. ამიტომ გარეწუნულად თით-ქოს თხრობითი ხასიათის მონოლოგები გასაყარე შინაგანი პოეზიითა და გამეჭვრელებით არიან ასაცე. გორკი ხშირად არ მიმარტავს მონოლოგს, მაგრამ თუ კი დასტერდა, გმირის სულიერი ტანჯვებს ფილოსოფიურ გუნჯავებამდე ასული აზრებით ტანტრავს (სატინი, ლუკა, ბულიონივი).

როგორც არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან დრა-მატურგულ ლიტერატურაში არსებული მონოლოგები, ერთი რამ ყველა წინდა სახის მონოლოგისთვისაა დამახასიათებე-ლი — იგი ზელამ ქმედითი აზრის თავისებური ნაღულია და უსათუოდ შეიცავს როგორც ნაწარმოების ძირითადი კონ-ფლიტის მრავალს, ისე გმირის შინასამყაროში ამჟამად მამიდანდა მამიდანდადობის ბრძოლას.

მატურგული ნაწარმოების გმირის ცხოვრებაში მონოლოგის აღმოცენება თავისი კანონზომიერება აქვს. მართლაც, ხომ

არ შეიძლება ადამიანმა უმიჯნოდ დაიწყოს საკუთარ თავს საუბარი იმაზე, რაც ძალიან ალღევებს, მაგრამ სხვას ვერ გაუხარებინებს?! ეს სდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე მეტად მნიშვნელოვანი გასაზრებელი და გადასაწყვეტი რად-ღაც საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს, მონოლოგი საპირისპირო აზრთა თანმიმდევრობა კი არა, მათი მიქცევაა. ხოლო რადგან გადაწყვეტილების შესასრულებლად ჰქონდება, სინამდვილე ჩარევაა საჭირო, მონოლოგიც იბადება იქ, სადაც საკითხი მნიშვნელოვან იმდენად, რომ უსაუბრო უნდა ამხივთქის სიტყვით და საკმით. ამაში მონოლოგის ძალა — მის მწუხრებელ მისწრაფებაში გადაწყვეტის რაღაც მნიშვნელოვანი, აქტიურად ჩაერთვის სინამდვილეში, შევალის იგი. ამაში მისი ქმედითი, დრამატურული ბუნება.

მონოლოგი, როგორც დრამატურული აზროვნების ფორმა, მუდამ რთული იყო თავისი აუკარა პირობითობის გამო. დრამატურული მონოლოგი ადამიანი იმას ამბობს ხმამაღლა, რაც ცხოვრებაში ფიქრის საზღვარს არ სცდებოდა. მიუვანო გმირი იმგვარ შინაგან დაძაბულობაში, როდესაც ფიქრი ხმამაღლა ითქმის, რასაკვირველია, ძალიან ძნელია. ამიტომ მონოლოგი მხოლოდ მაშინაა სტრუქტურული და მხატვრულად დამატებული, როდესაც მკითხველი გმირობს მისი აღმოცენების აუცილებლობა. ხოლო მისი სიტყვიერი ქსოვილი — საკუთარ თავთან შეჭიდებული ადამიანის ბრძოლის ცოცხალ პროცესს.

საკუთარ თავთან საუბარი და ჭიდილი ბელეტრისტულ ნაწარმოებებშიც გვხვდება (იგავე კარნაჟის საუბარი ემ-ბოლა, თარაბათ ქვირვის ფიქრები ვიროგის არჩილთან გაძვების წინ). მიუხედავად ამისა, მონოლოგი დრამატურული ხერხია, ის არავითარ ავტორისეულ ჩარევას არ შეიცავს და მხოლოდ რეპლიკებისაგან შედგება. მაშასადამე, ყოველი სიტყვის უკან იგულისხმება გმირის სულიერი სამყაროში მიმდინარე ცოცხალი პროცესი, რომელიც ბავშვის ამ სიტყვას. ამიტომ რაც უფრო ცოცხლად გამოიკვეთება ეს პროცესი, რაც უფრო თვალსაჩინო იქნება თვით სიტყვის დაბადების მომენტი მით უფრო დამატებული იქნება მონოლოგის პირობითობა. მონოლოგის წარსი დროს დრამატურული ელემენტების იმ ადამიანს, რომლის წარმოდგენაშიც მის მიერ დაწერილი ყოველი სიტყვა ხელახლა დაიბადება. ვინც ამგვარი ვარაუდის გარეშე ქმნის ლიტერატურულ გმირს, იშვიათად აყენებს მას იმგვარ მტკიანარეობაში, როდესაც გმირმა შინაგანი ჭიდილის შედეგად, ავტორის ყოველგვარი ჩარევის გარეშე უნდა გადაწყვეტოს რაღაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანი. ასეთ შემთხვევებში ლაპარაკობენ ბელეტრისტულ ნაწარმოებებში დრამატურული ელემენტების არსებობის შესახებ.

დიალოგის შესახებ არსებულ ყველა განსაზღვრაში ამოვიკითხავთ, რომ ტერმინი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან — დიალოგის, რაც საუბარს ნიშნავს, რომ დრამატული დიალოგი ეპიკური და ლირიკული დიალოგისაგან განირჩევა აუცილებელი ქმედითობით, რაც თვით დრამის სთეატკური ბუნებითაა გაპირობებული.

დრამატურული ნაწარმოების თავისებურებათა ისტორიული ცვლილებაში დიალოგსა შეეხო, მაგრამ არსი მისი არ შეცვლილა — დრამატურული დიალოგი იბადება იქ, სადაც გმირები მათთვის მნიშვნელოვან ამაღლებულ ვითარებაში აღმოჩნდებიან და საპირისპირო სურვილებით ამოქმედდებიან ურთიერთსაუბარში. ეს დრამატიზმის აუცილებელი პირობაა.

რას იმნიშავს საუბარი და რა განსხვავებაა ქმედისა და არაქმედის საუბარს შორის?

ყველამ იცის, რომ საუბარი ერთი ადამიანის მიერესთან სიტყვით დავაგმრებას ნიშნავს. სიტყვა კი იმავედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საჭიროა. სიტყვის საჭიროება დასრულებულად მრავალფეროვანია — გადაცემა, შეტყობინება, ად-

წერა, თხოობა, ახსნა-განმარტება და ა. შ. დრამატურული სიტყვა ამით ვერ შემოფარგლება, ის მეორე ადამიანი აქტიური ზეგმოქმედების საშუალებაა. ინტელექტუალური ანგარი დანიშნულების მიზნებზე აქცევს საუბარს — მოქმედებად. ნაწილობა დრამატურული დიალოგი ამგვარი სიტყვისთვის შედგება. არც შეიძლება სხვანაირად — თუ დრამატურული ადგილებზე იქ, სადაც ვითარება ადამიანთა შვიდ არსებობას არდევს და აიძულებს მათ აქტიურად ჩაერთონ სინამდვილეში, სურვილის მკვეთრი განსხვავება აუცილებლად ბავშვის ბრბოლას, კონფლიქტს. დრამა კონფლიქტის გარეშე არ არსებობს. კონფლიქტის გარეშე არ არსებობს არც დრამატურული დიალოგი. მასში ჩაქსოვითი კონფლიქტითლიადაც ნაწარმოების ძირითადი კონფლიქტის რომელიც დაე ნაწილია, ერთი მხარე, ის ვლინდება როგორც გვევრად გამოვლენილი საპირისპირო ქცევაში, ისე იმ აზრებსა და ემოციებში, რომლებსაც დიალოგი ჩაერთული გმირები აუვლენენ.

ბრძოლა დიალოგში პროცესია. საწინააღმდეგო სურვილებით დატურული გმირები იბრძვიან მანამ, სანამ ერთი მხარე არ გაიძარჩავს. ამიტომ დიალოგის მოცულობა განისაზღვრება როგორც გმირთა სურვილების მასშტაბით, ისე მიზნისათვის ბრძოლის ხედობითა და საქსოვით. ისინი ერთი, თავის მხრივ, გმირთა ინდივიდუალური ხასიათებით არიან გაპირობებული. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს დიალოგი, რა ძალის და მნიშვნელობისაგან არ უნდა იყოს მასში მიმდინარე ბრძოლა, ყველა შემბოლს ერთი ძირითადი იარაღი აქვს — მეორე ადამიანისადმი მიმართული სიტყვა. ყველაფერი, რაც ამას ახლავს ცოცხალ სიტყვას ცხოვრებაში, ჩაქსოვილია დრამატურული რეპლიკაში. მას აქვს ძალა მკითხველის წარმოსავს რეპლიკათა შორის დატყვევებული ადგილები შეავსებინოს, მდგმრება ამიტყვევებს და დამაგრებს გმირთა შორის ის საინტერესო კავშირები, რომელთა გარეშე ხარისხოვანი პოესა არ არსებობს.

ყველა დრამატურული დიალოგი ცოცხალ კავშირზეა აგებული. წინააღმდეგობა, აზრთა დაპირისპირებაც კავშირია. მოქმედი პირები უსაუბრო ურთიერთშემოქმედების პროცესში ვლინდებიან. ამიტომ დრამატურული ნაწარმოებში გმირი სიტყვას მეორე გმირისთვის ამბობს და არა მკითხველის ან მაყურებლისთვის. ამის გამო განსაკუთრებით სათლად იყვეთება მოქმედ პირთა ურთიერთკავშირი და ყოველი მათგანის პიროვნული თავისებურება. კ. სტანისლავსკი ამბობდა: „ორგანული დიალოგი... იბადება მაშინ, როდესაც მოსაუბრეს უსმენს და ამავე დროს მისი ქცევის ყველა ნიუანსი ითვისებს-წინზე დიალოგი სიტყვათა წარმოდგენის თანმიმდევრობა არ არის, დიალოგი ჭდარაკის თანამოციანთა — ყოველი სვლა მოწინააღმდეგეს სვლასთანაა დაკავშირებული, მისით გაპირობებული“.

როგორც ვხედავთ, კ. სტანისლავსკი განსაკუთრებით ყურადღებით ცვიდება დიალოგში ჩამოშლ ადამიანთა იმ კავშირს, რომელიც მყარდება მათ შორის თქმული და ართქმული, უსიტყვოდ გამოვლენილი ქცევის გზით. ადამიანის ცხოვრება სიტყვასა და მდუმარების დაუსრულებელი მონაცვლეობაა, მაგრამ არც მდუმარე ადამიანთა უსიტყვო, ის მხოლოდ არ წარმოთქვამს მათ. ასუა მანამ, სანამ სიტყვის მხამალოდ წარმოდგენის აუცილებლობა არ დაიბადება. მაშინ ადამიანი ამბობს სიტყვას, მაგრამ ეს სიტყვა სიკაროელიც არ იბადება. ის იბადება იმ დროსავე, რომელიც წინ უძღლდა მას და თავისებურად აზნადება. ცაცხოველებული დიალოგი სიტყვასა და მდუმარების მონაცვლეობა — როცა ერთი ლაპარაკობს, მეორე სდუმს. რას ნიშნავს ეს დუმობა? აქტიურ მოქმედებას, იმიტომ რომ იმ მდუმარე ადამიანის გონებაში უღვის ისწრაფთ ცოცხლებიან მოგრუნებაში, ასიცვლები, დაცვება, მოსაზრება... შეიძლება სწორედ ახლა, იმ წუთში,



პარტიონის მიერ წარმოთქმული სიტყვის რომელიც ინტონაციამ მიახვედრა იმას, რაც ამავე დღე არ ესმოდა. ამ დროის წინათ მზადდება ის „სელა“, რომელიც სასაბუთო სიტყვით გამოიხატებოდა. ახლა ეს სიტყვა გამოიწვევს მოსაუბრეთა სამაგიერო რეაქციას. ისიც გამსჭვალული იქნება აზრობრივი და ემოციური ტვინის მთლიან მარაგით და თავის მხრივ, ბუნებრივად მოამზადებს მოასაუბრის შემდგომ, აგრეთვე სიტყვიერ „სვლას“; და ასე მანამ, სანამ დიდილვით დასრულდებოდეს — ე. ი. სანამ მებრძოლთაგან რომელიმე ერთი გამიწარვებდეს.

ორ ადამიანს შორის გასაგონად წარმოთქმული დიდილვითი რამ შეივსოს იმით, რაც ამავე დროს სისუსტის გავლენიანად მიმდინარეობს ყოველი მოაგების მდუმარების დროს, ზეზე მივიღოთ ადამიანთა ცოცხალი კავშირის იმ ნაწილს სუ-რისა, რომელიც ასე ადვილად და ბუნებრივად იხადება ცხოვერებაში და ასე ძნელად მისაღწევია ხელოვნებაში.

ამგვარი, დიდილვით მოქმედება, საკუთარი სურვილის განხორციელებისათვის თავისებური ბრძოლა, რომელიც პიე-საში გამოვლინობს დაწერილ სიტყვასა და მის მიღმა ნაგუ-ლისხმობი მოქმედების ცოცხალ პროცესში. მასში მონაწილე გმირთა შეხამება ქმნის იმ თავისებურებას, რომელიც ყოველ ეჭვგამაძვინებელ დიდილვთს გააჩნია, როგორც მისი კომპოზი-ციური აგებულების, ისე რიტმული მონათხაზისა და მუსიკა-ლური ვიზუალიზის თვალსაზრისით.

დიდილვით შეიძლება მიმდინარეობდეს ორ ადამიანს შო-რის სხვათა დაუსწრებლად. შეიძლება ორი ადამიანის საუბარის სხვაგვარ ინსერტი. შეიძლება დაინახოს მრავალთა შორის მიმ-დინარეობდეს მოქმედ პირთა თანმიმდევრული მონაცვლეო-ბით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გმირთა შორის არსებული კავშირები თავისებური სიღრმითა და სირთულით კლდო-ბიან. ამიტომ სცენის ოსტატები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ან კავშირებს და ერთხანს უკან იხილავენ, რომ დრამა-ტურული სიტყვა მხოლოდ მაშინაა ცოცხალი და მეტყველი, როდესაც ერთი მეორის მიწეზე არ შედევია. მხოლოდ ასეთი მიწეზეორივი კავშირი ქმნის ადამიანთა ურთიერთობის იმ რთულსა და ფაქიზ ქსოვილს, რომელსაც პიესა ეწოდება და რომელიც ასეთი ცოცხალი სიტყვიდან იქსოვება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დრამატურგია საკითხავ ლი-ტერატურად არ ითვლება, რადგან რეპლიკებს მიღმა მკით-ხველთა უმრავლესობას არ აადვილებს გმირთა ცხოვრების აქტიუბა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა საგანგებო მო-წოდებას სწორედ ამგვარი სიტყვის უკან მიმავალი სიცოცხ-ლის აქტიუბა და ხელახალი გაცოცხლება შეადგენს — სცენ-ის ხელოვანი, ისინი, ვისთვისაც პიესა იწერება.

სცენისა და დრამატული ლიტერატურის დიდილვითი კავ-შირი ცნობილი ჰემოზარტებაა ვინ არ იცის, რომ თეატრი დრამატურგის გარეშე არ არსებობს, რომ სცენური ნაწარმო-ბის მისი ლიტერატურული საფუძველთაა გაიპრობებული. ამიტომ ასე თავისუფლად დაპირაკობენ შექსპირის და მოლი-ერის, ოსტრეპოვის და ჩეხოვის თეატრებს. დრამატურგია, უკვე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოები, თეატრული ხელოვნების ყველა ნიშნის განაპირობებს. მაგრამ მაშინ, რო-დესაც ეს დრამატურგიული ნაწარმოები ი ქ მ ე ბ ა, მის ავ-ტორის აპრობობებს თეატრი — სცენის შესაძლებლობანი და კ-ონიები. ბ. შოუ პირდაპირ წერდა ამის შესახებ: „როდესაც პიესა ეწერ, ჩემს წარმოსახვას თეატრის შერქმენება აკონ-ტრირებს და შეხასხენებს ხოლმე სცენის პირობებსა და შე-საძლებლობებს, მსახიობსა და მასურებელს“.

თეატრის შერქმენება განსაკუთრებული უნარია. ის მოთ-ხოვება ყველას, ვინც რაიმე გზით სცენის ელოვნებას შე-პირდება. თით უმეტეს მწერლის. სხევი უპირველესის უნდა იცნობდეს თეატრის სპეციფიკურ ბუნებას და მის კანონებს. თეატრის და დრამატურგის უახლოესი მეგობრობის მრავალი ისეთი მაგალითია ცნობილი, როდესაც დრამატურგები არა მარტო დრამატული თეატრისთვის წერდნენ პიესებს, არამედ როდესაც თეატრის კონკრეტული მსახიობების შესაძლე-ლიათაა გათვალისწინებით. საელოვანებელ დრამატურგთა უმრავლესობა უშუალოდ იყო დაკავშირებული თეატრთან, ამიტომ სცენის კანონებსაც საკუთარი გამოცდილებით იცნო-ბდნენ — ესეილი, სოფოკლე, ევრიპიდ თვითონ დაგანდნენ თავ-ის პიესებს და როდესაც ასრულებდნენ. შეესაძრა და მო-ლიერი მსახიობები იყვნენ. ოსტრეპოვისა და ჩეხოვის სცენაზე არ უთამაშიათ, მაგრამ თეატრი ღრმა სიყვარულით უყვარ-დათ, რუნუნდებდნენ მისთვის, ელოვანდნენ, შეგობობდნენ მსა-ხიობთა, უყვარდათ თეატრის მტკიერი, რეაქტივიები, მსა-ხიობის მხატვრული სახის მომწიფების პროცესისთვის თვლ-ეობის დევნება, დაკვირვება. ორველ მსახიობის შემოქმედების თავისებური ბუნების დიდი ცოდნე იყო. ამის საუკეთესო სა-ბუთია მათი დრამატურგია.

დრამატურგია თავის ნაწარმოებს სცენის ხელოვანთა საშუ-ლებით გადასცემს მაყურებელს. მასმადამე, თეატრი გან-ხორციელებული პიესა ერწყმის სცენის ხელოვნებას და დრა-მატურგიც იზიარებს ყველაფერს, რაც ამ ხელოვნების თავი-სებურებას შეადგენს. უპირველეს ყოვლისა იმას, რომ მისი ლი-ტერატურულ ნაწარმოებს წიების სახით კი არ აღიქვამს ერთი ადამიანი, არამედ ცოცხალ მოქმედებაში მიმდინარე პროცე-სად რამდენიმე ასეული მაყურებელი. ეს არც ისე უნაყოფო საკითხია, რადგან დაკავშირებულია მხატვრული ნაწარმოების ეპოქისათვის თანადროული უმნიშვნელოვანეს პრობლემას-თან.

ცნობილია, რომ თეატრი მუდამ უაღრესად თანამედროვე ხელოვნება იყო იმიტომ, რომ იგი ცოცხალი ხელოვნებაა, მისი მხატვრული ნაწარმოები ნოვითიერი სახით არ იქმნება და სა-არსებოდ ერთი დრო აქვს მხოლოდ — აწყფო. ამის გამო ის, რასაც თეატრი სცენაზე გამოიტანს მისი თანამედროვე მაყუ-რებლისათვის უნდა იყოს საჭირო, საინტერესო და ამაღლე-ველები. ეს კი უნაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სცენ-ნასა და დრამაში მყოფი ადამიანები არა მარტო ერთი პრობ-ლეშიები ელოვან, არამედ მსაგეს მხატვრულ ენაზე ლაპარაკ-ობენ — როდესაც ხელოვანის მხატვრულ მეტყველი სა-შუალებებით დამარწმუნებელი და შთამბეჭდავი მაყურებლის-თვის. ეს გარემოება თეატრისა და დრამატურგის განუყოფელ კავშირს დროთა მანძილზე სხვადასხვაგვარ მიმართებაში წარმოვიადგინს, მაგრამ ძირითადი მაგისტრალი მაინც ერთ-ია — თანადროულობის მუდმივი ძიების გზაზე თეატრი და დრამატურგია ერთად მიემართებიან და გამარჯვებას უერთმა-ნეთოდ ვერ აღწევენ. ამიტომ ყოველი დროის თეატრი და დრამატურგია თავისებურად აპრობობდნენ ერთმანეთს, რადგან ერთსა და მეორესაც მათი შემქმნელი ეპოქის დავი აზის, დროის მხატვრული აზროვნების საერთო დინე განსაზღვრავს. იმეათია გამოხატულების სახით ზოგჯერ ლიტერატურულ ნა-წარმოებში მოიძებნება სინამდვილის დრამატურგიული ასა-ხვის ისეთი ფორმა, რომელიც მისი დროთ თეატრისთვის არ იყო დამახასიათებელი. ასეთი ანტირები ზოგჯერ საუკუნე-ებით გაუსწრებდნენ ხოლმე თავის დროს. ამის ბრწყინვალე მა-გალითია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რაც თავისი თავად დამოუკიდებელი კვლევის სფეროა.



კოტე
მიქაბერიძე



დონ მცირიშვილი, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმეში“, რომელიც 1925 წ. ევნატე ნინოშვილის ანაწარმოებით მიხედვით დაიდგა.

კ. მიქაბერიძე იყო საუკეთესო ცხენოსანი, ტანმოვარჯიშე, კარგი მოცურავე. ამ ფილმში კი მისი გმირი იყო სუსტი, უღონო, ავადმყოფი ოდნავ მოხრილი სხეულით, რბილი მოძრაობებით, ნადვლიანი, მწუსარებით სავესე, ფიჭრში წასული თაგლებით.

ასეთ საოცარ გარდასახვაში მსახიობს დაეხმარა დაკვირვების დიდი უნარი — როლისადმი შინაგანი განწყობილებით მიდგომა, და კიდევ ეკრანის ბუნების ცოდნა, ეკრანი-მიკროსკოპისა, რომელიც ყველაფერს სასწაულებრივად დიდს ხდის. საცდელ გადაღებაზე კ. მიქაბერიძემ, როგორც ყოველთვის, თვითონვე გაიკეთა გრიმი და ფილმის მთავარი გმირის ყველაზე შესაფერისი სახით წარმოვივლიდა.

მასწავლებლის ოჯახში აღზრდილი, კარგად იცნობდა მამის კოლეგათა ხასიათებს. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი — ავადმყოფი, მაგრამ მაინც მუდამ მომღიმარი, რბილი და სათნო ადამიანი, რომელიც თითქმის ყოველ ადამიანში დადებითს პოულობდა. ნაცნობი პედაგოგების ეს თვისებები თითქმისდა განზოგადდნენ კ. მიქაბერიძის მიერ შექმნილ სპირიტონ მცირიშვილის სახეში.

კ. მიქაბერიძე სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად, დაბეჯითებით ეძებდა კომედიური, სატირული ხასიათის სცენარს დამოუკიდებელი კინოსურათის შესაქმნელად.

რატომ მაინცდამაინც კომედიური ხასიათისას? საიდან ასეთი გატაცება? მის მიერ განსახიერებელი როლები ზომ არცერთი არ იყო კომედიური, თუ არ ჩავთვლით კოტეს ნახევრადკომედიურ-ნახევრადდრამატულ როლს ფილმში „ხანუმა“. აი, სწორედ ეს გატაცება ლაპარაკობდა მის შემოქმედებით მიღრეკილებებზე, მის ჯერ კიდევ გამოუვლენებელ შესაძლებლობებზე, მისი მისწრაფება სატირისადმი კიდევ უფრო გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კ. მიქაბერიძე ნიჭიერი მსატყარი-კარიკატურისტიცაა.

მაღე მიეცა შესაძლებლობა გამოეყენებინა თავისი უნარი, გაეყუთებინა ის, რაც სურდა, რისკენაც გული მიუწყევდა. სთავაზობენ ორიგინალურ სიუჟეტს, რომელიც ბიუროკრატისმსა და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფ პორტუკეიონისმს დასცინოდა. მიქაბერიძე ამ სიუჟეტის მიხედვით 1929 წ. ქმნის ფილმს „ბებიანიჩეში“.

ეს არის დაუმსახურებლად მივიწყებული ერთ-ერთი კარგი საბჭოთა სატირული კომედია, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს მისი დამდგმელის ნიჭიერებასა და მოქალაქეობრივ ტემპერამენტზე, მის დიდ პროფესიულ შესაძლებლობაზე. ეს სურათი თავისუფლად შეიძლება მოხვედრილიყო მსოფლიოს იმ დროის საუკეთესო კინოკომედიათა რიგებში, მაგრამ ფილმი ეკრანზე არ გამოსულა: ამ შესანიშნავად დადგმულმა და შესრულებულმა ფილმმა გაიზიარა ხვედრი მისივე მსგავსი ჟანრის სხვა მრავალი სურათისა, როგორც იყო პირივეის „უცხო ქალი“ და მედვედკინის „სახელმწიფო ჩინოფიკი“, რომლებსაც თავის დროზე ეკრანისაკენ გზა გადაუღობეს ზედმეტად „ფიზიულმა“ რეაქტივობმა და რაპისი მოღვაწეებმა. ახლა კი ამ ფილმებმა აღიარება პოუეს.

მსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი

ლევან რონდელი

ლს არ არის საიუბილეო სტატია, მხოლოდ მცირე ნარკვევია კოტე მიქაბერიძეზე — მსახიობსა, სცენარისტსა და რეჟისორზე.

კ. მიქაბერიძის, როგორც პოპულარული კინომსახიობის ხმაურიანი კარიერა იწყება როლებით კინოფილმებში: „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“, „ვინ არის დამნაშავე?“ და სხვ. მას კარგად ესმის კინემატოგრაფის სპეციფიკა, მისი თამაში თავისუფალია ყოველგვარი თეატრალიზაციისაგან. ასე გახდა იგი საბჭოთა კინოს ერთ-ერთი პოპულარული კინომსახიობი. მაგრამ მისი საუკეთესო როლია — სპირი-

კ. მიჭაბერიძემ ფილმი გადაწყვიტა, როგორც მსატყარმა სატირიკოსმა. იგი უმთავრესად მიმართავს სატირული გროტესკის ხერხებს და განზოგადებული სახეების შექმნასკენ ისწრაფვის. „ნიანგის“ კარიკატურები თითქოს გაცოცხლდნენ ვერანუ. ამ გულდია, ხანსაკმარისი გროტესკის გვერდით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვითარების ყოფიერი, ნატურალური ფორმით გადმოცემა. მაჭაბერიძემ შექმნა ასეთივე პირობითი ვითარება და დეკორაციები. ამასვე მოითხოვდა მსახიობებისაკენაც, ფილმში მონაწილეობდნენ: ა. თაყაიშვილი, ა. ხორავა, მ. აბუქაძე, შ. ხუსკივაძე, ე. ოვანიანი და ე. ტუსკია, ხანდახან მათი მოძრაობები მკვეთრია, ხანდახან მოუხეშავი, საყოფაცხოვრებო ბუნებრიობას მოკლებული.

რადგან ეს საინტერესო ფილმი ბევრისთვის უცნობია, რამდენადმე დაწვრილებით შეგვირდებით მასზე.

სურათის დასაწყისშივე შესანიშნავადაა მოცემული ბიუროკრატიზმის ხასიათი. ერთი პატარა კანცელარიის პარაზიტული დროსტარება.

ორი თანამშრომელი ბანქოს თამაშში ჩაფლულია. მათ გვერდით ჩინოვნიკი ქაღალდის ფურცელზე ხატავს ისარგარკობილ გულებს, მერე ქაღალდს „ჩიტად“ კეცავს და მემანქანე ჯალს ასვრის. „ჩიტები“ მიზანს ვერ აღწევენ და იატაკზე მცემიან. ერთმა მიადწია... მაგრამ ქალი გულგრილად ხევის, გვერდზე ყრის ნაკუწებს და წყნარადვე განაგრძობს მანქანაზე კაპუსს, „თვითმკვლელი“ კი კურიერს გააქვს. ამ დროისათვის ბანქოს მოთამაშეში ჩხუბს იწყებენ. ქაღალდების გროვაში ეფლობიან და ისე განავრცობენ ბრძოლას. ორი ოინბაში ერთმანეთს ანგარიშს უსწორებს.

გამორჩა მუშა. იგი გადაღებულია რაკურსში, რაც ხაზს უსვამს მის ძალას, მონუმენტულობას. ხელში უჭირავს განცხადება, შევებულვას ითხოვს. მაგრამ როგორც ტიტრი ირონიულად გვამცნობს, „გახურებული სამსახურებრივი შუადღე“, ჯეულიანი „საქმიანად“ უსხედან მაგიდებს და არავინა მთხოვნელის მიმღები. მამინ ქაღალდი თვითონ იწყებს პაუერში ფრიალს. მორიგეობით ეშვება ხან ერთი, ხან მეორე ჩინოვნიკის მაგიდასთან, ცდილობს მიძინებულის გამოფხინვლებას — ხმაურობს, პირისახეზე ეცაცუნება. ზოგი კიდევ იღვირებს, მაგრამ ნახევრადმოვლემარე უესტით ანიშნებს — წადი, თუ მშა ხარ, სხვაგან და... ძილს განაგრძობს. ქაღალდი ისევ დაფრინავს და ბოლოს მავდის ქვეშ მოექცევა. მუშას მობეზრდა ლოდინი და მთელი ხმით ყვირის — ვინ რას აკეთებს აქ და ვინ რაზე აგებს პასუხს? — წამში იღვიძებენ ყველანი და იწყებენ ციხიანებრივით ფუსფუსს. მუშას უბრუნებენ რეზოლუციებით ავსებულ საპრსულ ხალიჩასთან აჭრელებულ განცხადებას.

წავიდა მუშა და გამეფდა ისევ წინანდელი ატმოსფერო. აღმფლეთებული მუშა ასე ადვილად არ ეშვება ამ საქმეს: იგი კანცელარიამ აგზავნის კომკავშირულ რეიდს. კომკავშირულები მიმოდინ კანცელარიამში. ერთი მათგანი საქმისმწარმოებელთან ყველაზე უღობივლ ბიუროკრატს შუბივით სტყორცნის უზარმაზარ ავტოკალამს. კალამმა მოსწყვიტა გაბეზირებული ბიუროკრატი იატაკიდან და მანამდე იფრინა, სანამ კედლის გაზეთის არ მიაკრა იგი. და საქმისმწარმოებელი



კალრი ფილმიდან „ჩაჯეთი“

თავისივე გრაფიკულ კარიკატურად გარდაქმნილი კედლის გაზეთის მკვიდრი ხდება. ასე ხსნიან სამსახურეიდან.

ასეთია საზოგადოებრივი აზრის ძალა და ეს ფილმში მეტად ორიგინალურადაა მოცემული.

ბიუროკრატი შინ ბრუნდება. მეუღლეს არაფერს ეუბნება, მაგრამ მეუღლის ხელში ხედვას გაზეთის მისი კარიკატურული გამოსახულებით. კარიკატურა იმწამსვე ამოხტება გაზეთის ფურცლიდან და გარბის, რომ არ იცნოს. ქალი გამოვიდება და კუთხეში მიიმწყვდევს. ასათი ამბავი აღმამოთიბელია! ბიუროკრატის მეუღლე სტილის იმდროინდელი მიმდევარია: ქმარს თავში ხედვდა თევზები, სკამები, სათამაშოები, წინდები და სხვ. შემდეგ კი მტკიცე მოთხოვნით — რაღაც არ უნდა დაუკდეს, იპოვოს პროტექტორი და დაიბრუნოს თანადეობა — ცოლმა ქმარი სახლიდან გააგდო.

და იწყებს ბიუროკრატი „ბების“, ან გავლენიანი პროტექტორის ძებნას. იგი შეეჭრება ერთ-ერთი დიდი დაწესებულების დირექტორს. აქ საქმიანი ატმოსფერო იგრძნობა. ბიუ-

კალრი ფილმიდან „ჩაჯეთი“





კალრი ფილიდან «დავებანებული სასიძო»

გაშუქდა: „სამა, შენთან ბარათს მოიტანს კაცი, რომელმაც გაცხოვრებამდე მიმიყვანა. უჩვენე გზა ეშმაკებისაგან...“
რია ჭალადღუე.

ღირეკტორმა მუსწვევითა სიცილი — დიაკარგეთ აქედან — დაკრა მუშტი მაგიდას.

შეინებული ბიუროკრატი იკაურობას გაეცლება; მაგრამ მას უკვე სხევიც მიჰყვებიან — გარბიან სხვა უსაქმურებიც. შორს გაქცევის ვერ ახერხებენ. მიღწეის კედელს; საშველი აღარსაიდან ჩანს და გადაიქცნენ ჩრდილებად. წარსულისაგან მხოლოდ ეს უაზრი ჩრდილები დარჩნენ.

აქ მხოლოდ გაკვრით გადმოვყვით ფილმის სიუჟეტი. გადმოვყვით მისი მრავალი, საოცრად მახვილი დეტალებისა და ეპიზოდების გარეშე, რომლებიც ამართახებენ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ჩინოწიგურ პატივმოყვარობასა და ბიუროკრატული ცინიზმს. ეს არის და უბრალო თავშესაქცევი, არამედ მგზნებარე ფილმი, რომელიც მართლად და უნარინად განაზოგადებს ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერ მოვლენებს.

სურათში ყოველ ნაბიჯზე შეხედებით გარეწვლის, ყოფის დარღვევას. პირობითობა შენიღბული არ არის. იგი ნათლად ჩანს და ხელს უწყობს ასახული ამბის არის გამოხატვას.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც მიღატკოდა კინემატოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებების დაუფლებისაკენ, პირველ ფილმში სხვადასხვა ექსპერიმენტულ ამოცანებსაც ისახავდა. მაგრამ იგი გამიზნული იყო ფილმის მეტი გამომსახველობითობისათვის, შინაარსის უფრო ეფექტური გახსნისათვის, მისი ზეგაველენის გასაძლიერებლად.

მატკვარი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მას უნდა ეჩვენებინა ის დადებითიც, რაც ამარცხებს ბიუროკრატებს, თანაც ამავე დროს მასურებელი არ უნდა ყოფილიყო დამწეიდებელი და დაჯერებული იმაში, თითქმის მანკიერება მათ ჩაურევლად აღმოეფხვრებოდა. სატიკამო გროტესკში დაღებული გმირის შეყვანა ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც, მაგრამ რეჟისორი მაინც ახერხებს ამას. მან მოგვცა განზოგადებული სახე მუნისა. ბიუროკრატებს ჩვეულებრივ წარმომოზღნენ არა მუშები, არამედ მოსამსახურეები. ამათ კი რეჟისორი მოხერხებულად ჰყოფს, გამოჰყავს დადებითი, კეთილსინდისიერი პერსონაჟები მოსამსახურეთა ჯგუფიდანაც, მაგ: კურიერი, ან იგივე, დაწესებულების დირექტორი, რომელმაც ვიღაც გამველეს პროტექტორობა არ გაუწია. აღარაფერს ვამბობთ იმ დადებით იდეალზე, რომელიც ავტორის პოზიციითაა გამოსატული.

სტილი და ჟანრბორივი მთლიანობა რომ არ დაირღვეს, რეჟისორი ამ დადებით პერსონაჟებსაც რამდენადმე პირობითად, განზოგადებულად გვიხატავს და ამით ავლენს იწვიათ მნახატრულ ადლისა და უნარს. ბუნებრივია, რომ ფილმში დადებით პირები არ არიან ისე ბევრი და ზუსტად გამოსატულინი, როგორც უარყოფითი პერსონაჟები: სურათის პათოსიკა უარყოფითის ჩვენება, მნიღება და მასთან ბრძოლა.

კინეკომოდიის განვითარების მეტად მძიმე პერიოდში შექ-

როკრატი ისე მომბამზერებლად და თავებდურად მოითხოვს საარკომენდაციო წერილს, რომ დინჯი დირექტორი გაცოფდება. გაორდნენ, გასამდნენ მის თვალეში გამოსახულებანი. ეჩვენება, თითქმის გარემორტყმულია ამ ბიუროკრატის მსგავსი მომხედურებით. ეს სცენა მასხვილგონიერულად გადმოგეცემს, თუ როგორ შეიძლება ასეთმა თავებმა დააუძღუროს, საყვარელ საქმეს მოსწვევითს, კალაპოტიდან ამოადაღოს ადამიანი. ბოლოს თითქმის მოღბა დირექტორი და წერს საარკომენდაციო წერილს, ბიუროკრატი მისკენ გაქანდება. მისი სურვილი ერთია — დალოშნოს კეთილმოქმედი. დასდევს მაგიდის ირგვლივ. ბოლოს ახერხებს, კუთხეში მიიმწყვედვს და კოცნის, დირექტორი ზიზღით იტმუნება.

ბიუროკრატი „სარკომენდაციო ბარათით“ ბრუნდება იმავე კანცელარიაში, „საპროტექციო“ წერილს აწვდის უფროსს, მაგრამ ეს უკანასკნელი თვალსა და ხელს შუა ქრება; პაერში ორთქლებდა. სავარტელში უკვე შოროე ზის, მაგრამ მასაც იგივე ემართება. მორიგი უფროსიც ისევე უჩინარდება, როგორც კი წერილს ხელს შეახებს.

გაცოცხლებ ბიუროკრატს სათვალე ცხვირზე აუღ-ჩაუღღის, თმები ცალკე უდგება. როგორ არ შიქრწუნდები! ეს-ესა სავარტელში იჯდა თმახუჭუჭა, სათნი, მიმდინამრი უფროსი. ბიუროკრატი კიდევ მიეპარა და ლაბადა გადააფარა, რომ ცხივ სწვებივით არ გამქრალიყო. მაგრამ... გადასწია ლაბადა და ხედავს: უკვე სხვა — მელოტი, გამხდარი, მოღუშული და ბრაზიანი ვიღაც ზის...

ეს არის დაცინვა იმ წლების დიდი ნაკლისა, როცა ზოგიერთი დაწესებულება დირექტორებს სწირად იცვლიდა. ბოლოს როგორც იქნა, ჩამოართვეს წერილი. ეს დირექტორი აღარსად იკარგება, მტკიცედ ზის სავარტელში. ჩვენ მასში ცენზობი სწორედ იმ მუშას, რომელიც ცოტა ხნის წინათ განცხადებითი მოვიდა და აღმოვთოებული გაბრუნდა აქედან. წაიკითხა ბარათი და ახარხარდა, სიცილისაგან თვალეში ცრემლი მოაღდა. მასთან ერთად ხარხარებს ბიუროკრატიც; თუმცა არ ესმის — რაშია საქმე. ცალი თვალით ჩახივდა წერილში და

წმილი ეს ფილმი ეკრანზე არ გამოსულა. უმთავრესად გაე-
ლნა მოახდინა რაპპის გარშემო თავმოყრილ კრიტიკოსთა
აზრმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სოციალისტურ სასო-
გადობებში, სადაც ლიკვიდირებულია ანტაგონისტური
კლასები, კომედია კვდება, რადგან უკვე არავინ და არაფერი
რჩება დასაციინო.

ამის შემდეგ კ. მიქაბერიძის შემოქმედება სხვა მდინარე-
ბას გაჰყავს. იგი ეძებს ახალ თემებს, გამოხატვის ახალ
საშუალებებს, მაგრამ როგორც რეჟისორს, მას არ შეუქმნია
სხვა უფრო ძლიერი ფილმი, ვიდრე „ბებიაჩემია“.

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შემ-
დეგ კინოხელოვანთა წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები:
გადაიღონ ხალხური შემოქმედებისა და კლასიკოსთა ქმნილე-
ბანი, მათ შორის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ კი.
მაგრამ ვიდრე ამ გრანდიოზული ფილმის შექმნას შეუ-
დგებოდნენ, რომელიც, ალბათ, შრავალ გაუთვალისწინე-
ბელ სინქლეგებს შეიცავდა, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ამ
თემაზე მცირემეტრაჟიანი საცდელი ფილმის შექმნა. ამის გა-
კვება დაველა კოტე მიქაბერიძეს (1936 წელი).

ფილმმა „აქაეთმა“, რომელიც მხოლოდ სამი ნაწილისა-
გან შედგებოდა (დემონსტრირება გრძელდებოდა 30 წუთს)
და რომელიც მხოლოდ ექსპერიმენტულ ამოცანებს ისახავდა,
პრესის გამოხმაურება და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.
მასში მთელი რიგი კარგად გადაწყვეტილი ეპიზოდებია. აქ
პირველად მიმართეს კომბინირებულ გადაღებებს. სურათი
ზღაპრული ხასიათისა იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ფილმი
მხოლოდ მოიგებდა, თუ რეჟისორი უფრო თამამად და ბო-
ლომდე გააყვებოდა ამ გზას და კიდევ უფრო მეტად მიანი-
ჭებდა სურათის ზღაპრულ ელფერს. ავტორი გაბედულად ეძებ-
და პოემის კინემატოგრაფიულ ექვივალენტს და მას უფრო
პირობით, ფანტასტიკური ჯანრის, საგმირო ლეგენდის სფე-
როში ეძიებდა.

ამის შემდეგ კ. მიქაბერიძე კვლავ უბრუნდება კომედიას.
ქნის ფილმს „დაგვიანებულ სასიძოს“. ეს კომედია,
რომელიც 30-იან წლებში გამოვიდა, მაშინვე დამკვიდრდა
რეპერტუარში და ახლაც წარმატებით მიდის ეკრა-
ნებზე.

ფილმში ბევრი სასაცილო ეპიზოდია. სიუჟეტისა და ეპი-
ზოდების ხასიათი თხოულობდა კარგი, მუნჯი კომედიური
სურათების სტილით გადაწყვეტილ ექსცენტრიულ ფორმას.
ფილმში უნდა ყოფილიყო გონებაშავილური ოინები და ხრი-
კები, რომელთაც, ცხადია, არ უნდა დაეჩრდილათ ნაწარმოე-
ბის დედაზრი. ეს გზა ბუნებრივი იყო კ. მიქაბერიძისათვის,
ამ მანერით იგი მეტ წარმატებას მიაღწევდა. მაგრამ ფილმ
„ბებიაჩემია“ წარუმატებლობის შემდეგ, სამწუხაროდ, იგი
დაადგა ახალ გზას, რომელიც თავისი ხასიათით საღდაც ნა-
ტურალისტურ კინემატოგრაფსაც კი უახლოვდებოდა.

ამავე დროს კ. მიქაბერიძეს იღებენ ფილმებში. საგულისხ-
მაა მის მიერ განსახიერებული მენშევიკი კინოფილმიდან
„უკანასკნელი მასკარადი“, პაპუნა — „აკაკის აკვანძა“ და
სხვ. იგი ამ როლებსაც, როგორც ყოველთვის, შინაგანი გან-
წყობილებით მიუვდა, მიაკვნო გმირისათვის, ზუსტ გამოხატ-
ველსა და დამახასიათებელ ნიშნებს.



კადრი ფილმიდან „ბებიაჩემია“

კ. მიქაბერიძე ამგვარადაც განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას.
მაყურებელს კარგად ახსოვს მისი მულტიპლიკაციები, აგრეთ-
ვე მისი სცენარის მიხედვით შექმნილი „ციცისკარა“.

მიქაბერიძის, როგორც ავტორისა და რეჟისორის შემოქმე-
დებით შესაძლებლობაანი როდი ამოწურულა. იგი კიდევ ბევრ
სარგებლობას მოუტანს ჩვენს ეროვნულ კინოხელოვნებას.

კადრი ფილმიდან „ბებიაჩემია“





თბილისური ქერამიკა

მუზა საუკუნეების კერამიკული სახელოსნოს
ისტორიისათვის

მარინა მიწიშვილი

ს

აქართველო XII—XIII საუკუნეებში ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოა. ამ პერიოდისათვის ქალაქი თბილისი წარმოადგენს ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს, სადაც ხელოსნობის სხვადასხვა დარგებთან ერთად განვითარებულია მოჭიქული კერამიკული წარმოება.

მოჭიქული ჭურჭელი შუა საუკუნეებში ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობისათვის აუცილებელი და საყოფაცხოვრებო საგანია. საქართველოს ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკული სახელოსნოს ნაშთები გამოვლენილია თბილისში. ეს ნაშთები შუა საუკუნეების კერამიკული წარ-

მოების მეტყველი ძეგლებია, იგი გათხრილ იქნა 1948—49 წ. წ. ძველი თბილისის ფარგლებში, სამაზნ არაგველის ბაღის გვერდით, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჯერ მ. ჯაფარიძე¹ და შემდეგ გ. ლომთათიძე².

არქეოლოგიური თხრის შედეგად გამოვლენილ იქნა ჭურჭლის საწვავი შეიდი ქურა, ჭურჭლის გაკეთება გამოწვისათვის აუცილებელი ხელსაწყო იარაღები და მოწყობლობის ნაშთები. არქეოლოგიურმა გათხრამ გამოარკვია, რომ კერამიკული საწარმო იმ ხანისათვის კეთილმოწყობილი ყოფილა: თითოეული სახელოსნო შედგებოდა რამდენიმე სენაკისაგან, რომელთაგან ერთში იდგა ქურა, მეორეში ინახებოდა ქურაში გამოსაწვავი ჭურჭელი, მესამე სამზარეულო სასადილო უნდა ყოფილიყო.³

სახელოსნოთა თხრის დროს მოპოვებულ იქნა დიდძალი მოჭიქული ჭურჭელი: ტრაქები, სამარილები, ქილები, საყვავილები, სასმისები, საწვანები, სარქველები, კოტოშები და ჯამები.⁴

მოჭიქული ჭურჭლის დიდ უმრავლესობას შეადგენს მოჭიქული ჯამები, რომელიც შეგკულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით, ფრინველისა და ცხოველის გამოსახულებით.

ჯამებზე გამოყვანილ ორნამენტთა შესწავლა საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმხანად გავრცელებული კერამიკის დეკორის სახეებზე. მათი შესრულების მანერა განსაზღვრავს სახელოსნოში მომუშავე მხატვარ კერამიკოსთა დონეს. ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ამ საწარმოს ხასიათის სრული სურათი.

მოჭიქულ ჯამებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ფრინველის გამოსახულებით შეგკულ ჯამებს. თბილისის კერამიკულ სახელოსნოში ასამდე ფრინველიანი ჯამია; ყველა ისინი ერთმანეთის მსგავსია და თითქოს ერთ ყალიბშია ნამუზადი.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილი ფრინველიანი ჯამები ერთი ტიპისაა: წითლადგამომწვარი თიხისა. სწორპირიანი, გამოყვანილი ქიშით. ქიმიდან ფსკერისაკენ სწრაფად დაშვებული მხრებით, გამოყვანილი ქუსლით. ჯამი თავის ფორმას არ იცვლის. მიერ გამოზნაკლისის გარდა, ეს ჯამები თითქმის ერთი ზომისაა.

ჯამთა შიდაპირი მოხატვამდე ყოველთვის თეთრი ანგობითაა დაფარული. ჯამის პირზე ამოკაწრულია ერთმანეთის პარალელური წვრილი ხაზი, ასეთივე ხაზი გაუყვება ქიშს ბოლოშიც. ქიმი, რომელიც მიეღი ჯამის ფსკერს გარშემოუყვება, ყოველთვის თეთრია (ანგობის გამო). ეს თეთრი ფართო სარტყელი დიდ როლს ასრულებს საერთო შიამბეჭდილების შექმნაში — ხაზს უსვამს მის შიგნით მოთავსებულ

¹ მ. ჯაფარიძე, „განაცხადის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1, 1955 წ., გვ. 83.

² გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, დასახლებულ კრებულში, გვ. 119.

³ გ. ლომთათიძე — დასახლებულ ნაშრომში, გვ. 135—136.

⁴ აინერული მასალა დაცულია ბ. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფოს მუზეუმის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში ფონდში, სადაც საშუალება მოაქვია შევესწავლა იგი.

ორნამენტის სილამაზეს; ჯამის ცენტრში ამოკარულია ფრინველის გამოსახულება. მათ როგორც წესი, გამოსახვენ პროფილში მარცხენა მხრიდან; მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია გამოსახული მარჯვენა მხრიდან.


ფრინველს წერილი მაღალი ფეხები აქვს, მრგვალად გამოზნექილი მკერდი, წერილი მოღერებელი კისერი, მომცრო თავი, წვეტიანი ნისკარტი, ფართოდ გახსილი თვალი, ფრთა ყელ-მკერდის მიჯნაზეა მიხმული. ფრთის ძირი ორნამენტითაა დამუშავებული. სამუთხოვანი წვეტიანი ბოლო ორადაა განმტობებული. ფეხებს ზემოთ ბუმბულით შემოსილობა უჩანს. (სურ. 1).

მხატვარი — კერამიკოსები ფრინველის გამოსახულების გამოსაცხლებლად ხმარობენ ორ ფერს, მწვანესა და ყვითელს. როგორც წესი, ყელი და მკერდი ყვითელია, ფრთები ჭრლი (ყვითელი და მწვანე ერთმანეთს ენაცვლება), ბარკლების ბუმბულიანი ნაწილი მწვანეა, დეშები — თეთრი, ფეხები და კლანჭები ყვითელი. მხატვარი ფერთა ამ თანამიმდევრობას არ ცვლის. ფრინველს მკერდის წინ და ზურგის უკან, იქ სადაც მეტი სივრცეა დარჩენილი, არტყია მცენარეული რტო-ყლორტოვანი ორნამენტი, რომელიც ყოველთვის მწვანეა. ყლორტებს შორის მანძილი ზოგ შემთხვევაში შევსებულია ღვიძლისფერი წერტილებით. უნდა აღინიშნოს, რომ წინა ფრთა იშვიათად, მაგრამ მაინც იცვლის ხოლმე სახეს, ზოგჯერ ფოთლისებური ხდება, ბოლო კი ორკაპიანია და მისი განაპირა ნაწილი შემკულია კლაკინლახოვანი ორნამენტით. ფოთლისებური ფრთიანი ფრინველის გამოსახულება ჩვენს კოლექციაში სულ ექვსია.

ყველა შესწავლილ ნიმუშს ჩანს, რომ ხელოსანი ცდილობს ანგოზე წინასწარ ამოკარულ კონტურში ზუსტად „ჩასვა“ საღებავი და იგი ამას აღწევს კიდევაც — საღებავი თითქმის არასოდეს არაა გაღერილი. ჯამებზე გამოსახული ფრინველი ყოველთვის მოხდენილია, ამაყი, ლაღი და კკკლუცე კი — ასეთია მისი „გამომეტყველება“.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოს მხატვარ-კერამიკოსები მარჯვლად და უტყუარად გამოხატავენ მათთვის სასურველ სახეს. მათი ნაზი მოქნილი და მეტყველია. სვეთად უნდა ითქვას, რომ ჯამებზე წარმოდგენილ ფრინველთა გამოსახულება გაშლილია, მთავარი ფიგურა და მისი შემადგობელი მცენარეული რტო-ყლორტოვანი ორნამენტი ერთი-მეორეს ავსებს, მხატვრულად მთლიანია.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილი ფრინველიანი ჯამები, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ერთმანეთის მსგავსია, ეს იმას გვაგულისხმებინებს, რომ იმ სახელოსნოში ალბათ ჭკონიათ ერთი წინასწარ შემუშავებული ნიმუში, რომლის მიხედვითაც მზადდებოდა ამგვარი ჯამები. მაგალითისათვის გამოგვადგება ჯამი (სურ. 2) ჩვეულებისამებრ, მისი შიდაპირიც დაფარულია თეთრი ანგობით და შუაში ამოკარულია ფრინველის მარცხენა პროფილი. როგორც ჩანს თავდაპირველად ხელოსანს ფრინველის თავი და კისერი ძალიან განიერი და მოუქმელი გამოსვლია, ეს აღარ მოსწონებია და მერე უფრო დახვეწილი გაკეთებია. შერვანდლის კვალი კი დარჩენილია ჯამზე. ამის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირველი გამოსახულება არ ემსგავსებოდა ამ სახელოსნოში



სურ. 2.

მიღებულ ნიმუშს, რომელიც საკმაოდ სტანდარტულად მიორდება ყველა დანარჩენ ჯამებზე გამოსახულ ფრინველებში, და ხელოსანი მეორედ ცდილა, იგი იმ სტანდარტისათვის მიეახლოვებინა.

მართალია თბილისის კერამიკულ სახელოსნოში დამზადებულ ჯამებზე ფრინველის გამოსახულება ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ შეიმჩნევა მკერდი განსხვავება, რაც გამოიხატება გამოსახულების გადმოცემის თავისებურებაში. ეს გარემოება მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ აქ ერთ ხელოსანს კი არ უშუშავნია, არამედ ერთდროულად რამდენიმეს, რომელთაც მიუხედავად ერთი და იმავე წესის მიღვევინა, ბუნებრივად მაინც დაუმჩნევიათ თავ-თავისი ხელი ფრინველის გამოსახულებისათვის.

ამის შესაბამისად ჩვენ ზევით დასახელებულ მასალაში შესაძლებლობისამებრ გამოვავით რამდენიმე მხატვარ — ხელოსანის ხელი, იმ მკიერედ განსხვავების მიხედვით, რომელიც არსებობდა ფრინველის გამოსახულებათა შორის. ჩვენი ვარაუდით ფრინველიანი ჯამების მეტი ნაწილი შეიძლება ხელოსნის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოს საინტერესო ობიექტს წარმოადგენს სახელოსნოს მრავალწლიანი გადანაყარის გროვი, სადაც ნახევრადამზადებული და წუნდებული (დუფორმირებული, არასწორად გამოშვარი) მოჭრული ჭურჭლის 850 ერთეულია. მათ შორის აღანიშნავია ჭრაჭები, სამარილები, საყვავილები, ქილები, საწვენები, სარქველები და ჯამები. მასალის უმეტეს ნაწილს ისევე, როგორც სახელოსნოში, ჯამები წარმოადგენს. გადანაყარში არის ქურჭელი, რომელთაც ძლივს შესაძენვეი ნაკლი აქვთ (თიხას ოდნავ აქვს ფერი შესცვლილი და სხვ.). ჩანს, ხელოსანს ისინი ისე სრულყოფილად არ მიაჩნია, როგორც სახელოსნოში არსებულ მზა პროდუქტია და ამიტომ, ალბათ, ამ მკიერედი ნაკლის გამო ხვდება გადანაყარში. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვა-

ფიქტივების, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნო მკაცრად ამოწმებდა თავის პროდუქციას, იცავდა და ემოჩიონებოდა სახელოსნოში არსებულ გარკვეულ წესებს.

ამ საინტერესო მასალის შესწავლამ დაგვანახა, რომ გადანაყრის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ამოყვრული და ერთი ფერის (ცისფერი, მწვანე) ჭიქრით დაფარული ჭურჭელი, ხოლო მრავალფერად მოხატული ჭურჭელი მხოლოდ ერთმეკლიან სახით გვხვდება.

კერამიკულ სახელოსნოში დამზადებული პროდუქციის უმეტეს ნაწილს მრავალფერად მოხატული ჭურჭელი წარმოადგენს, მათ შორის კი ჭარბობს ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები, საწინააღმდეგოს ვხვდებით გადანაყარში, სადაც სულ ხუთი ფრინველიანი ჯამია. თუ სახელოსნოში, არსებული ასევე ჯამზე გამოსახული ფრინველი მტკნალვადი ერთმანეთის მსგავსია, გადანაყარი არსებული ხუთვე ფრინველის გამოსახულება განსხვავდება ერთმანეთისაგან — ფრინველის ფორმით, პოზით, „გამომეტყველებით“ და არ ემსგავსება სახელოსნოში დამზადებულს.

სახელოსნოსა და გადანაყარში არსებული მოჭიქული ჭურჭლის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავეფიქროთ, რომ სახელოსნოს ნაშთებს შორის აღმოჩენილი ფრინველიანი ჯამები ამ სახელოსნოს მიერ დამზადებული პროდუქციის უკანასკნელი წყვილია, ხოლო გადანაყარში წარმოადგენილი სხვაგვარი იღრის მქონე ფრინველიანი ჯამები უფრო ადრე დამზადებული პროდუქციის გადანაყარი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, მონღოლთა შემოსევებმა უდიდესმა უბედურება მოუტანა წინა-აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. განსაკუთრებით კი დაზარალდა შუა-აზიის, ირანისა და ამიერკავკასიის ქალაქები. მონღოლებმა გაძარცვეს, გადაწვეს და განადგურეს ვაჭრობისა და ხელოსნობის ცნობილი ცენტრებიც, როგორცაა ბუხარა, მერვი, ნიშაბური, რვი, ანისი, დვინი, ბლაჰანი, განჯა, თბილისი და სხვა მრავალი.⁵

თბილისის კერამიკული საწარმო გამოსრვლთა ვარაუდით, სწვევტს არსებობის მონღოლთა ერთ-ერთი შემოსევის შედეგად (XIII ს. I ნახევარი), რასაც ნუმისმატიკური მასალაც ადასტურებს.⁶ ბუნებრივია, რომ ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები სახელოსნოს არსებობის უკანასკნელ პერიოდს მიეკუთვნოთ.

ფრინველის გამოსახულებიანი ჯამები გვხვდება აგრეთვე თბილისის სხვადასხვა უბნებში შემთხვევით მოპოვებულ თიხის ჭურჭელსა⁷ თუ კერამიკულ სახელოსნოს ნაშთებს შორის.⁸ ისინი განსხვავდებიან ჩვენს მიერ განხილულ ჯამებზე

⁵ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ რ. კიენაძის საინფორმაციო დისერტაცია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება პლუროციტული სახელმწიფოში, გვ. 103. თბილისი, 1955 წ., ხელნაწები ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

⁶ Г. А. Ломтадзе, Результаты и перспективы археологического изучения города Тбилиси, С. А. № 4, გვ. 71, 1959 წ. ი. ჯავახიშვილ, დასახ. ნაშრომი, გვ. 97—98.

⁷ ვ. ჯავახიშვილი, XI—XIII საუკუნეების თბილისის კერამიკა (თიხის ჭურჭელი) ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის შიშაში XVI ბ. გვ. 145, სურ. 14.

⁸ ი. ვარძილაშვილი, ი. ტყემალაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, 1961 წ. ტაბ. XXXIV, სურ. 34.

გამოსახულ ფრინველებისაგან, თუმცა ზოგიერთი მსგავსი კარგად არის შესრულებული, აშკარად ჩანს, რომ ისინი სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმს წარმოადგენენ.

გარდა თბილისისა ჯამები ფრინველის გამოსახულებით სხვადასხვა რაიონობით გვხვდება რუსეთის ნაციხარზე და ნაქალაქარზე, დმანისში, უჯარმაში, გუდარგუში, გორში. თუ შევადარებთ ამ ფრინველიანი ჯამებს თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილებს, დავიინახებთ მკვეთრ განსხვავებას: ფრინველის გამოსახულება დაუდევრადაა გამოყვანილი, ყოველ ჯამზე გამოსახული ფრინველი სხვადასხვანაირია; ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფრთების მოყვანილობით, ფრთის ძირში გამოსახული ორნამენტით, საერთო აღნაგობითა და გამომეტყველებით. ფრინველი შემკულია ზოგჯერ მცენარეული, ზოგჯერ კი გეომეტრიული ორნამენტით. აქვე გამოიყენებულა მწვანე და ყვითელი ფერი.

განხილული მასალიდან ჩანს, რომ რუსეთში, დმანისში უჯარმაში და გორში აღმოჩენილ ჯამებზე გამოსახულ ფრინველებს არ ახასიათებთ ის ერთიანობა, რაც ნიშნავდადობლივია თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნაწარმისათვის.

გარდა დასახელებულისა, ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები გვხვდება ამიერკავკასიის და შუა საუკუნეების სხვა ნაქალაქარებშიც ამ მკალოითადა, აზერბაიჯანში — განჯისა და ორენ — ყალას მასალაში სულ რამდენიმე ფრინველიანი ჯამია. ამ ფრინველის გამოსახულებას შემდეგი თვისება ახასიათებს: ფრინველი ყოველან მოცემულა პროფილში მარჯვენა მხრიდან, ოლინდ ანუ შემოტარებული აქვთ მარცხნივ; ფრინველებს ყურები თუ რქები აქვთ გამოყვანილი. დიდ განსხვავებას ვხვდებით ჯამის შემკულობასა და ზომებშიც. ბაკო და ქიმიც შემკულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით; ფრინველთა გარემო ხან მცენარეული ორნამენტია (მწვანე), რომელიც ბოლოვდება ყვითელი კვირტებით, ხან სტილიზებული მცენარეული ორნამენტია. საერთოდ აზერბაიჯანის ფრინველიანი ჯამები ძალზე გადატვირთულია ორნამენტებით. მსგავსებას ეპოულობთ მხოლოდ ფერებში; აქვე გამოყენებულია მწვანე, ყვითელი და ღვინისფერი ტიქტუროვანი საღებავი იგივე თანამიმდევრობით.⁹

სრულად განსხვავებული სურათია სომხეთში (ანისი, დვინი, გაზანი). ანისი სულ რამდენიმე ჯამია ფრინველის გამოსახულებით, რომელიც საქართველოში დამზადებულს უფრო წაავსებს,¹⁰ მაგრამ მისგან მაინც განსხვავებულია საერთო იერი. დვინში მხოლოდ ერთი ფრინველიანი ჯამია, რომელსაც ბ. შულციანოვი ადგილობრივად არ მიიჩნევს¹¹. კ. კავთაძის მიერ აღნიშნულ ჯამს XI—XIII საუკუნეებს მიეკუთვნება¹². ჩანს ჯამები ფრინველის გამოსახულებით დვინის გარისში არ მზადდებოდა. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ დვინი XIII საუკუნისთვის უკვე დარბეულია და მისი

⁹ აღნიშნულ მასალას გვეყვანიოთ აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის, ნიშაბის სახ. ენისა და ლეიფაბურის მუზეუმისა და ხანის სახალის ფრინველები.

¹⁰ ანისის, ვანისისა და დვინის მოჭიქულ ჭურჭელს გვეყვანიოთ სომხეთის ისტორიული მუზეუმის ფოტოდოკუმის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ფოტოდოკუმები.

¹¹ Б. А. Шелюжин, Художественная керамика Двинских раскопок, Изв. Арм. ФАН № 4—5, Ереван, 1940 г.

¹² К. Г. Каралярян, Город Двин и его раскопки I 1952, გვ. 27, სურ. 195.



კრამიკული სახელოსნოებიც სწვევტენ არსებობს. დღინს კრამიკული სახელოსნოების მომლამ გარკვეული დალი დაანინა გარნისაც, რომელსაც XIII საუკუნემდე ამარაგებდა იგი კრამიკული ნაწარმით. ამიტომ ამ ხანის კერამიკის გარნიშიც ვეღარ ვხედავთ. XIV საუკუნეში კი გარნის უკვე საკუთარი კრამიკული სახელოსნოები უნდებდა.

ქერსონის მუზეუმის ფონდებში დაცულ შუა საუკუნეების მოჭიქულ კერამიკას შორის გამოირჩევა ორგვარი სახის ფრინველის გამოსახულება:

1. ლანგრები თეთრი თიხისა, რომელზედაც ღვიძლისფერი ჭიქურთვანი საღებავით გამოყვანილია სტილიზებული ფრინველი; გამოსახულება ერთი ხელისმისმითაა შესრულებული, მოძრავია და მეტყველი. როგორც ცნობილია ყირიმში თეთრი თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი ყველა შემოტანილია. აღნიშნული ჯგუფის ჯამებს ა. იაკობსონი ბიზანტიურად მიიჩნევს და XII—XIII საუკუნეებს მიაკუთვნებს.¹³

ბიზანტიური ჯამები ფრინველის გამოსახულებით სრულიად განსხვავებინა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჯამებისაგან, უპირველეს ყოვლისა, კვითი (თიხა თეთრია), საქართველოში კი მხოლოდ მოკითალო თიხისა გვხვდება; ჯამის ფორმით — ბიზანტიური დიდი ლანგარია, თუმცის ფორმისა. საქართველოში კი გავრცელებულია საშუალო ზომის დრმა ჯამები. ბიზანტიული ხელოსანი არ მხარობს იმ ფერად (მწვანე, ყვითელ) ჭიქურთვან საღებავებს, რაც ასე ჩვეულება ჯართველ ხელისნადავს.

2. ჯამები მოკითალო თიხისა, რომელზედაც ამოკარწულია მრავალფერად მოხატული, ფანტასტიური ფრინველი. მათზე გამოსახულ ფრინველს თუ შევადარებთ საქართველოს ტერიტორიაზე და მის მეზობელ ქვეყნებში (აზერბაიჯანი, სომხეთი) აღმოჩენილ ჯამებზე გამოსახულ ფრინველებს, დაინახავთ განსხვავებას თვით ფრინველთა გამოსახულებაში. გარდა ამისა, ქერსონის ჯამებს არ აკმაბის ის მცენარეული ორნამენტი, რომელიც ასე ჩვეულება ამიერკავკასიის ფრინველთა ჯამებისათვის. მსგავსებას ვხედავთ საღებავებში. ქერსონის ხელოსანი იყენებს მწვანე და ყვითელ ჭიქურთვან საღებავებს, რომელიც ასე გავრცელებულია ამიერკავკასიის მხატვარ-კერამიკოსთა შორის. ქერსონისში აღმოჩენილ მრავალფერად მოხატულ ჯამებს ა. იაკობსონი XIII საუკუნეს მიაკუთვნებს.¹⁴

ა. პოპს მიერ გამოქვეყნებულ სპარსულ ხელოვნებისადმი მიძღვნილ ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი შუა საუკუნეების სპარსულ მოჭიქულ კერამიკას. ნაშრომშივე გამოქვეყნებული მრავალფერად მოხატული ჯამები ფრინველის გამოსახულებით.¹⁵ თვითველი მათგანი სხვადასხვანაირია, მაგრამ ისინი მეტად მსგავსებას იჩენენ (ბრჭყალებით, კულით, ტანით, ფერებით). ამიერკავკასიის ჯამებთან ფრინველის გამოსახულებით ვიდრე ბიზანტიისა და ქერსონის ანა-

ლოგიურ მასალასთან. ა. პოპი დასახელებულ ჯამებს XI საუკუნეს მიაკუთვნებს.

ზემოთ განხილული მასლიდან, როგორც ჩანს, ცალკე გამოიყოფა ბიზანტიური ჯამები, ჯამის ფორმით, კვიტ და ფრინველის გამოსახულებით, ხოლო ერთნაირი მეტ მსგავსებას ბოლოებს ამიერკავკასიისა და სპარსეთში აღმოჩენილი ჯამები.

ამრიგად შუა საუკუნეებში საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ჯამის შემოება ფრინველის გამოსახულებით გავრცელებულია, მაგრამ ყოველი მხატვრული სკოლა და ყოველი მხატვარი კერამიკოსიც კი მას თავისებურ სპეციფიურ სახეს აძლევს და თავის ამოცანას სხვადასხვა მხატვრულ დონეზე ასორციელებს. უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილული მასალა და ჩვენთვის ხელმისაწვდომ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ ჭურჭლის უმეტესი ნაწილი მომდინარეობს ნაქალაქობიდან, სადაც კულტურული ფენების აუცილებელი და გახუყრული თანამგზავრია მრავალრიცხოვანი მოჭიქული კერამიკა, რომელიც დამზადებული უნდა იყოს ამა თუ იმ საწარმოო ცენტრში. ე. ი. ნაქალაქობიდან მომდინარე მოჭიქული ჭურჭელი მრავალფეროვანია. ხოლო ამჟერად ჩვენ მიერ განხილული თბილისის კერამიკული სახელოსნოს მოჭიქული ჭურჭელი (ფრინველთა ჯამები და სხვა ორნამენტით შემკული, რომელთა განხილვა ამჟერად შეუძლებელია) ერთი საწარმოს პროდუქციაა და ამიტომ ამ მასლის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან გველწევა საშუალება მეტნალებს სისრულით აღვადგინოთ ამ საწარმოს მივლი რიგი თავისებურებანი. აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი მასშტაბის სახელოსნო ამ პერიოდისა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გათხრილი არ არის.

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის შესწავლამ დაგვანახა, რომ სახელოსნო ამზადებდა დიდძალ ერთგვაროვან პროდუქციას. ასეთი დიდძალი ერთგვაროვანი პროდუქციის არსებობა იმის ვარჯლის საშუალებას იძლევა, რომ თბილისის გარეუბანში გაერთიანებული ერთი ხელოსნი (მეთუნე) ოსტატები ემორჩილებოდნენ ერთ მიზანდასახულებას, ერთსა და იმავე მხატვრულ ამოცანებს და ტექნიკურ წესებს. ე. ი. სახელოსნოს მიერ დამზადებული პროდუქციის ერთგვაროვნება შემოიბოებული უნდა ყოფილიყო სახელოსნოში არსებული გარკვეული წესებით, რომელსაც ალბათ ნერგავდა და ამყარებდა ხელოსნთა ორგანიზაცია — კავშირი. ასეთ კავშირებს საქართველოში „ამჟანს“ უწოდებდნენ.

როგორც ისტორია იუწყება ხელოსანთა კავშირები არსებობდა სპარსეთსა და მუსულმანურ სამყაროში (ამჟარი), მცირე აზიაში (ანსაფი), დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიის (სამაქროები). ჩანს ხელოსნური კავშირები ფართოდ კლავდა გავრცელებული შუა საუკუნეების ქალაქებში (სხვადასხვა სახელწოდებით), ხოლო მათი არსებობა სოციალური ურთიერთობისა და ხელოსნური გაერთიანების გარკვეულ დონეზე განვითარების შედეგი იყო.

თბილისის აღმოჩენილი დიდი მასშტაბის კერამიკული სახელოსნო, ამ სახელოსნოს მიერ დამზადებული დიდძალი

¹³ A. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV в.в.) М И А ССР 17, ტ. ა., 36, 37, 38, 39.

¹⁴ A. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV в.в.) М И А ССР № 17, 1950 г., ტ. ა., XXXI, XXXII.

¹⁵ Pope A. A. Suvyeyof Pepsian Art for Prehrsozy to to-day, London, 1938-39, ტ. VI, ტ. ა., 607, 608, 609, 610, ტ. II გვ. 1526—1529.

მაღალხარისხიანი პროდუქცია და სხვა განათხარებში აღმორჩენილი მოჭედილი ჭურჭელი, აშკარად მეტყველებს აღმოსავლეთ საქართველოში მოჭედილი კერამიკული წარმოების მაღალ განვითარებას, ხოლო, როგორც შ. მესხია აღნიშნავს, „თვით ხელოსნური წარმოების განვითარება ბუნებრივად ზღვდება მისწრაფებას ხელოსნური ასოციაციებისაკენ ხელოსანთა კავშირებისაკენ“¹⁶.

როგორც ჩანს, ძველი თბილისის განაპირა უბანში მეთუ-

¹⁶ შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს), გვ. 269, 1942 წ. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწები ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ნები არა მარტო ტერიტორიალურად ერთიანდებოდნენ, არამედ მეთუნეთა კავშირში — ამქარში.

და მართლაც, თუ წერილობითი წყაროების მიხედვით უმჯობესაა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა მხატვრობა, ქვის მთლიანად და სხვათა კავშირში¹⁷, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ვარაუდი, რომ ქალაქ თბილისში არსებობდა მეთუნეთა კარგად ორგანიზებული კავშირი, რომელიც აწვევდა მოსახლეობას დიდი გემოვნებით შესრულებულ და კარგი ხარისხის მოჭედილ ჭურჭელს.

¹⁷ შ. მესხია. დასბ. ნაშ. გვ. 269.

ქართული

სტაგის

ისტორიკან¹

ვირჯილ მოლინი

(რუმინეთიდან)



ინკრემენტე საუწყის მიწურულში ვალხიას მართავდა კონსტანტინე ბრიჯოვიანო, რომელსაც ისტორიაში იხსენიებენ როგორც „კულტურის პროტექტორ ვოევოდას“. კონსტანტინე ბრიჯოვიანუს წყალობით ვალხიასში წიგნის ბეჭდვა განსაკუთრებით აუვავდა. მუშაობდა ოთხი რუმინული სტამბა, ხოლო მხოლოდ — არაბული აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის ბეჭდვავა წიგნებს. ბრიჯოვიანუნდ რუმინეთში წიგნის ბეჭდვის მუშაობა დაიწყო მმართველ შერბან კანტაკუზნოს; მისი მმართველობით დაბეჭდილი ბიბლია (1638), რუმინული ნახევრე წიგნებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა და მწარუფელების სახლს ატარებს.

რუმინული წიგნის ბეჭდვის ნაწილები აუვავდა იენება იმ დროიდან, როცა ბრიჯოვიანუს კონსტანტინელოვან ანთონიო ივერიელი ჩამოყვანა (რომელიც საქართველოდან, ივერიიდან იყო).

მეექვსე ბერი, რომელიც რუმინეთის მიტროპოლიტად და წიგნის მარჯვე მინიატურისტად იქცა, თურქებმა მოკლეს და ანდრონოპოლის ახლოს მდ. მარიცის შენაკადში ჩაადგეს (1716). ანთონიოს მშვენიერი წიგნების სერია და ღირსეული მოწაფეები დაკვიტვალის დიდი ენთუზიატი მეექვსე იყო, ასეთვე დარჩა შამშიაც კი, როცა ვითარებამ საექლესიო იერარქიის მწვერვალზე აიყვანა. იგი გამუდმებით ზრუნავდა, რომ აღეზარდა ოსტატები, რომლებიც მის საქმეს გააგრძელებდნენ და წიგნის ბეჭდვის მეთოდებით შორს წიღებდნენ განათლების ჩირაღდან. როცა მან ტრაკიულად აღასრულის მოახლოება ივერნი, 1715 წლის 20 ივლისს, ანდერში წერდა: დაიწყეთ სხვადასხვა სახის ვიწის, რათა ეს ხელობა ქვეყანაში არ გაქრეს და ქვეყნის სარგებლობისათვის წიგნე მუშაობა არ შეაჩეროს. ანთონიოს მრავალი მოწაფე აღეზარდა. მასთან ძალზე ახლოს იყო და ბეჭდვის ხელოვნებასაც ბრწყინვალედ იყო დაუფლებული მიხაი იშტვანეს შვილი (იშტვანოვიჩი), რომელიც ანთონიოს ხელმძღვანელობით გახდა ბეჭდვის საქმის რეტიციკოსი, კარგი ორგანიზატორი, სტამბის უნარიანი ხელმძღვანელი და რამდენიმე კალმის მფლობელიც. იშტვანოვიჩი ანთონოს „თავის სულიერ მამას“ უწოდებს. მიხაი იშტვანოვიჩმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს კულტურის ისტორიაში. იგი თვლიდა პირველ მეექვსევე ქართულ წიგნსა, რომელიც 1630 წელს წინათ გაიჭადა.

ვიმ იყო ეს მიხაი იშტვანოვიჩი, რომელიც საქართველოში მის მიერ დაბეჭდილ წიგნებს აწერდა — „ხატუნეშვილი ვალხიადან“, ვეფხვიანი, ინტერსკულეპული არ იქნება. თუ გავეცნობით მიხაის წარმოშობას და მის საქმიანობას სამშობლოში.

მიხაი იშტვანოვიჩი იყო რუმინელი გლეხის შვილი არდალიდან. მასაც, როგორც უკვლევებს, უფროდ მძიმე ბავშვობა უნდა ჰქონოდა. იგი მუშაობდა ბელ-ერაში ფეოდალის კარზე, რომელიც ამ „საწყალთა პლეზის“ ბელის ბატონ-პატრონი იყო.

მიხაი იყო უმა გლეხ სტეფანეს, ანუ იშტვანის ვაჟი, უნჯრული სახელი ოშტვანი რუმინული სტეფანეს ექვთიანისა. ალბათ, ასე უნებოდა უნჯრულად ფეოდალური ლატიფუნდოების მოხელეთა მიერ კარგი მომუშავე ყმების ჩაწრა. როგორც ჩანს, „მიხაი შვილი იშტვანისა“ — ასეთი სარეგისტრაციო სახელით გაიქცა ვახუტი, რომელსაც თავისუფლება და განათლების მიღება სურუროდა. იგი გაქცევა ფეოდალისა და მისი მოხელეების სიძაქრესა და უხეშობას. თუ გაქცეულს შეიპყრობდნენ და ბატონთან მიიყვანდნენ, წამება ელოდა, რომელიც საჯარო ცემით იწყებოდა. მიხაიმ გადალახა კარბატები და ვალხიასში ჩაიდა. აქ კი, გამოქცეულს, თუ ნიჭიერი იყო და სწავლა წურუროდა, შეიძლოა რომელიმე მონასტერს, ან ეკლესიას შეეღობოდა, რათა მღვდლად მომზადებულიყო. მიხაი მუქურმუქში ჩამოვიდა, სადაც მიტროპოლიტად არდალიდელი უმა აღიბის შვილი იყო. თავდაპირველად მიხაიმ უმწვერვალე სამსახური ითვო უნარი-ვახლბის მიტროპოლიტის სტამბაში, ამავე დროს მუშაობდა ძალზე მაღალ საიუსტიციო იპოთეკის თანამდებობაზე, ოტვანოვიჩის სახელით. (სულთქმა ვიჩი-იბისი შვილი მაშინ ძალზე გავრცობილი იყო ეკლესიის მსახურთა შორის).

მიხაის პირველადი წარმოშობა დასტურდება თბილისიდან მიღებული ცნობებითაც, დაახლოებით 80 წლის წინათ. ურდორის ბაირინი წარმოშობით საქსი არაბილიდამ, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და ცნობითა ხატუნეშვილიც იყო, არაქოვლიც განხდა, პირველი აქვეყნებს ჩვენს ცნობას მიხაის შერს საქართველოში წინაბის ბეჭდვის შესახებ. ცნობა წარმოადგენს გააქრელობას, იმ აღმართისას. რომელიც ვაკეთა გამონიშნობა არაქოვლიანმა ბაქ-მაშმა. ბაირინი 1638 წლის 7 თვისათა დათარიღებული წერილით მიმართავს რომინოვის ბიარგაფელე სპოვალოვს მუქურმუქში და მიუთითებს ამ მნიშვნელოვან აღმორჩენზე. ბოლოს იგი ამბობს:

ბა... და ამას მოსდევს მომოდინება ჩვეულებრივი ბეჭდური შექმნილებისას.

მათეიკი კი, როგორც მისი „ქართველებისადმი სიტყვიდან“ ჩანს, ჩრდილოეთ ამიანს იმაზე, რომ სტამბის მოწყობისას ჩამოტანეს და რაც ეს რომელიმე დიდი მრეწველობის წყაროა. მიათა წერს, რომ რაც ის თბილისში ჩამოვიდა, სტამბის, რომელიც მან „მოაწყო“ (გამართა), არ გაჩნდა საქართველოში მრეწველობის, არა მდებარეობდა ისეთი მოწყობის წინის ბეჭდვას, როგორც ჩვენს სტამბებშია. არც სხვა საკუთრივ ნივთები გაჩნდა, მოწყობილობა არ იყო სრული კომპლექტიანი. ამიტომაც ელემენტად მიათა, რომ სახელმწიფო საკუთრივ მოწყობილობით შეეცო. მიათის რომ სტამბა ჩამოტანა შეუძლებლობა, რომ ის ახასრთული კომპლექტით ყოფილიყო და თბილისში დაეწყო ლოდინი, რადგან ჩრდილოეთდან წამოვიდა მოწყობილობის (შეესება). შეესება (შრიტები და მოწყობილობის) სხვა მხრიდან მოვიდა, საიდანაც ჩამოტანილი იყო სტამბის ძირითადი ნაწილები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაგნტას არ შეეძლო მაღლობა იქცა იმისათვის, რაც მას არ მოუღია. ვაგნტანი ფლობდა სტამბას, რომელიც მან შემუშავებული იყო ახრისთვის, თავისი მიზნისა და მიზლი. ეს სტამბა ჩამოტანილი იყო მოლდოიდან (ამსტერდამიდან). ეს არის ჩვენი დასკვნა საქართველოში წინის ბეჭდვის საქმის დაწყების ისტორიის შესახებ.

ახლა გავყენებ მასსებებს, რომელიც ეხება სტამბის ჩამოტანას მოლდოიდან.

მას შემდეგ, რაც მოლდოვა ესპანელების ბატონობისაგან განთავისუფლდა, იქ ეკონომიური და კულტურული ცხოვრება გამოვლინდა. ლეიწინი და ამსტერდამში სასტამბო წარმოება გაძლიერდა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. საქართველა აღინშნა დიდი ელჩების (1570-1656) სახლი. უფრო გვიან 1640 წელს დასრულდა ჩუგაყა მესტამბოთა ახალი დინასტია, რომელიც ე. ლაშოვ დაარსა. ლაშოვ სახელი გაითქვა წინის ვრავიური, გამოსცა მრეწველობის სერია ატალსების 12 ტომად. იგი დიდ საქმიანობას მნიშვნელოვან ვრავიურის, მატრიკების დამზადებისა და ასოების ჩამოსხმის დროს. 1690 წელს მის სახლს უკვე საკმაოდ მუყარა რეპუტაცია ჰქონდა, იგი მოლდოიში ასობის (შრიტების) ჩამოსხმისა და სტამბის მოწყობილობის შეწყობების იზიდავდა. (ახალი „სამოქალაქო“ აღმშენებლის ასობის, პეტერ დიდის ინიციატივით დაკვეთილი და შედგენილი დროს რუსეთში განხორციელებული ამსტერდამიდან იქნა ჩამოტანილი).

1680 წლის ზაფხულში ბელაისთან არიდლის ქალაქსტეტიდან ჩამოსული ახალგაზრდა ტრავალუმს კომ ბელაისი ნიჭიერი მას როგორც მიწვევს 200 ტალერად დაუნიშნა, რათა იმუშავებინა ელემენტების საიდუმლოზე ზარბეგად. ტრავალუმს უთხოვეს სტამბის (შრიტების) დამზადების რაოდენობის შესახებ, უკანასკნელს ვრავიური დამზადებისა და ასობის ჩამოსხმის დახვედრდა. მის ამსტერდამში ჩასვლისა და ბიბლიის ბეჭდვასთან დაკავშირებით ჩვენ ბევრი საინტერესო რამ ვიცით. მაგრამ საინტერესოა აღინშინოს, რომ მან ბელაისს უყოფინა სამი წელი მანდილურ (1680-1683) შეძლო ასობა ნიშნების შექმნის „ყველა საიდუმლო მოეპარა“, გამოვიყო ზღაღს და ცალკე პატარა სახელისონი მოაწყო. სახელოების შემოსავლად უკვედგარა მოლოდინს გააძაგრა. შეკვეთები შრიტების დამზადებაზე მოდიოდა საფრანგეთიდან, გერმანიიდან იტალიისა და იტალიიდან.

ტრავალუმს აწვევდა ფლორენციანთა, რათა მის მიერ დარსებული სტამბის უზენაესადყოფილი. თეთი მათ ინიციატივ XI თბის ტრავალუმს, ჩავიდეს რომში.

ასობის დიდი ვრავიურის სახელი მას ეკუთვნის აღმოსავლეთის საქრისებრი ქვეყნებშიაც პირველი შეკვეთა იყო სომხეთიდან. მან ვრავიური გამოკვეთა და ჩამოსახა სომხური ანბანის ასობი. შემდეგაც შეკვეთა იყო საქართველოდან.

1686 წელსაც საქართველოს მათავეს უკვე არჩილი (ვატანგის ბიძა), „სახალხო პოიტად“ მოხდებოდა, მას სურს დადგენოს თავისი შრიტები, დაავაყოფილოს მომზადებისა ვრავიურს. ამისათვის იგი მიმართავს ამსტერდამს, რომელიც ამ მხრივ წინ უსწრებდა ლეიწინს. 400-ზე მეტი სტამბა და წინის მარჯა იყო ამსტერდამში. კავშირი ადვილად დაეკარგა.

ამსტერდამის პრინაირი იყო ნიკოლას კარნელის ვიტინი. დიდი კულტურული და პოლიტიკური მოღვაწე. ვიტინს ახლდნ ურთიერთობა ჰქონდა პეტერ დიდთან. მან ბევრი ინიციატივა რუსეთის იმპერიაში. ხელნაწერი წინების მდიდარი კოლექცია შეკრავდა. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა თარიღებით და ტოპოგრაფიულად შეესწავლა კავკასია, ვიტინსმაც შეუდგინა აგრეთვე ცნობილი „თაოთარი“ რუკა. გამოქვეყნდნოვორ 7. არჩილსაც დამხარობისათვის ვიტინს მიმართა, რათა ამსტერდამის ბაზაზე ქართული შრიტებიანი სტამბის შექმნა დახარებით. ვიტინს ზედამოჭირილი კანდიდატურა იყო ამისათვის. რაჯან მას ქართული ხელნაწერები ჰქონდა. (ხელნაწერები თან ერთობდა ფოლოლოგიური გამოკვლევებით ქართული ნაწილები). შესაძლოა, არჩილმა იგი ვაიციე მანში, რაც იგი მასალებს აკრებდა სათარგმნის კარგოვრათვისა და აღწერისათ-

ვის, ამავდროულად, საქმიან ურთიერთობაში იყო ბლუს სახლიანაც, სადაც მის რუკა დაიბეჭდა. ვიტინსაც არჩილს თხოვნა შეასრულა და დამხარებისათვის ტრავალუმს მიმართა. ტრავალუმს მიიღო შეკვეთა. ქართული ანბანის ჩამოსხმა დიდ მუშაობას მოითხოვდა. მას შრიტები ქართული წერის ნიშნებისა და ძველი ხელნაწერების მიხედვით უნდა შედგენას, აგრეთვე იმ „ალფაბეტზე“ გათავისუფლებული, რომელიც პირადად არჩილმა შეადგინა და შეკვეთილი წერის საფუძველი იყო. ტრავალუმსმა სურსებრილი როდი გადაიღო ყველა წარმოდგენილი ასის ნიშნი, არამედ ზარბეგის ნიშნის დაწერისათვის დაიწყო. ე. ი. ანბანი შეხედულებისამებრ „სისხებიანად“ მოეყვანა. იგი ცდილობს „იკვებოს“ ჩაილის ყოფილი ასი. მან შეძლო ლითონზე ამოჭირილი ვრავიურის სურსებრი ქართული დაწერისათვის ხასიათისა და სიღამაზისთან შეესაბამება. არჩილი კმაყოფილი დარჩენილა, ამას იგი აღნიშნავს პრინაირსადმი მიწერილ წერილში, რომელიც შემდეგ გამოკვეთდა ვიტინსთან დაკავშირებით ერთ ერთ შრიტში 81. როგორც დავიანახებ, არჩილმა თბილისში გადაწერა აღმშენებელი, რომლისაც საუფლებლად ძველი ღამაში ქართული ხელნაწერი დაიღო, მანვე გაუზღავნა ზარბეგის „კონსტრუქციის“ ბოლო ამსტერდამელს ოსტატად შრიტები ტევიკისაგან ჩამოსხმა. ამოგად შექმნა ზუგური, ანუ არჩილს ქართული საკვლეობის ნიშნები დაწერა. რაც შეესება ვრავიურს, რომელიც ამტკიცებს, რომ ამსტერდამში დამზადდა პირველი ქართული შრიტები არჩილის სტამბისათვის, დასრულებულია ძალზე დაზარალებულია. პირველი რიგში უნდა აღინიშნოს არჩილის მაღლობის წერილი ვიტინსისადმი. საყურადღებო და საინტერესო წყაროა აგრეთვე ტრავალუმის ბიოგრაფიაც.

ტრავალუმის საკვლეობის შემდეგ (ყველა დენის დროს წინასწარი ძიების საკვლეობა), მისმა ერთგობმა მეგობარმა პროფესორმა შაპა პარკი ვერცხლს, დიდ მუშაობებს პატივისცემის ნიშნად უძენდა ლეიწინს 11. შაპის მიერ დაწერილი ეს რვა გამოკვეთილი გამოკვლეობის (ზოდ პეტერის) კომენტარებით, რომლებიც ძალზე სასარგებლო ინფორმაციით ავსებენ მას. კომენტარებისაგან ჩვენ 80-ე შენიშვნას აღნიშნავთ, სადაც ბოდი ვამბატას საქართველოში ჩამოსხმა და იტლივა საყურადღებო ცნობის, რომ ტრავალუმსმა თბილისში ვრავიურისთან შეკვეთის დაწყებამდე არა მარტო შრიტები, არამედ სტამბაც.

ამრავად, ისტორიული წყაროები ნაოღად ვცხადებუნი, თუ რა ვითარებაში იქნა შეძენილი ქართული სტამბა მოლდოიდან. ამჯერად ეს არის დადგენილი ფაქტი, რომელიც არამდინავე სხვაგვარად წარმოადგენს სტამბის დაარსების ვითარებას საქართველოში.

შრიტები: ქართული სტამბის დამარსებელია არჩილი მეფე. მას სტამბის შეკვეთა „მსტერდამში 20 წლით ადრე, ვიდრე ვაგნტანს დაწერილია“. ამტკიცებს ამსტერდამიდან მიიღო არა მარტო ტრავალუმის მიერ ვრავიურისათვის ასობის (შრიტები), არამედ სტამბის სრული მოწყობილობა (სახბუთე სახელისონი, როგორც მას უწოდებდნენ კომენტატორი ზოდ პეტერის). ვაგნტანმა, არჩილს თბილისში მარტო შრიტები არაღწერა ვაგნტან არ შეეძლო იმ მასთან ერთად სტამბის მოწყობილობასაც არ მიიღებდა, სულ მცირე, სახბუთე წერების მათიც.

გაუგებარა რიტები: რა ბედი ეწეოა ამ სტამბის, ვიდრე პირველი წინების დაიბეჭდებოდა (1709 წელი). სად მუშაობდა სტამბა, რამდენ ხანს, ვისთან და რა დახმებამ ამ მხრივ დახმარებობით არ ხტარხებდა რაიმეს მტკიცება. შემდგომე მხოლოდ ვითარების ლოკაციური ანალიზით ვართად გამოვთვითა, ვიდრე ახალი გამოკვლევები არ დაამტკიცებენ ამ უარყოფილზე მას.

ამჯერად, ვფიქრობთ, არჩილის მიერ მოლდოიდან ჩამოტანილი სტამბის ამსუბუხებლად საქური იყო მოცდენი, სეკუილარული მომზადებელი ოსტატის თბილისში ასეთი კაცი არ მოიძებნებოდა. არჩილმა მოლდოიდან ვრავიურს მიიყვანა. ტრავალუმსმა ფლორენციანს გამოგზავნა ვრავიურს კი უარი თქვა 11. ამბობს სტამბა იდია, და როცა იყო წლის შემდეგ ვაგნტან VI სხად იგი აუთხოვდა მას, დამხარებისათვის ცნობილი ვაგნტანს ანობობს მიმართა. ანობობს თბილისში გამოკვლევის მიზან. რომელიც საქართველოში სტივენს შეეღობა არის ცნობილი. აქამდე ვერც კტრავალუმის სტამბაზე ვიცით არაფერი. ვიდრე ბეჭდვები არ აღმოჩნდნენ, ბოლო რუსეთში მდილოგრაფია დიდი ხანს ვამუშავებდა, ბოლო რუსეთში ცხრა წინადად იტნიდა მხოლოდ ერთი წინის (სახბუთე). ამბობთაც შეესაბამება მიჯარვას, არამედ შეკვლევის საქართველოში არ მიმართულებით შეეძლოა მოეკვინა დამატებითი ცნობები. ამიტომაც ვიტინს ბეჭდვის ისტორიის შესახებ ვიცით. იქნებ ამ ნარკვევამ წარმოადგინებდა მისარჩილს ბიჭი მისივე მისივე, ვისაც მიანიშნა, რომ ქართული წინის ბეჭდვა დასაწყობით 1700 წლებიდან ივარაუდებოდა. ერთ-ერთი ცნობით ვერცხლს ისტორიოგრაფი ბეჭდვის დაწერა, კარლ ფოლმანი ამოსთქმავდა აზრს, რომ 1701 წელს საქართველოში დაიბეჭდა ვაიციე. ასეთივე აზრის იყო ფრანგი ისტორიკოსი. დიდი რუმინელი ისტორიოგრაფი ვრავიურ იონისკი, რომელიც ბეჭდვითაც იკვლევდა წინის ბეჭდვის წარსულს, წინას 1701 წელს თბილისში დაიბეჭდებოდა ვაიციე ნიშნითაც, რომ სს-

⁸ ამ რეისს გამოეყენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ორიენტალისტთა წრეებში, პირიქელი ბიბლიოთეკის თევერობის შეთავაზობით, შემდეგ კი ბრუდერსს და აგრეთვე დიდ გერმანელი მონაზრისის გ. ვ. ლიბინისს, რომელიც ბევრს მუშაობდა რუსეთისა და მისი მამონდელი მდგომარეობის საკითხებზე. გამოჩნდა ფართო მმოწურა, რასაც მოყვა ლიბინისსა და ვიტსენის დახმარებამ. რუსეთში, რომელიც შეიჭრა ტიბეტის დაბნეულ, ხალხსა და მათი აზრების, ამიტომაც 1705 წელს აფეთის სიციხეში, ხელახლა გამოცდა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოს შიგრ გამოცემული რუკები ძალზე გაუმჯობესებული იყო. ჩვენში მას სწავლობდა სტოლნიკი კონსტ. კანტაუტინი, პანს ვენსის მხედვით Das Schifft, Berlin, 1958 (როგორც ჩანს, სიტყვა „კონტექსტს“ ტრეტალუმინათვის (რომელიც განათლებული ფილოლოგი იყო) მეცნიერულ შინაარსის კვირდა, როგორც ეს მას ლინგვისტურ გამოკვლევებში აქვს. მამასადამე, ტრეტალუმინა საქართველოდან ფილოლოგიური მასალა მიიღო, რომელიც უნდა შეეცნო ოდნა ტექნიკისა და დამწერლობის გამოკვლიების თვალსაზრისით.

⁹ შაჰი პირს ფერენცი — დაიბადა 1649 წელს, სწავლობდა ლისკაში, შემდეგ ბაზელის უნივერსიტეტში ასისტენტად იყო. არდალში დაბრუნდა 1676 წელს. მას ნიშნავენ ადელის კოლეჯის პროფესორად. იგარ იყო ექიმი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, თეოლოგი და პოეტი. გარდაიცვალა 1716 წელს.

¹⁰ შაჰი წერს მოხრილ ოდის სათურით „ცხოვრების წიგნი“, რომელიც 78 სტროფისაგან შედგება. პროფესორი შაჰი, ტრეტალუმინს ყოფილი კოლეგა კოლეჯიდან, მის ცხოვრების აღწერს. „უკანასკნელი და დამახებრებული პატივი, რომელიც დარჩება ტრეტალუმინს კომ მიკოლოპის სასიზოვად“. 78 სტროფიდან — 5 სტროფი ემება ტრეტალუმინს მუშაობის საგარეოლოში, სხვადე დაბატავა საშენის დასრულებისა და მეფე არჩილის მადლობაზე.

¹¹ ჰერცოგი კონიში ეწოდებოდა ტრეტალუმინს ჩახლეოვი ფლორენციამი და ძალზე ხელსაყრელ პირობებსაც სთავაზობდა. ტრეტალუმინს უარს ეუბნება ჰერცოგს, როგორც ამას შაჰი აღწერს თავის ლექსებში.

¹² შიშოლური (ქართული) გინს ვარდა ანიმობი ლაბარაკობდა თურქულ და არაბულ ენაზე, ჩანდა ამისა, იგი ფლობდა კლასიკურ და ხალხურ პერსიულს, ხოლო ჩვენში დაეუფლა საეკლესიო ენასაც.

¹³ ჩვენ არ ვიცით რატომ არის ლაბარაკი სრული ბიბლიის გამცემი, ან ახალ დედაქმნა, რომელიც შეიცავს ლეის სახარების ტექსტს. ასევე უცნობია, რომელიც ფურცელი დაბეჭდა, შემონახულია თუ არა ეგზემპლარები ამ ნაბეჭდი ფურცლებიდან და როგორია მათი სტამბური ფაქტორა.

¹⁴ 1713 წლის 6 აპრილს შიშოლური ანიმობი ტრეტალუმინს (სადაც მისი სტამბა მუშაობდა) რომელიც და ბერძნულ წიგნებში, პირიქელი ნიბარის, იერუსალიმის პატრიარქს წერდა: ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენს მოყვე შაჰი გაემგზავნა იერუსალიმს და როგორც ვეხებრება დიდი სიძულველის გადაღებით გაიარა ვნა დედაქალაქში, მაგრამ არ ვიცით ჩავიდა თუ არა ჯანმრთელი. რამდენ ხანს დარჩება იქ?

¹⁵ დ. კანტემირი თავის ცნობილ ნაშრომში Istoria Impriului otoman (ბუქარესტი 1876 წ. I გვ. 188-289) წერს: „...რომ დაახლოებით სამი წლის წინათ პოლანდიდან საქართველოში ჩამოიტანეს ბერძნული საბეჭდი და დაბეჭდეს წიგნი, რომელიც შეიცავს ქების ბედნიერი ასულის მარამისს და ვკონებ, რომ მათი მოყვანათ.“

¹⁶ წერილში ტრეტალუმინიდან 1713 წლის 21 იანვარს ანიმობი წერს პატრიარქს პრიზანტის იერუსალიმში, რომ ჯერ ვერ შეისრულეს დაბატება, მიეცათ მასალა ახალი ბერძნული სტამბისათვის, რომელიც კონსტანტინეპოლში უნდა დაეღვათ, მაგრამ „მისი მოყვე შაჰი გაემგზავრა კონსტანტინეპოლში და შეეცდებოდა მალე შეისრულის მისი დავალება.“

¹⁷ როგორც ანიმობი აღწერს პრიზანტს, შაჰი დედაქალაქში დე კარავი ჩავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა „მომე გზა“.


¹⁸ არსებობს დ. კანტემირის მითითება, თითქმის დაახლოებით 1712 წელს თბილისში ბერძნული წიგნები იბეჭდებოდა. ხოლო რაც შეეხება ისტარ შაჰის, იგი აღარ გამოჩენილა. თბილისის წიგნებს, რომელიც 1712—1722 წლებში გამოდიოდა, შაჰის ხელის მოყვრა აღარ აქვთ. წიგნები მისი მოყვეების ხელისმოყვრით გამოდის შაჰის ცვალი იყარება.

რომელიდან თარგმნეს

შალაბიანი მამარამიძე და შანაი ჯიფჩინაშვილი

დ. ყიფშიძე

ბატონი ფი



ვლადიმერ მიაკოვსკიმ თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ დაწერა ლექსები კინოზე ცნობილია, მიაკოვსკი ადრევე დაუახლოვდა კინოხელოვნებას — წერდა სცენარებს, თვითონვე მონაწილეობდა კინოში, როგორც მსახიობი. ეს კიდევ უფრო აღვივებს ინტერესს პოეტის კინოლექსებისადმი.

ლექსში „კინო და ღვინო“ (1928 წელი) ავტორი ორიგინალური სატირული ფორმით დასცინის იმ „ბრძენ და ფილოსოფოს“ კინოსაქმონებს, რომელიც საპქოთა კინოსაგან მხოლოდ კარგ შემოსავალს მოიხზოვნენ. მეორე ლექსი „კინო-სიყვით“, რომლის პირველი სახელწოდება იყო „ჩარლი ჩაპლინი“, მიაკოვსკიმ დაწერა გერმანიაში მეორე გამგზავრების შედეგად 1923 წლის დამლევს.

ვლადიმერ მიაკოვსკი

ორი ლექსი კინოზე

კინო და ღვინო

თქვა ბრძენმა
(ბრძენად ჰყავს ის „სოფინოს“):
„ღვიძლი დგბია —
კინო და ღვინო.
თუმცა
ზოგისთვის
კარგია ღვინო,
მე კი
მსურს
ერთი რამ ვიღიღინო —
დე მომცეს
მეტი მოგება კინომ,
ვიდრე
მოვაჭრეს ამიღიღრებს ღვინო“.
არ ვიცი
ნეტავ,
ვისი ბრალია —
ამბავი გახდა
გრძელი ძალიან.
ფილმებმა
შპვე გაუსწრეს
ღვინოს,
ღვინოზე მდარე
შეიქნა კინო.
თუ ასე წავა
წესი და რიგი —
გულსირვამდე
მიგვიყვანს
იგი.

1928

კინო-სიყვით

ევროპა.
ქალაქი.
მჭრალ თვალთა სინაზე.
მზერაში —
ფერადი წვეთები.
!!!!ჩარლი

ჩაპლინი!!!!
ბჭებს
მრავალ ენაზე
ქუჩაში
აღმართულ სვეტებით.
ლოს-ანჯელოსელი
კაცუნა პატარა
წყალგამმა ქვეყანას
თამაშით ხვდება —
და ყველა,
ვინც ტუჩს,
ან მისმაგვარს ატარებს,
თავს ვეღარ იკავებს,
სიცილით კვდება.
ჯანდაბას
ეს დენდი
კიტრისმსგავს ფეხსაცმლით
და ეს ქალბატონი
მაღალი მკერდით.
ვახშამი.
ქათამი.
სასმელუბებს რა დაცლის...
მოტოციკლს,
მაძებარს
აქ სტვენაც ერთვის.
შიგ თვალში
თუ წარბში,
კუდში თუ ფაფარში —
ნიკაპის ქანქალი
თუ ქელეს თამაში...
ფილმებს თავს დაესხა
მრავალი შიბერი.
შე ბრიყო ევროპავ,
რა მოგდის სიბერიით!
ბატონო,
მუსიო,
სიხითი აწ კმარა,

დაცინით კაცუნა
 მე მწამს, დატყუებულ შარვლით.
 თქვენ — არა,
 მე ვერძნობ, თქვენ — არა,
 თქვენ გდევნით
 სიცილი ამხანაგ ჩარლის.
 ვიწრო შუბლს ატარებთ
 და მუცლის ჩანთას,
 ევროპიელებო,
 პუდრის გდით მტვერი!
 ჩაპლინისეული უღვაში
 დაგრჩათ —
 ესლა ვეროპის
 სახე და ფერი?
 ჩაპლინი,
 შარვალი — გარმონი
 ციმციმებს.
 კოკი,
 თმის ბლუკას
 ქება-ქუდაც ეყოფა.
 კოლოს ფეხთ შეჭურვებს,
 გაეკრა სიცილად
 ფრაკის
 და ფაიფოკოკების ევროპა.
 კინო,
 ვით ნაჩქმეტი გოგონა
 იცინის
 და ჩარლი
 აწყდება
 ქალბატონს უცნობს.
 ევროპავ,
 უყურე,
 გხედებიან დაცინვით,
 დაჯეპი,
 დაწყნარდი
 მსმენელო უცხოვ!
 ჩაპლინო,
 განაგრძე
 საწებლის თქვეფა, —
 და
 არა საწებლით,
 ფილმითაც — არა,
 დრო მოვა,
 ნაცემი
 თვითონვე აღდგება,
 ნაცემი
 გაივლის
 მსოფლიოს შარს.
 ახლა კი
 გობრალი აბრუნე,
 მშობილო,
 აქ სენსაციები
 როდია ჩაშლილი...
 ომი! ალო!
 ისმინე, მსოფლიოვ, —
 დაფრინავს,
 კაერში ნავარდობს
 ჩაპლინი.

1923

თარგმანი
 ასინო ლაფარაშვილისა

ასული საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწე
 ქალთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი
 დიდი ქართველი მამულიშვილის დიმიტრი ყიფი-
 ანის ქალიშვილი ელენე ყიფიანი-ლორთქიფანი-
 ძისა.

ეს შესანიშნავი მანდილოსანი იყო წერა-კითხვის
 გამაგრებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, ჰიუგოს,
 დიუმასა და მოპასანის მთარგმნელი, ქართული თეატრის ერთ-
 ერთი ფუძემდებელი და მრავალი სახასიათო როლის ნიჭიერი
 შემსრულებელი, ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკის“ დამაარ-
 სებელი და ერთგული თანამშრომელი; ქუთაისის ქართული
 გიმნაზიის მზრუნველობის თავმჯდომარე.

ღირსეული აკაკულიშვილი

ლელია მესხი


ელენე ყიფიანი დაიბადა 1855 წლის 19 მაისს, ქვიშხეთში.
 დედამისი ნინო, ჭილაშვილის ქალი იყო. დედის სინაზე და
 მამის პატრიოტული სული მემკვიდრეობით გაღმრფავა ელენესა
 და მის ძმებს ნიკოსა და კოტეს. თვით ელენე ყველაზე
 საყვარელი შვილი იყო მოხუცი დიმიტრისა. „ის იყო ღირსე-
 ული ასული, ღირსეული მამისა, საკუთრათ მისგან გავრდი-
 ლი“ — სწერდა ანასტასია თუმანიშვილი — წერეთლისა
 1894 წელს გაზეთ „იკვალში“ (იკვალი“ 1894 წ. № 45
 გვ. 2,3).

ელენეს უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ მან
 მშობლების ოჯახში საფუძვლიანად შეისწავლა მუსიკა, რუსუ-
 ლი და ფრანგული ენები, რაც შემდეგ დიდად გამოადგა სა-
 ზოგადობრივ მოღვაწეობაში.

დიმიტრი ყიფიანის ოჯახში თავს იყრიდნენ ცნობილი სა-
 ზოგადო მოღვაწეები: ილია, აკაკი, ივანე და ვასილ მაჩაბლე-
 ბი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხევედაძე და სხვ. იმართებოდა სჯა-
 ბაასი მრავალ საკიბორთოთო საკითხზე. ამ ყველა შეხვედ-
 რისა და კამათის მოწმე იყო ახალგაზრდა ქალი და ნოყიერ
 მიწაში ჩათესილ ჯანსაღ მარცვალკივით ელენეს გონებაში
 ფესვს იდგამდა ახალი იდეები და აზრები. სწორედ აქ, ამ
 ოჯახში ითქვა პირველი სიტყვა ქართული თეატრის განახლე-
 ბაზე და მამას შვილებიც ამოუდგნენ მხარში. ელენემ და
 კოტემ მრავალ სპექტაკლში მიიღეს მონაწილეობა (მოლიე-
 რის „ძალად ექიმი“ 1874 წ., „ურინამაინის ქედი“ 1875 წ.,

სუნდუკიანის „პეპო“, შუქაპირის „ვენეციელი ვაჭარი“ 1878 წ. და სხვ.) აღსანიშნავია, რომ „მსხვერპლში“ მათთან ერთად დიდი აკაცე მონაწილეობდა, მან შესარულა მიხეილის როლი. ელენეს მიერ შესრულებულ ანანის როლს „მსხვერპლში“ კარგ შეფასებას აძლევდა „დროება“ (1856 წ. I № 6) ამ სექტაკლების უმარავლესობა საქველმოქმედო იყო. მთელი შემოსავალი იგზავნებოდა ღარიბ სტუდენტსა და ქალთა უფასო სასწავლებლის დასახმარებლად.

1872 წელს, თბილისში ანასტასია თუმანიშვილი — წერეთლის ხელმძღვანელობით დაარსდა „ქათველი ქალების პატარა წრე“. ამ წრეში შედიოდნენ ეკატერინე მელიქიძე (შემდეგ სერგი მესხის მეუღლე), ეკატერინე გაბაშვილი და



ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეები

ელენე ყიფიანი. მათ გადაწყვიტეს ქართულ ენაზე ეთარგმნათ ევროპის სახელგანთქმული მოწოდების ნაწარმოებები და ისინი ქართველი მეციხველისთვის გაეცნენ. პირველი წიგნი, რომლის სახელწოდებაც იყო „თარგმანი საბო საკითხავ თხზულებათა“, დაიბეჭდა 1872 წ. წიგნში შევიდა ვ. პიუგოს „პარიზელი ბიჭი“ (მთარგმნელი ელ. ყიფიანი), როსკლის „უკანასკნელი დღენი“ და სხვა. ამ კრებულის გამოცემას სიხარულით შეეგება იმ დროის მოწინავე ინტელიგენცია. სერგი მესხი წერდა: „... ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენება... ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გამომთარგმნილი და გამოცემულია ქართველი ქალებისაგან. როგორი სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისათვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებში მხოლოდ

სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობდნენ, ჰკიდებენ ხელს ისეთს საქმეს, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოებისათვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ექნებოდა? როგორ არ უნდა გვისაროდეს ჩვენ, რდელვაც ჩვენშია ცნობიანი ისეთი ქალები, რომელნიც მარტო ბაღებში და ლოტის თამაშში არ ეძებენ დროების გატარების საშუალებას და სიამოვნებას“ („დროება“ 1872 წ. № 44).

მაგრამ ელენე მარტო თეატრში და თარგმნით როდი იყო დაინტერესებული. ი. გოგებაშვილმა და ცნობილმა ლიტერატურაში მიზევი მატყვარიანმა მეტად სასიკეთო საქმეს — ქართული სახალხური სიმღერების ჩაწერას და მათ ფორტეპიანოზე გადატანას მოჰკიდეს ხელი. ერთხელ მათ დასმარებისათვის ელენეს მიმართეს... „ყოველ კეთილ საქმეში დაუზარებლმა ქალმა, ეს შრომა სრულს წადილით იყისა... — ბევრი აღაშრომ მოანდობა სიმღერების დაკრასა და ფორტეპიანოზე გადატანას. ნოტების შემოწმებას სინამდვილეთანა და შესწორებას“.

თხზომიანი წლების მიწურულში, ელენე ცოლად გაჰყვა ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეს და საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა.

ანტონი განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო. მან პირველმა დააარსა ქუთაისის გუბერნიის ბიბლიოთეკა, (1873 წ.) რომელიც მდიდარი იყო ხალხისთვის ლიტერატურით. ეს ბიბლიოთეკა ქუთაისის ქართველი ინტელიგენციის ერთგარი საკრებულო იყო, სადაც საზოგადოებრივი აზრი მუშავდებოდა. აქედან არალეგალური ლიტერატურა ვრცელდებოდა სემინარიას და გინეზიის მოწაფეთა შორის. ანტონი, ამავე დროს ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი ნიჭიერი მხახიობი იყო. ასე რომ ამ ორი ადამიანის შეუღლების შემდეგ მათი ოჯახი ქველმოქმედების კერად გადაიქცა.

მაღლე ელენე ირველი შემოიკრიბა ქუთაისელი ქალები: ანა მესხი, ანასტასია ბაქრაძისა, ან. და ევ. ნიკოლაძეები, ეკატერინე ლორთქიფანიძე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. არ გასულა დიდი დრო, ამ პატრიოტ მანდილო-სანთა საერთო თანამშრომლობით დაარსდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. (1883 წ.). ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო ევ. ლორთქიფანიძე. სულ გამოვიდა 11 ნომერი. ქართველ ქალთა ამ პირველი ბეჭდვითი ორგანოს გამოსვლას ფართოდ გამოემხურა იმდროინდელი საზოგადოებრიობა და პრესა. ამ კრებულში დაიბეჭდა ელენე ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი ლუიზა განიორის „მამულის სამაგალითო შვილი“, რომელიც ახლაც ინტერესით იკითხება. ამ მოთხრობის თარგმნას მოწონებით შეხვდა იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც საერთოდ ხელოვნური შემქმნარელობით როდი ეკიდებოდა ქალთა ლიტერატურულ ნამოღვაწერს. ამავე ჟურნალში დაიბეჭდა მოლიორის „პრანკია ქალები“ (თარგმანი ელ. ლორთქიფანიძის).

1880—1885 წლებში ელენე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა როგორც მთარგმნელი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი თარგმანები — ალფონს დოდეს „დოფინის სიკვდილი“ და „შვილის მოვალეობა“ („დროება“ 1881—82 წ.). კომენტარ კარაგე-ლის „ლეიტენანტ ლემალის თავგადასავალი“ (1882). მო-

პასანის „სინანული“ („დროება“ 1884 წ.) — „ცისფერი კაბის ამბავი“ („ნობათი“) და სხვ.

1885 წელს, ელენე კოტე მეხის დასისათვის თარგმნის ალ. დენისას პიესას „დენისი“ (Denise). ეს სპექტაკლი დიდი წარმატებით იდგმებოდა ქუთაისის თეატრში.

1879 წლის 29 აპრილს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელმა თავადანაზურთა კრებამ დაადგინა: ბანკის მოვებთან გადადებულიყო საჭირო თანხა, რათა იგი გამოეყენებინათ ქუთაისში, სათავადანაზურთ სკოლის დასაარსებლად. სკოლის მოწყობა და მართვა-გამაგეობა ეთხოვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 1879 წლის 17 ნოემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განიხილა ეს თხოვნა და გადაწყვიტა ქუთაისში დაარსებულიყო პირველი დაწესებითი ერთკლასიანი სკოლა და ამავე დროს, აერჩიათ ადგილობრივი მურწუნველი კომიტეტი (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 9, საქმე 36, ფ. 236: 237) სკოლა გაიხსნა 1880 წლის სამ თებერვალს. გამგედ დანიშნა ა. ბ. ტუჩინაძე. მურწუნველობის კომიტეტში შედიოდნენ: მურწუნველობის თავმჯდომარეობა მუსხელიშვილი, საზოგადოების წევრები: ელენე ლორთქიფანიძე, სვიმონ ლობიჯიძე, ალექსანდრე ფიფინიძე, ელენეს უფროსი ძმა ნიკოლოზ ყიფიანი, ანტონ და კირილე ლორთქიფანიძეები.

სკოლა გაიხსნა ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეების სახელი ქუთაისში. ანა მუსხელიშვილის ახალციხეში გადასვლასთან დაკავშირებით 1883 წლის იანვრიდან 1890 წლამდე სკოლის მურწუნველობას თავმჯდომარეობდა ელენე ლორთქიფანიძე.

საერთო სხდომაზე სკოლის ავ-კარგაინობაზე მსჯელობდნენ. უმეტეს შემთხვევაში ეს თავგანთა პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის პოლიციას. 1880 წლის 17 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანს სრულიად კონფიდენციალურად მისწერა მეფის მოადგილს მოვარის სამმართველოს გამგის მოვალეობის აღმსრულებელმა პესჩეროვმა — „დიდება მოთავარმა, მეფის მოადგილემ იწება მიიღო ს. პეტერბურგიდან ცნობები შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავადანაზურთ სკოლის სასწავლებლის საბჭოში შედიან ისეთი პირები, რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციონური წრის საქმის გამო ან მასთან ახლოს იდგნენ. ამ პირთა შორის, სხვათა შორის, აღნიშნული არიან: ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი ელენე და ძმა უკანასკნელის ნიკოლოზ ყიფიანი. დიდი მთავრის მეფის მოადგილს ბრძანებით წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1876 წ. ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში, მავრ პოლიტიკური წრის შედგენის გამო... როცა ეს ცნობები მოთავარსართებულს მოახსენეს მისმა უმაღლესობამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც ამ პირებმა სახელი გაიტყვეს პოლიტიკური კეთილსამიერების მხრივ და გამოაშკარავეს ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ეთანხმებან მოთავრობის ნებასა და განზრახვებს, ინება აიადგინა, რომ უფრხულია მათი ხელმძღვანელობის ქვეშ დანარჩუნება დაწესებულებისა, რომელთა ამოცანასაც შეადგენს მცხოვრებთა შორის განათლების გავრცელება“ — სწერს

აკად. შ. ამირანაშვილის აზრით რელიეფზე დავით-გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდია ასახული; ირემს წველის დავითის მოწაფე და თანამოღვაწე ლუკიაწე⁴. ქრისტიანული იდეის თემატიკისათვის ირემების წველის სცენა უცნობია. ქართულ წმინდანთა ცხოვრებაში იგი მხოლოდ დავით-გარეჯელის ცხოვრების სასწავლოდანაა დაკავშირებული. თემის ასეთი განმარტება სწორად მოგანჩნია, თუმცა იგი დასოფილი არ არის წინამოედგობისაგან, რაც ძირითადად თემის VII საუკუნისათვის შეუფერებელ ინტერპრეტაციაში გლინდება. ამ უკანასკნელის გამოსაჯვრებად კი აუცილებელია მთელი ის სოციალურ-პოლიტიკური პირობები მიმოვიხილოთ, რომლითაც ხშირად დავით-გარეჯელის ცხოვრების თემატიკის ჩამოყალიბება-აანხვითარება.

ეროვნულ წმინდანთა ჩამოყალიბების აუცილებლობა წარმოიქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. VIII საუკუნისათვის არაბთა ბატონობის მიუხედავად, საქართველოს სხვადასხვა კუთხე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ საფეხურზე აოცდა. ახლად წარმოქმნილი საშთარობები იძიებდნენ გაერთიანებისათვის⁵. ტაო-თაოჯვრით, რომელიც IX საუკუნისათვის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სასამართლო მომსახურება. ამ მხრივ განსაკუთრებულ აჩივრებას იჩინს. გაერთიანებისათვის ბრძოლა ერთიანული დამოუკიდებლობის და თვითმწყნების ნიშნითაა აღბეჭ-

დლი. საქართველოს ეკლესია თანდათან ემიჯნება სირიულ-პალესტინურ ტრადიციებს და მთლიანი დამოუკიდებლობისაკენ მიიღობს. მოწინავე საზოგადოების მოღვაწეთა მიმართულია იმით, რომ დასაბუთოს ქართული ქრისტიანული ეკლესიის და ეკლესიის დამოუკიდებლობის ფაქტი, რომელიც, მათი აზრით, ბერძნულს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ⁶.

IX—X საუკუნეებში ხდება ძველი ლიტერატურის ახლებურად შეფასება და გადასინჯვა, რაც სირიული და სომხური მონოფიზიტობის ყოველგვარი კვალის მოსპობას ისახავდა მიზნად. ინტენსიურად მიმდინარეობს მთარგმნელობითი მოღვაწეობა. იქმნება რელიგიური ლიტერატურის ახალი ფანჯარი — „მოღაწეობანი“ და „ცხოვრებანი“. იწერება მდიდარი ეროვნული ჰიმნოგრაფია, იწერება იმ ქართველ წმინდანთა „ცხოვრებანი“, რომელნიც X საუკუნემდე მოღვაწეობდნენ ⁷. ეპოქის მოთხოვნების შესაფერისად „ცხოვრებანი“ რელიგიურ-სასწავლებლორეცეპტში არის წარმოდგენილი, რაც წმინდანობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. სახვით ხელოვნებაში იქმნება ეროვნულ წმინდანთა მთელი გალერეა, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია წმ. ნინო და დავით-გარეჯელი სარგებლობდნენ ⁸. ამ წმინდანთა „ცხოვრებანი“ ისტორიულ-რეალური საფუძვლები მათი მოღვაწეობიდან ვიდრე მათი „ცხოვრების“ შექცემულ ძირულად იცვლება და მუცხადდება. ისინი გარდა წმინდა რელიგიური მნიშვნებისა, პოლტიკურ-სოციალურსაც ასახავენ. მათი მიზნების ავტორები ასაბუთებდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, მისი იურიდიულად თანასწორუფლებიანობას სხვა ქვეყნების ეკლესიათა შორის.

X საუკუნის დასაწყისის მხატვრული ძეგლები, რომლებიც ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების ასახვენ, ტენდენციურბრუნს ამჟღავნებენ მათი სასწავლებლო საქმიან ხასხასებში სტრუქტურით. იმისდამიხედვით არის თუ არა ამა თუ იმ თემაში ასრულებული მოღვაწის სასწავლებლო მიზნები, შესაძლებელი ხდება მათი დაჯგუფება: ერთი ჯგუფი მიეკუთვნება იმ ადრეულ ხანას, რომელშიც არა ჩანს ეროვნულ მოღვაწეთა წმინდანობრივი მომენტები. მეორე ჯგუფი ეროვნულ წმინდანთა ფორმების შემდეგ ახალიდ უნდა მიეკუთვნოს, რადგან ისინი ბევრ ამჟღავნებენ ახალი იდეისადმი სრულ დაქვემდებარებას. ასეთ განზომობიერებას ემორჩილება ის ციკლები, რომელიც დავით-გარეჯელის ცხოვრებისადმი მიძღვნილია. ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში დავით-გარეჯელის ცხოვრების ამსახველ სიუჟეტებს პირველად ვხვდებით „უდაბნომოწამეთა“ მთავარი ეკლესიის მხატვრობის პირველ ფენაზე. კომპოზიციები, ძველი აღმოსავლური მხატვრობის ტრადიციების შესვლად, ქმნიან ერთ მთლიან უწყვიტ ზოლს. პირველი კომპოზიციის დაითვისა და ლუკიანეს უდაბნოში მოსვლას წარმოადგენს, ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან და საუბრობენ. თემა ასათრეობა ბუნებრივი, ცხოვრებისეული უზრუნველბით, რომელშიც უკუფენილია მისი აქ მოღვაწეობის საწყისი რეალური ვითარება. მონღღვრო კომპოზიციამ და იმის ქვეშ აღმართული მონუმენტური ჯობის წინ მოლოცვლი დავით-გარეჯელის გამოსახული. არც აქა ჩანს რაიმე სასწავლებლორეცეპტის სტრუქტურა. იგი მხოლოდ საეკლესიო რიტუალს ასრულებს.

შემდეგ კომპოზიციამში მთელი ტანით დგას დავით-გარეჯელი ლავრის პირობითად აღმნიშნული სქემატური გამოქვებულის ფონზე და ლუკიანეს საქმიანობას აკურთხებს. ეს უკანასკნელი მიწას ბარავს. დავით-გარეჯელის მარცხენ მუხლმოყრული პირს გაიჩნევა, რომელიც სამცხენივით ლიტერატურის მიხედვით ლუკიანედ არის მიჩნეული. ახალი მონაცემების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს იგი დავითის მეორე მოწაფედ — დიდოდ მივიჩნიოთ.

მხატვრობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს ციკლი ასახავს




დავით-გარეჯელის „უდაბნოს“ მთავარი ეკლესიის IX ს. მხატვრობის სქემა. დავით-გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი

და განაზოგადებს დავით-გარეჯელის მოღვაწეობის ძირითად მომენტებს. ეს ტენდენცია ყველაზე ნათლად იმ კომპოზიციებში ვლინდება, რომელშიც გარეჯის მონასტრების დამარსებული სამივე მოღვაწე გამოსახული. წყაროს ფართო ნაგავი, რომელიც ლუკიანეს შრომის შედეგად მიიღებება, ხეობა აღწერილ კომპოზიციათა წინა პლანს მთელ სიგრძეზე გასდევს. სიუჟეტის იდეა ახლოს დგას ძველ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ, ერთ-ერთი პოპულარული თემის ინტერპრეტაციასთან, რომლის მიხედვით, მოსე უდაბნოში წყალს აღმოაცენებს, მუხლმოყრელი მწყურვალე ირი წყალს ევაფება. დავით-გარეჯელის ცხოვრების ამ თემაში იდეათა ერთიანობის გარდა, კომპოზიციის თემაც ინარჩუნებს არქაული იკონოგრაფიის გარკვეულ ნიშნებს. კომპოზიციის მარცხენა ნაწილზე, წყლის ნაგაის პირთან მუხლმოყრელი ბერს ამ თემის კომპონენტი მივიჩნევთ და არა ცალკეულ, დამოუკიდებელ კომპოზიციად. ანგარიშსასწავლია, რომ მიუხედავად არქაული თემის იდეათა იდენტურობისა, დავით-გარეჯის „უდაბნოს“ მხატვრობაში, წყაროს აღმოცენების რეალური და არა სასწავლებლო მხარე ასახული.

მიმდებარე თემა დავით-გარეჯელის იერუსალიმში წასვლას ეხება. დავითი მობრძანებია წამოხდენილი, მოსას ეს. წ. „საღარიბო“ (სამოწაურო) საშიში. ხელი გაწვილი ჰქონდა მომდევნო კომპოზიციამი გამოსახულ იერუსალიმისაყენ და მისაყენ მიემართება. ლუკიანე, რომელსაც დავეყვას გარეჯის მონასტრების მოვლა-პატრონობა, მუხლმოყრელი ლოცულობს. ბოლო კომპოზიციამი დავით-გარეჯელის პოლიტიკომბაასახული.

როგორც მხატვრობის ზოგადად გაცნობამ გვაჩვენა, მისი თემატიკის ძირითადი იდეას დავით-გარეჯელის მოღვაწეობრივი, ცხოვრებისეული მხარის დათმობა წარმოადგენს. იგი ჯერ კიდევ არ ატარებს იმ ტენდენციურ ხასითას, რაც მონღღვრო ხანებში მაგაფოდ ვლინდება მოღვაწის სასწავლებლორეცეპტის სტრუქტურაში. ამის გამო, რომ დავითი გამოსახულია წმინდანის აუცილებელ ატრიბუტის — შარავანდელის გარეშე. მხატვრობას აკად. შ. ამირხანაშვილი IX ს. ათარიღებს.

ამავე ტარძის სახმრების ნაყის ჩრდილოეთის კედელზე დავით-გარეჯელის ცხოვრების ამსახველი სამი სიუჟეტი მოთავსებული. ისინი ზემოთ განხილული მხატვრობისაყენ ძირულად განსხვავებულ თემის იდეის სხვა გაკეთბ. მხატვრული მიზნისასახულებით და იკონოგრაფიული ნორმების თაყბიერებებით. თემა უკვე განხილულია რელიგიურ-სასწავლებლორეცეპტში. აქ წარმოადგენია შემთავი კომპოზიციები: ლუკიანე ზის დაბალ სკამზე, წინ შედგეს მოსაწვილი ჭრუჭლი და დავით-გარეჯელის სასწავლებლო მთელენი ირგმ წყალის მეორე კომპოზიციამი ირგმთა ირავი ჯგუფი დადაითისად და ლუკიანის წინაშე. ეს უკანასკნელი ცხრების მიმართავს თხოვნით. რათა სასწავლებლო მოვლენილი იდგომის დაიცვას გველუშპისაყენ, რომელმაც მათ ნუკრი შეუქმანა.



დავით-გარეჯელის «უდაბნოს» მთავარი ცკლესიის 983 წ. მხატვრობის სვეტი დავით-გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი

მესამე თემა გველუმბასი სასწაულებრივად დაწვას ეძღვნება.

ამ ციკლში დავით-გარეჯელის უკვე უჩნდება წმინდანისათვის დამახასიათებელი ძირითადი ატრიბუტები — მარჯვენადედი და გრძელი წვერი, მისი ცხოვრება ამჯერად სასწაულებრივ ასპექტშია წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო თემა — ირმების მოწველა სასწაულებრივ-წმინდანობრივი თვალსაზრისით განხილულ კომპოზიციებშია ჩართული და ამვე დროს თვითონაც ამ იდეის მკაფიო გამომხატველია. (მხატვრობა 983 წლით თარიღდება) სასწაულებრივი მომენტებია ასახული «მოწამეთა» ცკლესიის კედლის მხატვრობაშიც. დავით-გარეჯელი რუსთავის წარმართს ერისთავს ბუბაქარს ხელს «განჯიშელებს». შემდეგ გაეგონა და ქრისტიანად მოაქცევს. მხატვრობა XI საუკუნის ახლო ხანებში თარიღდება.

დავით-გარეჯელის ცხოვრების წევანამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ლიტერატურული ძეგლი X საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება⁹. იგი ხასიათდება დავით-გარეჯელის ერთგულ წმინდანად წარმოდგენის ტენდენციებით. მისი სასწაულებრივი პასაჟები არაგად მისდევს 983 წელს შესრულებული მხატვრობის თემას და გამორიყსული არ არის მის ლიტერატურულ წყაროსაც წარმოადგენს.

განსხვავებული მსოფლმხედველობით შესრულებულ მხატვრობას და ლიტერატურული ძეგლის შეპირისპირება უკლებიან გეგმურად დაგასანათ, რომ დავით-გარეჯელის ცხოვრების იდეის სასწაულოებრივი ასპექტში წარმოდგენა IX — X ს. მიჯნაზე მომხდარა. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ წყობით ამ ხანობით ხდება ქართველ ერთგულ წმინდანთა ფორმირება. მომდევნო ხანის ძეგლებში თემის ძირითადი იდეა უკლებლივ რჩება. მხატვრობი დავით-გარეჯელის ცხოვრების აკოაფ წმინდანობრივ — სასწაულებრივი მხარით წარმართობაზე. იკოლობას განათობის მსოფლმხედველ კომპოზიციებას აღწახება და პერსონაჟთა იკონოგრაფია.

აჩინვის სიონის რელიეფში წარმოდგენილი სიუჟეტის შესწავლამ გვაჩვენებს: თემის უკვირ აკოაფ განათობის აკოაფლი გზა. ლუკინა ერთმს წყობის, რაც თაით-გარეჯელის სასწაულოებრივ წამოთარებლ სიუჟეტში მათითდაა ასახული დავით-გარეჯელის ცხოვრების სასწაულოებრივი მხარე. ეს კანდენციან კი, როგორც წყობით აღნიშნულთ. IX — X ს. მიჯნაზე კალიბდება. ამოიწახ ამ რელიეფის მიწნადა VII ს. პირველი ნახევარის ნაწარმოებათ შეზომილბათ მიგვჩანნა. ამაშივე მიუთითებს რელიეფის შესრულების სილიო და ტექნიკური შეზღობიერ. აკინის სიონის ამ რელიეფის VII ს. ძეგლებთან შედარებამ აჩინაწახ მათი მხატვრობ-პლასტიკური ამოანნების სხვაობა. ეს პირველ რიგში ითქმის მცხეთის ჯვარის რელიეფებზე,

რომლის არქიტექტურული კომპოზიციაც ატენის ტარის პირდაპირ წყაროს წარმოადგენს¹⁰.

მცხეთის ჯვარის რელიეფზე ფიგურათა დაყენებაში ჩანს ელინისტური ხილოგნიების ტრადიციები¹¹. ამავე დროს ისინი ამტკიცებენ ანტიკურ პლასტიკურ ფორმათა აღმოსავლურზე და კერძოდ, სასწაული ხელოვნების ტრადიციებზე გარდაქმნა-გადაზარების მკაფიო ნიშნებს. ეს ძირითადად სხეულის მოდელირების, თმის, წვერისა და სამოსის დრამატიკის პლასტიკურ-დეკორატიულად გამოსახვაში ვლინდება¹². ქრონოლოგიურად მომდებარ ხანის კარგველნი ძეგლები ამტკიცებენ ანტიკური ფორმების და ტრადიციების განდევნის კანდენციებს. მათ მხატვროლ ღირებულებას შესწავლის სიბრტყეობრობა და ხაზოვანება წარმოადგინათ (უსანეთის სვეტი VIII ს., გვილდესის სალხინობელი VIII — IX ს. ს. მიჯნა). თუგუდა რელიეფის სიმაღლე არ განსაზღვრავს მის მანრას. წყობილის (VI ს. მიწურული) რელიეფები, მათი საკადრ მოკულობითი ფიგურების მიუხედავათ. სიბრტყეობრივი არის გადაწყვიტული. ითქმის რელიეფი (826 წ-ით) დაბალია და ფონთან არ არის დაპირისპირებული. მასში დომინირებს სიბრტყეობრივი მანრა. იგი ჯერონაწახ შეთანხმით ერთგავს და ითმის განიოთის¹³. თუგუდა შვიმწინადა ემპირიული მომენტების გაძლიერების გარეაჟული (კვირი¹⁴, რითაჟ აანსხვადდება კიდევ ადრეული ხანის ძეგლებსაგან. ზარხმის «ფრისკალები»¹⁵; ჭითურ ხაკში (886). მიუხედავდ მისი დაბალი რელიეფისა, ხელობისა და აანსაულობითი თითების მომრ-გაალობრათა გამოანობის იკოაფი, ჩანს ახალი მხატვრობ-პლასტიკური ამოანნებისაგან მისწორება. ასითვე მოზანთა-სახაობისაგან სწრაფას ამოანნების მოხანის ჭითურ ჯარზე (973) წარმოდგენილი ჭრისკეს სხეულის მოთლიობის¹⁵. მაგარე, მათ კიდევ არ მოძილება ვითაპარათ პლასტიკური-ის იმ ნაწილში აგაბრზე, რასაც ჭართულმა რელიეფმა მიადწია XI საუკუნეში¹⁶.

ამგვარად ჭართული საუბუბარა თაიის განათობრის ახლებ თანათანობით იძრის პლასტიკურ-მოკოლობით ფორმებს. ეს რთული და ხანგრძლიოი მოკოაფი რამოინით იკახს შიოასაც და თაიის განათობრებს XI ს. პირველ ნახევარში აღწევს. გამოსახულება ხდება მოკულობითი, მალალ რელიეფის უჩნდება მისწავლებათა ფონითან განათობულობებისა და მრავალ ჭინალობათ აფორმებისაგან. შიოთაობი განათობრება XI საუკუნის მოთრე ნაწიერთან საეოკოფი დოგმატიკურ აწრობნაჟი გარეაჟოლ წინადმდებობას აწყდება და ერთგვარათ ჩინძი რჩავა¹⁷.

აკინის სიონის ამ რელიეფის VII ს. ძეგლებთან შეთანხმებამ ანათავ მისი სილიოთა და მხატვროლ ამოანობის სხვა მოზანთასხეობა. იგი მოკულობითობის შეჩინის ტენთინიკობით ხასიათობდა. ლუკინას იდეურა მათითარა არ უპირისპირობდა რელიეფის სიბრტყის, არამოთ სამოსის რბაბრების ერთგვარათ შერბათ ხაზობით წაწყობრება და რრიალობათის რრიაობით სიბრტყეზე. ასით მოზანთასხეობათა ტამინასითაჟიოთა X — XI საუკუნათა მხატვროლი ამოანნისასითის. ასოჟ ითქმის ლუკინას სხეოლის პროპორციებზე, სამოსის დრამატიკის ხასიათზე. ეს ელემენტები VII ს. პირველი ნახევარისათვის დამახასიათებელ პლასტიკურ-დოგმატიკურათა მოკოაფობრივ არანს. სხეოლის მოკოაფობობის შეჩინის ტენთინიკობი მომწინადა ლუკინას თაიის. კანის ჭიედა ნაწილობა და ირმის სხეულის მოდლობრებაში ლუკინას სხეოლის აღწახება. თაიის და კანის მიერთების ერთგვარი გულებრითობი ხენძებრ და განსაკუთრებით წყობის მოკოაფობის კანის ბლოჯა ულუჯათობი მიერთობა. თაიის ანაკოაფიეს პოკოობს ჭითური ხელოვნების იმ ძეგლობში, რ-მომობს აკ პრემიკობობისა და ხაზობრივ უმთხრობის აკოაფის საოი აკის. ანაკოაფასწავრია. რომ ამბორულ ძეგლობათ უმრავლესობა X საუკუნით თარიღდება და მსოლობი მიერწ ნაწილი განკუთუნება XI ს.¹⁸. რაც შეეხება რელიეფებთან,

ჩვენი განხილვის საგანი შედარებით ახლოს დგას ქოროლოს (X ს.) რელიეფთა მხატვრულ ამოცანებთან, მის ფიგურათა სხეულის პროპორციებთან, მაგრამ მასთან შედარებით ატენის სიონის რელიეფი მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით დაბლა დგას.

ჩვენი განხილვის საგანი — ატენის სიონის რელიეფი როგორც თემის იდეურ-არზორიული, ისე მხატვრულ-პლასტიკური ამოცანებით, შედარებით მოგვიანო ხანის მოთხოვნებზე პასუხობს. ამდენად მისი შესრულების დრო IX—X საუკუნეთა ახლო ხანით უნდა განისაზღვროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიეფს ახლავს სომხური მთავრული წარწერა, სადაც ავტორის-თოდოსას სახელი იკითხება. ამ პირს აკად. რუბინაშვილი მართებულად მიიჩნევს რელიეფის შემსრულებელად და აიგივებს ატენის სიონის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ თოდოსასთან. ჩვენს მიერ განხილული რელიეფის თარიღის განსაზღვრა თავისთავად მიუთითებს თოდოსაზე, როგორც შედარებით მოგვიანო ხანის არქიტექტორზე. ეს გარეგნობა კი საკითხს აყენებს მისი, როგორც ტაძრის შეკეთებით — სარესტავრაციო სამუშაოთა შემსრულებელზე და არა თავდაპირველ სამშენებლოზე. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ატენის სიონის არქიტექტორის ვინაობის კვლევა, მაგრამ რამდენადაც მისი სახელი ავტორის ნახარზობაზე ატენი განხილვის საგანს, საჭიროდ ვთვლით ზოგადად მიმოვიხილოთ ატენის სიონის ის რელიეფები, რომლებიც თოდოსას ხელსა და ეპოქას მიეწერება.

ატენის სიონის პირველი მეცნიერული ანალიზი აკად. გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. ავტორი რელიეფებიდან ოთხ ძირითად ჯგუფს გამოყოფს. მათ ტაძრის აშენების სინქრონულად მიიჩნევს და მიუთითებს ორ ავტორზე — თოდოსაზე და გრიგოლზე¹⁹. აქვე აღნიშნავს რელიეფთა სტილისა და ტექნიკური ხერხების სხვაობაზე, არქიტექტურულ ნაგებობასთან დეკორაციული მორთულობის შეთანხმებლობაზე²⁰. ამ მოვლენას კი იმით ხსნის, რომ ავტორებს არ ჰქონდათ სათანადო გემოვნება და ამოცანისადმი მხატვრულად მიდგომის უნარი, მისი დაკვირვებით თოდოსა და გრიგოლი შემოქმედებით და არ ჰქონდათ რელიეფზე, არამედ სხვადასხვა ხანისადაც და ეპოქის შუა მხატვრული ნაწარმებლებთან ახდენდნენ კოპირებას. მკვლევარის აზრით, ამან განაპირობა მათი სტილისა და იკონოგრაფიული ნორმათა სხვაობა.

აკად. შ. ამირანაშვილი ატენის სიონის რელიეფებს ტაძრის მშენებლობის დროისად მიიჩნევს და აჯგუფებს სტილის თავისებურებათა მიხედვით. ძირითად ჯგუფში აქცევს იმ რელიეფებს, რომლებიც სტილითა და შესრულების იერით სომხური ხელოვნების ძველეთან მსგავსებას ამჟღავნებენ და ხასიათდებიან მაღალი რელიეფით, ფიგურების ერთგვარი სიმრუდით, სექნატიკობით, არაპლასტიკურობით. მკვლევარი ამ ჯგუფის რელიეფთა შემსრულებლად თოდოსას და გრიგოსს მიიჩნევს. ამავე ჯგუფს მიაკუთვნებს შედარებით დაბალი რელიეფით შესრულებულსა და ტრანქად გამოკეცილ ნაწარმოებს, რომელშიც ჩვენს მიერ განხილული რელიეფიც შედის. ჰატივოლ ოსტატთა მიერ შესრულებულად მიიჩნევს ჩრდილოეთის კარის ტიმპანზე წარმოდგენილ ირმების კომპოზიციას, ჰართოლ-სასანური ხელოვნების ნიმუშად — დასავლეთის ფასაღზე მოთავსებულ ნადირობის სცენას, სოლო სომურ-სასანურად ამავე ფასაღზე არსებულ სიმურდის (სენ-მურე) გამოსახულებას²¹.

თოდოსას მიჩნევა მეორე პერიოდის შეკეთებით — სარესტავრაციო სამუშაოთა შემსრულებლად თავისთავად გულისხმობს ატენის სიონის ფასაღზე ამ სამუშაოთა კვალის არსებობას. მის წინამორბედ ძეგლთან — მცხეთის ჯვართან შედარებამ და ატენის სიონის ფასაღებთან და დეკორის შესწავლამ ჩვენი ვარაუდი დადასტურა, თუ მცხეთის ჯვარში მკაცრად დადგეილ წყობის პირიზონტალური სწორხაზოვნება, ატენის სიონში ის ტექნიკური ხერხი ნადირობა ირდება, უმე-

დავით-გარეჯის
„უღანბო“. მოწმეთას
მკლესის მხატვრობის
დეტალი, XI ს.



ტესად ფასაღების ზედა მონაკვეთზე და გუმბათის ყველზე. ფასაღების ამ ნაწილზე შეიმჩნევა შემდგომი პერიოდის აღდგენით — სარესტავრაციო სამუშაოთა კვალი. ამაზე მიუთითებს როგორც წყობის ტექნიკაზე განიხილვებზე და განსხვავებული ჯიშის ქვის ხმარება, ისე შემკავშირებელი ხსნარის სტრუქტურის სხვაობაც. საყურადღებოა, რომ ტაძრის ინტერიერში ქვის ისეთივე წესიერი პირიზონტალური წყობა ჩანს, როგორც დამახასიათებელია მცხეთის ჯვართა და მისი დროის წამყვანი ძეგლებისათვის. შეკეთების კვალი ჩანს რელიეფებზეც. მათი მიმართობის ცალკეული ნაწილები ახლად არის გამოკვეთილი და რელიეფთა დაზიანებულ ნაწილებზე მორგებული, რომელთა ერთ ნაწილზე ამოკვეთილია სომხური მთავრული აუბოი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი თოდოსას და გრიგოლის დროს ჩატარებულ სამუშაოთა შედეგი უნდა იყოს. ატენის სიონის რელიეფები სპეციალურ კვლევის მოთხოვნად ამდენად მათ შეეხებოდა კატეგორიულად რაიებს თქმა ანულებდა.

მკვლევართა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ატენის სიონის დეკორაციული მორთულობა არქიტექტურულ სიბრტყეთა მიმართ შეთანხმებლობას ამჟღავნებს. მართლაც, ისინი რელიეფის სხვადასხვაგვარი სტილითა და ფასაღებზე განაწილების თვალსაზრისით შემოხვევით მოხვედრით რელიეფთა იერს ატარებენ. ამით მკვეთრად განსხვავდებიან კიდევ მცხეთის ჯვარის რელიეფთა სიბრტყეზე განაწილების მხატვრული პრიციპებისაგან. აღმოსავლეთის ფასაღზე მოთავსებული ორი კტიტორის სამოსი გლეჯი სიბრტყეებითაა მოღვივებული, დანარჩენი კი ცერადა ჩაჩროლი ფართო, ღრმა დაპიპირებით სრულდება. მათი ერთმანეთის გვერდით დადგენა ერთგვარად არამხატვრულ კონტრასტულობას ქნის. საყურადღებოა კტიტორთა ცრუსახელოებთან მოსასამათა იეთორგ-



რაფია. VI—VII საუკუნეებისათვის ასეთი სამოსი დამახასიათებელია წაღზე მოხდარი და ქონისაყენ გაგანიერული (ჯვარი, რუხი, დმანისი, უკანგორი). ამ ხანით დათარღობული ძველი ძეგლებად გამოჩანის მხოლოდ ატენის სიონი წარმოადგენს, რომლის კტიტორთა ცრუსახელოებიანი მოსასხამის ფორმა სწორია და ამდენად განსხვავდება კიდევ ზემოთა-მოთალონი ძეგლებისაგან. ატენის სიონის მსგავსი ცრუსახელოებიანი ფართო მოსასხამი კი X ს. მეორე ნახევარში გვხვდება ტბეთის, კუმურდოს და ზეგანის კტიტორთა რელიეფებზე²².

ატენის სიონის აღმოსავლეთის ფასადზე ფრინველთა რელიეფის მოთავსება განსხვავდება მეცხვის ჯვარის რელიეფთა მხატვრული ამოკანებისაგან. ატენის ისტატიკის მხატვრულ-პლასტიკური მიზანდასახულება, ტექნიკური ხერხები ახლის დგას X—XI საუკუნეთა სომხურ ძეგლებთან. ანის (989—1001) ტაძრის კამარბარის მორთვებით ვხვდებით ფრინველის რელიეფის ტექნიკურად მსგავს დამუშავებას და იკონოგრაფიულ საესს²³. მისი ფორმები და კული კოგნიციური კვეთით მუშავდება. გეგარდის (აირავანქ) მთავარი ეკლესიის (XII—XIII ს. ს.) სამხრეთის პორტალზე მოთავსებული ფრინველთა რელიეფები კვეთის ასეთადვე ხერხს იმეორებენ, ღონდ მათი მხატვრულ—პლასტიკური ამოკანები პასუხობენ შედარებით მოგვიანო ხანის—მიმწოდებელი შუა საუკუნეების მხატვრულ მოთხოვნილებებს. ატენის სიონის ფრინველთა რელიეფები ამჟღავნებენ შედარებით მოგვიანო ხანის X—XI ს. მხატვრული მოთხოვნილებებისადმი დაქვემდებარებას, ეს, უპირველესად ყოფილია, გამოხატება მათი თითქმის პორტალიფერობისადმი მიდრეკილებებში. ასევე შეიძლება ითქვას ატენის სიონის ზოგიერთი კტიტორზე, რომელთა გლუვი სობრტყვეებით მოდელირება ახლის დგას ახმატის მთავარი ეკლესიის (X ს.) კტიტორთა სახისა და სამოსის დამუშავების ტექნიკურ ხერხებთან, მის მხატვრულ-პლასტიკურ ამოკანებთან²⁴.

თოდსა ატენის სიონის მშენებელ-არქიტექტორად მიჩნეულია ტაძრის სამხრეთის ფასადზე ამოკვეთილი სომხური მშენებელი წარწერის მიხედვით. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ძამოთხური ხასიათის მოსაზრება, რომ ქვეში, რომლებზეც აღინიშნულია წარწერა ამოკვეთილი, მშენებლობაში მებრუნდ არის გამოყენებული. ამის საბუთად ტექსტის ბოლო ნაწილის ნაკლებობა მიუთითებს²⁵. აკად. გ. ჩუბინაშვილმა პირველმა შენიშნა ამ წარწერის ბოლო ნაწილი, რითაც უარყო აკად. ივ. ჯავახიშვილის ძამოთხეა²⁶. ატენის სიონის სამშენებლო სომხური წარწერის ქრონოლოგიური განსაზღვრა აკად. ი. ორბელიანს ეკუთვნის, რაც დიდძელ მიღწეულად ითვლება სამეცნიერო ლიტერატურაში. ბაღვაინის საკტიტორი წარწერის განხილვის დროს მკვლევარს პარალელურ მასალად მოჰყავს ალანისა, ხანიჭავანისა და ატენის სიონის სომხური ეპიგრაფიული ძეგლები. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი მხოლოდ ზოგად ხასიათის განსახლებით გამოყოფილებს და ატენის სიონის სომხურ სამშენებლო წარწერას მისი ისტორიული ან პალეოგრაფიული თვალსაზრისით არ განიხილავს²⁷. აკად. გ. ჩუბინაშვილი იზარტებს ამ თარიღს და აღნიშნულ წარწერას ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის ისტორიულ მხიარვს. თითქმის ამით შემოიფარგლება ატენის სიონის სამშენებლო წარწერის კვლევა. თუ არ გაითვალისწინებთ იმ ცალკეულ გამოცემებს, რომლებიც შეცლომებისაგან არ იყვნენ დაზღვეულნი. სამწუხაროდ, აღნიშნული წარწერა ცალკე კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. მისი პალეოგრაფიული ანალიზი, რომელსაც ქვემოთ შევხვებით, მოვახდინებთ პროფ. ი. აბულაძის დახმარებით და მიითვით²⁸.

ატენის სიონის სომხური სამშენებლო წარწერის VII—X ს. ს. სომხურ ეპიგრაფიულ ძეგლებთან შედარებაში გამოიკვლინა მისი შედარებით მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნები. ჩვენი ყურადღება მიექცია

მოსაზულობამ.

(შ) ემსავსება არუქის²⁸ (867 წ.) და კეარისის²⁹ (1003 წ.) ეპიგრაფიის ამავე ასოთა კონფიგურაციას. მის ტარას³⁰ (840 წ.) წარწერაში აღინიშნულ ასოთა თავი ვერც ერთი და ზეგაწული აქვს, რითაც განსხვავდება, როგორც ატენის, ისე ზემოთ ჩამოთვლილი სომხური ძეგლებისაგან. რ ატენის სიონის სამშენებლო სომხურ წარწერაში გლუვი, მონხრითი თავით ხასიათდება. ამ ასოს მსგავს ფორმას გვხვდებით არუქისა და კეარისის ეპიგრაფიულ ძეგლებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ VI ს. ს. სომხურ მონხრით წარწერაში ვხვდებით ასეთსავე გლუვად მონხრთ თავიან ასოს³¹, ისე, რომ მის ადრეულობა-გვიანდლობაზე კატეგორიულად რაიმეს თქმა არ ხერხდება. თ-ს დამწერლობა განიცდის შემდეგ გვილუკიას. ადრეული ხანის ძეგლებში ასოს ფხვნი ერთ დონეზე დგას, მარჯვენა ფეხთან იკვება მარჯვნი და გამოდის სწორ შვერილად, რომლის ოდენაც მინარა შემინდვაა რიფსილეს (618) ტაძრის წარწერაში. ასოს მსგავსი ფეხის აღარქვდება ჩანს მატარას (640 წ.) ეპიგრაფიულ ძეგლებში. თალიონის (901 წ.) ასოს წარბადული ფეხთა უკვე ზეგიათა აწული³². ატენის სიონის თ ერთავარად ემსახურება როგორც ადრეულ, ისე გვიანო ხანის დამწერლობის ნორმებს. მისი ფხვნი თანაბარ დონეზე დგას და, რაც მთავარია, სრულიად არ გააჩნია მარჯვნი მარჯვენა ფეხთან. აქვე მნელია რაიმეს თქმა მისი სიძველე-სახალზე. ასევე ითქმის და-ს მონხრითაც, რომელიც თუმცა მსგავსებას პულგოს კეარისის წარწერასთან და განსხვავდება მატარას (640 წ.)³³ წარწერის ამავე ასოს თავის მოსაზულობისაგან, მაინც მთლიანად დამაგვერებად ვერ გვაპასურობს VII და X ს. ს. დამწერლობის თავისებურ ნორმებს. შედარებით ხელმისაწიად მასალას გვაძლევს ასო ჯ, რომლის ქვედა მონხრით ნაწილი ატენის სიონის წარწერაში დაბალია და განსხვავდება VII ს. ეპიგრაფიული ძეგლების ამავე ასოსაგან. აქ-ეს ქვედა ნაწილი მარჯვნი მარჯვნი მარჯვნი დაბალია და მარჯვნი მარჯვნი დაბალია და მარცხენა ტოტის მონხრით ნაწილი დაახლოებით მის შუა ნაწილზე უეირდება. ადრეული ხანის ქვედა ძეგლები კ ულ სხვაგვარად იწერება. მარცხენა ტოტის მონხრით მის ქვედა ნაწილს უეირდება ისე, რომ ზოგ შემთხვევაში ოდნავად შემინევა მარჯვნი ტოტის მონხრით ნაწილი. ატენის-ეს მავარ მოსაზულობას მხოლოდ X—XI ს. ს. ძეგლებში ვხვდებით ასეთებია: აგარაკის (941 წ.)³⁴, ანის (X ს.)³⁵, თალიონის (910 წ.)³⁷, კეარისის (1003 წ.)³⁸ ეპიგრაფიული ძეგლები. ადრეული ხანის (VII—VIII ს. ს.) ეპიგრაფიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ხასიათის არა გვხვდება. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს ატენის სამშენებლო სომხური წარწერის გვიანდლობაზე. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევენ ისეთი გარემოებანი, რომელთა გათავალისწინებით, მისი მოგვიანო ხანაში (დ ანა VII ს. I ხან-სეგვარში) ამოკვეთის ვარაუდ შესაძლებელი უნდა ჩანდეს. მეცხვის ჯვარი და ატენის სიონი აგებულია დრისით თითქმის ერთ მონახევრით. მათი მხატვრული ამოკანები, ცხადია, ეპოქისათვის შესაგებ ერთ გარკვეულ მოთხოვნილებებს უნდა დაქვემდებარებულა. ჩვენ მსგავსობაში გვაქვს ძეგლის რა-დორც ტექნიკური თუ სამშენებლო ხასიათის წარწერათა რეგლამენტაცია, ტაძრის ფასადებზე მათი განლაგების ხასიათი.



ქართლის უმაღლესი ხელისუფლების მატარებელ პირთა საკ-
ტიტორო ხასიათის წარწერები მცხეთის ჯვარის ფასადების
თვალსაჩინო ნაწილებზეა დომინირებული. ატენის სიონისაგან
განსვავებები მცხეთის ჯვარზე არ გვხვდება ბუნებრივძვლების
სამშენებლო ხასიათის წარწერა. აკად. გ. ჩუბინაშვილის მო-
საწრებით მისი მხოლოდ ახინძიური გამოსახულებაა მოთავ-
სებული გუმბათის ყელზე. ატენის სიონში კი ამ მხრივ
სრულიად საინაზამდგომოვლენასთან გვაქვს მისი მაკუწყებელი
გვეგვება კტიტოროს პიროვნების და დეაწლის მასუწყებელი
წარწერა, გარდა ერთ-ერთი კტიტოროს მოგვეზე (ფესასც-
მელზე) ამინაკაწრისა, რომელსაც აკად. შ. ამირანაშვილი სტე-
მელის [ადრწერეს [ს ძე] და კითხულობს: "აღნიშნული
ამინაკაწრის საეჭოა ატენის ტაძრის მშენებლის სინქრონი-
ულად ჩაეთვალი. მოგვეზე ამინაკაწრი ასეთა მოსაზრებითა
რადიკალურად განსხვავდება მცხეთის ჯვარის დამწერლობის
კლასიკური ნორმებისაგან. ერთი მხრივდები მგტად არაბუნებ-
რივად უნდა გამოიყურებოდეს, რომ კტიტოროები, რომელთა
ინიციტირებით და სასწრებით უნდა აგებულყო ტაძარი, თა-
ნიცათ ახინძიური პორტრეტების დაგება არც ერთ საკტიტო-
რო წარწერის არ ათავსებენ, მაშინ, როცა არქიტექტორი თო-
რღსა სამკაოდ მონარდილი ზომის სომხური თაბაქურული გვა-
უწყებს მის მიერ ჩაწერილ სამუშაოებზე, სადაც ვკითხულობთ:

[ჟსიღი რისსაყჩხ სოსოიძე ხსენებუმი]

„მე თოდსა, მამუხებელი ამ წმიდა ტაძრისა“.
ფოთლადურ საქართველოში ტაძრის ფასადებზე საკტიტო-
რო წარწერათა და რელიეფების მოთავსება მეცხრად იყო
რეგლამენტირებული. ასეთი ხასიათის წარწერის ტა-
ძარზე მოთავსება, გარდა ფეოდალთა საკტიტორო
დღაწობისა, მათ უფლებებზეც მიუთითებდა. ამიტომც,
ბუნებრივია, მისი უფლება მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლე-
ბის მატარებელ პირებს უნდა ჰქონოდათ. ეს ფორმა ფაქტიურ-
ად მისი უფლებების შემოიქცეებას და იურიდიულად
გაფორმებასაც წარმოადგენდა. თუ ვაგითვალისწინებთ ფეო-
დალური იერარქიის მეცხრად განსაზღვრულ წესებს, მაშინ
ატენის სიონის მშენებელ-არქიტექტორის წარწერა მხოლოდ
გვიანი ხანის ტაძრის აღდგენით — შეკვეთებით სამუშაოთა
მაკუწყებლად უნდა მივიჩნიოთ და არა ტაძრის თავდაპირველი
მშენებლობისა. აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით ტერ-
მინი — „მუნენა“ „მამუხებელი“ ზოგჯერ ახლის აგებას,
ხოლო ზოგჯერ მხოლოდ გადაკეთებას, ან განახლებას და
რესტავრაციას გულისხმობდა.⁴⁰

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მასალის ურთიერთთან შე-
ჯერებაში გვაჩვენა, რომ ატენის სიონის ის რელიეფი, რომელ-
ზეც დავით-გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთი სუვერბა
გამოსახლება, არ წარმოადგენს ამ თემის სახეის პირველ
ცდას. ძველი ემხურება IX—X საუკუნეების საქართველოს
პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ახალ ძვრებს
და ამდენად პასუხობს კიდევ გამოქის მოთხოვნებებს. აღ-
ნიშნული რელიეფი დავით-გარეჯელის ცხოვრების ამსახველი
თემის უკვე განვითარებულ სახეს წარმოადგენს, რომლის შეს-
რულების დრო X ს. ახლო ხანებში უნდა შემოიხარგლოს.
ამას მხარს უჭერს VII—X ს. რელიეფების მათთან შედარ-
ებითი ანალიზი, რამაც გააჩვენა ჩვენი განხილვის საგნის
შედარებით გვიანდელიობა. ამ რელიეფის ავტორი თოდის
იცივე პიროვნებაა, რომელიც დღემდე სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში ატენის სიონის მშენებლად ითვლებოდა. ამიტომ მისი
ჩვენზე VII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ტაძრის ავ-
ტორად-არქიტექტორად, საფუძველს მოკლებულია. თოდისა
და გრიგოლი შემდგომი ხანის საერსტარაციო — აღდგენით
სამუშაოთა შემსრულებლად უნდა მივიჩნიოთ. მათივე შესრუ-
ლებული უნდა იყოს ატენის სიონის რელიეფთა ერთი ნაწილი
და მათ შორის ჩვენს მიერ განხილული რელიეფიც.

1 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948, 23-173.
2 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, 25-126.
3 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948, 23-173.
4 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, 23-126.
5 ბერძენიშვილი, გ. დონდუა, მ. დომბაძე, გ. მელიქიშვილი, 2. გესქია, საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 121—122.
6 Ш. Я. Амрианашвили, История грузинской монументальной живописи, I, 1957, გვ. 37.
7 ა. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, 46-47.
8 Ш. Я. Амрианашвили, История грузинской монументальной живописи, I, 1957, გვ. 38—39.
9 ცხორება და მოკვლეობაა წმინდის მამის ჩუენის დავით გაგვეგვებასა, ასტურელ მოღვაწის ცხოვრების წიგნთა ძველი რე-
დაქციები, 1955, გვ. 145.
10 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948, 23-173.
11 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1944, 23-169.
12 Г. Н. Чубинашвили, იქვე, 160—177, შ. ამირანაშვილი ქარ-
თული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 141—142, გ. ალიბეგაშვილი,
რელიეფური ფილა მონამოებთან, საქ. სრ მეცნ. აკადემიის
შრომები, ტ. XII, № 8, გვ. 512—515.
13 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, 23-215—216.
14 გ. ალიბეგაშვილი, რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან,
საქართველოს სსრ მეცნ. აკად. შრომები, ტ. XII № 8 1951 გვ. 514.
15 გ. ჩუბინაშვილი, 973 წლის ჯვარი იზანიდან, საქართველოს
მეცნიერების შრომები, VI, 1931, გვ. 297—312.
16 გ. ჩუბინაშვილი, X და XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობი-
ლი ქართული მუდური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის, ქარ-
თული ხელოვნება, ტ. II, 1948, გვ. 65—90.
17 Р. Шермлер, Фрагмент «Столбика» из храма Иоанна
крестителя в Шно-Мгвисском монастыре, ქართული ხელოვნება,
5, 1959, გვ. 157, 158.
18 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959, таб. 14—20, 32, 33, 38, 40, 42, 21, 249, 254.
19 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1957, 23-162.
20 იქვე 157.
21 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1944, 23-178—179.
22 ნ. ჩიჯოგავილი, ქართული კოსტიუმი, 1964, გვ. 13.
23 Горос Турамян, Материалы по истории армянской архи-
тектуры, 1958, (სომხურ ენაზე).
24 Архитектура древней Армении, 1939.
25 И. Джавахок, К вопросу о времени построения грузин-
ского храма в Аteni по вновь обследованному эпиграфи-
ческим памятникам. Стр. 277—297. X. В. т. I, вып. III, 1912, СПб.
26 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, гв. 115, 117.
27 И. Орбели, Багаванская надпись и другие армянские
надписи VII века. X. В. т. II, 1913, стр. 105—142.
28 მისივე. Указатель слов... X. В. т. I, 1914, გვ. 96.
29 შ. ეკვათარის შოლაკათი, არმენოლოგიური კრებული, ვა-
ლარშაპათი, 1913, გვ. 358. (სომხურ ენაზე).
30 იქვე ტაბ. 18.
31 იქვე ტაბ. 7.
32 იქვე ტაბ. 7.
33 ხელოვნება ნაციონალური საცავი, სომხური დამწერლობა,
ენა, 1928, გვ. 358 (სომხურ ენაზე).
34 შ. ეკვათარის შოლაკათი, არმენოლოგიური კრებული,
გოლარშაპათი, 1913, გვ. 358.
35 იქვე ტაბ. 7.
36 იქვე ტაბ. 14.
37 იქვე ტაბ. 17.
38 იქვე ტაბ. 13.
39 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, 1944, 23-178.
40 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართვე-
ლოს მუხუმების შრომათა, ტომი VI, 1931, გვ. 282, 283.



„ვინ არის დედა“ ნანა—
ვერკო მახაიაშვილი,
ლი—მელა ლორთქი-
ფანიძე, ნოდარ—ჯორჯი
ქვეციანიძე

ასალგაზრდულმა ტემპერამენტმა მაცურებელი მოხიბლავდა. ზოგიერთი უმნიშვნელო ხარვეზი აპატია.

სექტაკლის რეცესორი კუკური მგავანაძე პიესას თავისუბურად მიუღმა. მან სცენისმოყვარენი სტუდიურ მუშაობაში ჩაბა: თვითველს გარკვეული ამოცანა დაუსახა — ვფიქრობ მოქმედი პირების ცხოვრებისეული ბიოგრაფიის შექმნაზე. ასეთი მიდგომით კოლექტივი ერთი მთლიანი ამოცანის განსასორციელებლად დაირაზმა.

სცენურ პორტრეტთა გაღერებაში ბევრია ისეთი, რომელიც დიდხანს დარჩება მაცურებლის მესსიერებაში. აი, თუნდაც ბეჟანის სახე. სტუდენტმა ჯემალ ჭკუასელმა თავისებურად გაიაზრა იგი. ბეჟანას სახე სისუფელმდე მისულ გულბერყვილობაში დაინახა. ამავე დროს იგი მისი გმირის ადამიანურ დირსებით ახსენებ დიდ კეთილშობილებაც შეივანიშნებს. ასალგაზრდა სცენისმოყვარემ კარგად გაართვა თავი საკამოდ რთულ ამოცანას. მისი ბეჟანა სახესვა გულწრფელობით, აქტიორული შესრულების სიმახილით, სითბოთი.

— წარმოდგენის იდეა, — გვიხარა ჯ. ჭკუასელმა — ჯერ შენ თვითონ უნდა გადელვებდეს როგორც მოქალაქესა და შემოქმედს. შემდეგ კი უნდა მოახებო ეს აზრი გმირთა სცენური ცხოვრების დინებაში ჩაასოვო.

სწორედ ასეთმა მიდგომამ შეუწყო ხელი ჭკუასელს, რომ მისი ბეჟანა დამაჯერებელი გამხდარიყო.

სექტაკლში საინტერესო სახეა აგრეთვე სამხედროს მასწავლებელი, რომელსაც ზურაბ ნინუა ასრულებს. იგი სოფლის რიგითი ადამიანია, ომის მონაწილე, ხასანის ტბასთან ბრძოლაში დაჭრილი, რაიონულმა სამტომ, სამუშაოდ სკოლაში გაგზავნა. მართალია, მისთვის უცხოა პედაგოგობა, მაგრამ იძულებულია მიიღოს დავალება. გაკვეთილზე შესული გამოცდილი მასწავლებლის მოქმედება ომით გამოწვეულ სიმძლევებს გვახსენებს. თავისი ახირებული სიმკაცრის გამო სასაცილო მიდგომარეობაში ჩაჯარდნილი სამხედროს მასწავლებელი მიიწვ რჩება მგრძობიარე ადამიანად. იგი ცდილობს ისეთივე მომთხონე და გოროზი იყოს, როგორც ჯარში, მაგრამ ასეთი მკაცრი დისციპლინის მოთხოვნა სოფლის სკოლაში, ისიც უმცროს კლასებებთან, საოცრად შეუსაბამოა... ამას გრძობს თვითონაც და მოსწავლეებიც. მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითია. მის იქით იფარება კეთილშობილი ბუნება და ასალგაზრდა მსახიობი ამას დამაჯერებლად გადმოცემს.

სწორად აქვს ვააზრებული ჯემალ შუხოშვილს რომანოვის როლი. ჯარისკაცს წარსულში ზელში ვიოლინო ეპყრა, ახლა კი ომმა ააღებინა თოფიცა და ყაყარჯინიც. ვინ იცის კიდევ რამდენი მისთანა შეიკედლა საქართველოში! ეს როლი სხვადასხვა ტრის ძმობის მაღალი გრძობის გამოხმატვლია, მაგრამ იმასაც ვაახსენებს, რომ ომი აღარ უნდა განმეორდეს. ეს ლეიტმოტივი კი მთელ სექტაკლს ახსდევს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დრამატული წრის მიერ დადგმული ეს სექტაკალი საინტერესოა იმიოცა, რომ იგი შექმნილია სტუდენტებისათვის. რეჟისორმა კ. მგავანაძემ ყველა ის დირსება, რომელიც ამ უკვე საკამოდ განხაურებულ ნაწარმოებს გააჩნია, მაცურებლამდე მიიტანა.

„მე ვხედავ მუსე“ სტუდენტ-სცენარისმოყვარეთა კარგი სექტაკალია, რომლის აღმზარდლობით და შემოქმედებითი

სასკოლო თეატრი

თამარ გომარათელი

სხელი შრიფტით ნაბეჭდი აფიშა იუწყება — „მე ვხედავ მუსე“. ინსტიტუტის დრამატული კოლექტივი წარმოდგენას მართავს. დარბაზი აივსო. დიუფო წარმოდგენა, ჯერ კანტიკუნტად გაისმა ტაში, მაგრამ ინტერესი თანდათან იზრდება. სტუდენტები უშუალოდ, ბუნებრივად თამაშობენ... სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედმა კოლექტივმა წარმატება მიიპოვა ამ სექტაკლით. მაცურებელი არ მოუწონებდა მათ განხაურებული სექტაკლის მიზანბა-განეორებას. მსახიობ-სტუდენტთა უშუალოდ, გმირთა ბუნების ხალხად გადმოცემის უნარმა,

ძალა ოდნავადაც არ მცირდება იმით, რომ მას არაპროფესიონალი მსახიობები ახორციელებდნენ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედმა კოლექტივმა სპექტაკლი წარმატებით დასძლია და რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივების დათვალეობებში პირველი ადგილი მიაოვა.

ინსტიტუტის სპექტაკლის სანახავად მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ საკავშირო დათვალეობების მთავარი რეჟისორი ი. შაპიი და რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი ცალკიდი: „დიდი ტაქტი გამოიჩინიათ, ბევრი გიმუშავიათ, რომ ბევრას ასე გაეცადამიანებიათ. მთელი მოქმედება ბევრანაშუა გადატანილი. ამ სახეს ბევრი აღიქვამს, როგორც ავადმყოფს, მაგრამ თქვენს სპექტაკლში ეს გამოსწორებულია.“ — უთქვამთ მოსკოველ შემფასებლებს.

ჭირის გადაწყვეტილებით სტუდენტთა სპექტაკლს პირველი ადგილი ზედა და პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა. ამასთანავე აღიძრა შუამდგომლობა რესპუბლიკის პროფკავშირების წინაშე, რათა ინსტიტუტის თეატრალური კოლექტივისათვის სახალხო თეატრის წოდება მიენიჭებიათ.

რესპუბლიკის თვითმოქმედ კოლექტივებს შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დრამატული კოლექტივი საბჭოთა კავშირში უკვე მეორეა, რომელიც „სტუდენტთა სახალხო თეატრის“ წოდებას ატარებს.

საქმის სიყვარულმა, მონდობებამ, ძიებამ სტუდენტთა ეს წრე პროფესიულ დონემდე აამაღლა. ეს კი დიდი წარმატებაა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის ნიჭიერმა კოლექტივმა წარმოადგინა აგრეთვე ნ. არეშიძის პიესა „ეინ არის დედა?“

ეს სპექტაკლი ჩვენს სინამდვილეს ასახავს. სახელწოდება მიგვანიშნებს პიესის პრობლემაზე. ვინ არის შვილისათვის ნამდვილი დედა: ის ვინც იგი შობა, თუ ვისაც მისი აღზრდისათვის, მომავალი ბედნიერებისათვის უნაგარო შრომა გაუწევია? პიესაში წინა პლანზე წამოწეულია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ორი ხასიათი: ნანა — გულთბილი, კდმამოსილი, წინდახედული ქალიშვილი და ლია — უზრუნველ ცხოვრებით განებივრებული, მოდას აყოლილი, უნებისყოფი გოგონა.

თავდაპირველად ავტორმა ისინი ხასიათის სხვადასხვაობის მიუხედავად, კარგ მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებაში გვაჩვენა. ერთი მისწრაფება დაუსახა — სწავლითა და შრომით მოიპოვონ ბედნიერი მომავალი. სიყვარულზეც ხომ ერთად ოცნებობენ. ლიასათვის უცხო არ არის ნანასა და ნოდარის მეგობრობა. ნოდარი ნანას საქმრობა და ლია მთელი არსებით თანაუგრძობობს მათ. მაგრამ ერთი — ღალატობს სიყვარულს, მეორე კი — მეგობრობას, და ნოდარი და ლია შეუღლდებიან.

ხანმოკლე გამოდგა ნაუცბათევი შეუღლება. ლია მეორედ იხოვდება, პირმშოს კი საბავშვო სახლში მიიბარებს. ნანას კი შეეცოდება ბიჭუნა, პატარა თამაშს საბავშვო სახლიდან გამოიყვანს და გადასწევებს თითონ აღზარდოს.

მაყურებელი ცხოველი ინტერესით ადგენებს თვალს მოქმედების მსვლელობას. ნანა — ამადარი დედაა, ლია კი —



„მე ვხედავ მშენს“. ქეთო — მ. ლორთქიფანიძე, სოსოია — რ. მიულა, დავითი — ჯ. კვაჭანიძე

მშობელი დედა. ვინ არის მათში ნამდვილი დედა? იქნებ თამაშის გულში ვიპოვოთ გამოძახილი? თამაში უკვე საკმაოდ მოზრდილია. შეთხვევით გაიგებს თავის ვინაობას და აღმზრდელის უნაგარო სიყვარულისა და დიდი ამაგის მიუხედავად, მინც იღუმალი ხმა მშობელ დედასთან შესახვედრად იწვევს. დგება საბედისწერო ჟამი. და, აი, გამოაქვს მსჯავრი — იგი მშობლიურ სიყვარულს აღმზრდელში პოულობს.

დამდგეულმა კოლექტივმა მიიწოდო და საქმის სიყვარული გამოიჩინა. რეჟისორმა კ. მგავანაძემ დაარღვია ჟანრის კანონი, წავიდა გაბედულ, საინტერესო გადაწყვეტაზე. მელოდრამატული ნაწარმოები დრამად აქცია. რეჟისორმა მკაფიოდ გამოკვეთა სახეები, შექმნა ბუნებრივი, მძაფრი კონფლიქტები, გმირები ჯანთავისუფლად ყაბი პათოსისაგან და ადამიანურად ამტკცველა. მან მეკლხისის ფონზე შექმნა საინტერესოდ გააზრებული მიზანსცენები: ლია და ნოდარი განმარტოებით უსხედან მაგიდას, ნანა სახმელის შემოსატანად გადის. ისმის საცეკვაო მულოდია, ნოდარი საცეკვაოდ იწვევს ლიას. ტანგოს ნელ რიტმში უეგრად წარმოშობილ „გრძნო-

სცენა სპექტაკლიდან „ვინ არის დედა“





„მე ვხედავ მუსს“. ხატია — ვ. მახარაშვილი, სოსოია — რ. ჩიჩუა

ბას! მომავლის გეგმებსაც უმორჩილებენ. მიატოვონ ნანას, თბილისი და ლენინგრადში გაემგზავრონ თავიანთი ბედნიერების დასაგვირგვინებლად.

მიძევა ნანას ხეადრი. იგი გასწირვს ახლობელმა ადამიანებმა. ამიტომ გარბის ქალაქიდან, მაგრამ ძალებს იხევეს, პირველ სიყვარულს შეცდომად ჩათვლის და კვლავ უბრუნდება ქალაქს. იგი მოწოდებულია სწავლისა და შრომისათვის.

აი, ასეთ ადამიანად ხატავს ვ. მახარაშვილი თავის სცენურ გმირს, იგი უშუალო, ხალასია. ძნელად დასაყვიყვარია სცენა, სადაც ნანა — ვ. მახარაშვილის წინაშე პირშავად წარსდგება მოა (მ. ლორთქიფანიძე). ნანას სახეზე იღვვებს მრისხანება, იგი არ მოელოდა მეგობრისა და საკმროს დალტას და გულის სიღრმიდან წამოსული მძაფრი ამოძახილით მიმართავს: — „წადი გამშორდი!“ მ. ლორთქიფანიძემ შესძლო წინადაუხედავი ქალის ცხოვრებისეული ჩვევების ჩვენებით სუსტის ნებისყოფის ქარაფშუტა ადამიანი წარმოესახა.

წოდარის როლს ჯონი ჭკაჭანიძე ანასხიერებს. მისი წარმატება შესამჩნევია. ჭკაჭანიძის თამაშში ზომიერებასთან ერთად იგრძნობა შემოქმედებითი გაბედულება. მსახიობს აქვს ცვაფიერ მტყვევება, სასიამოვნო ხმა და კარგი სცენური გარეგნობა.

თ. ჭუთათელაძისათვის თამაშის როლი დებიუტია ინსტიტუტის თეატრის სცენაზე. მან შექმნა მართალი და გულწრფელი ახალგაზრდის სახე.

ასევე მოწონებას იმსახურებს თ. ჩიჩუა (რეზო). რეზო ნანას მეუღლეს და ღრმა ადამიანური განცდით თანაგრძობის მას თამაშის აღზრდაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია

მსახიობის მიერ თამაშისადმი გამოვლენილი მშობლიური სიბოძო.

წარმოდენის ერთ-ერთი გამოკვეთილი პერსონაჟია საბავშვო სახლის დირექტორი. გ. დალაქიშვილმა შესძლო ამ გმირის ხასიათის სწორად და დამაჯერებლად ჩვენება.

სპექტაკლი „ვინ არის დედა?“ საინტერესო გამოვიდა. ინსტიტუტის დრამურის კოლექტივი მუდამ ახლის ძიებაშია. გ. ქეღაბაიანის პიესა „სიყვარულის მსხვერპლის“ დადგმა ორკესტრის თანხლებით გადასწვივებს, რაც არც თუ ისე ხშირია თვითშემდეგი კოლექტივების ცხოვრებაში. ინსტიტუტის ორკესტრისათვის საინტერესო მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა მ. ჩირინაშვილმა, რომელიც დიდის გულსხმიერებით მოვიდა ახალგაზრდების თხოვნას. სპექტაკლის მუსიკალურმა გაფორმებამ დიდად შეუწყო ხელი პიესის წარმატებას. აღსანიშნავია ერთ-ერთი ნომერი — იეზიდის ცეკვა, რომელიც ახალგაზრდების საყვარელ სიმღერად იქცა.

„სიყვარულის მსხვერპლი“ ნახა გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა, აკაკი ხორავამ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს. აღსანიშნავია, რომ დრამურის წვერი კონსტანტინე მეალობლინივილი, რომელიც „სიყვარულის მსხვერპლში“ გივის როლს ასრულებდა, კინომოღვაწეებმა ამ სპექტაკლით გაიცნეს და ფილმში „უდაბლოშო სასიძო“ მთავარი როლი მისცეს. სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის დადგმველს, კ. მჭავანაძეს. კარგად არიან შერჩეული შემსრულებლები, ჩანს, რომ დადგმველს მათთან გულდასმით უმუშავია.

ინსტიტუტის დრამატულმა წრემ დადგა აგრეთვე კიტა ბუარჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“. პიესის საუკეთესო დადგმისათვის საკუთველის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წრის წევრები სივლემებით დააჯილდოვა. ამ სპექტაკლით ინსტიტუტის სცენისმოყვარენი მახარადის, წაღვუნისის, ჩოხატაურის კოლმეურნეთა წინაშე წარსდგნენ.

ჩოხატაურის რაიონში სტუდენტები მიიწვიეს სააკეთობილო გზის სახეიმო გახსნაზე. დრამატულმა წრემ სიფელ ზოდის მშრომელთათვის წარმოადგინა „მკაცრი ქალიშვილები“. გვიან დაემდეგ გაგრძელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩამოსულთა შეხვედრა.

წლების მანძილზე ინსტიტუტის დრამატულმა კოლექტივმა მტავანაძის ხელმძღვანელობით მაყურებელს უჩვენა იდეურად და მხატვრულად გამართული სპექტაკლები: მ. ბარათაშვილის „მარინე“, ნ. ჭკაჭანიძის „100-ათასი“, ა. აფხაიძის მონტაჟი „რევიზორის მოლოდინში“, ვ. მოდებაძის „მედარი ნაბიჯი“, ავ. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავს“. დასის შემოქმედებითი მიღწევა იყო აგრეთვე გ. ნახუციანიშვილის პიესა „ბორის ძნელადე“, რომელიც 1960-1961 წლის სეზონში წარმოადგინეს. ეს სპექტაკლები რეჟისორული გადაწყვეტით და მსახიობთა ნიჭიერი შესრულებით გასცდნენ სცენისმოყვარეთა ჩარჩოებს და მაყურებლის აღიარება მოიპოვეს.

თანდათანობით იზრდება ინსტიტუტის თეატრალური კოლექტივი. იგი ყოველწლიურად იკრფეს თავის გარშემო ნიჭიერ ახალგაზრდობას. გარდა სტუდენტობისა, მასში გაერ-

თანებულია ინსტიტუტის თანამშრომლებიც: ვ. არაბული, ლ. ჭარბაძე (ორივემ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დამთავრეს და აქვე მუშაობენ). მათ შორის უნდა აღენიშნოთ კუდაგოე გიორგი დალაქიშვილი, რომელიც 43 წელიწადი გაატარებდა ემსახურება სევნას. 1959 წელს საზოგადოებრიობამ მას სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე გადაუხადა. იგი დღესაც წარმატებით მონაწილეობს სპექტაკლებში, შესრულებული აქვს 180-მდე როლი.

ინსტიტუტის კლუბში ახალგაზრდობის მზიარული ჟრინულია. რეპეტიციების დამთავრების შემდეგ არ იშლებიან, სპექტაკლის ტექნიკურ მოხაზებზე ფიქრობენ. ყოველ წევრს თავისი ფუნქცია აქირია: სატავენ დეკორაციები, მაგნიტოფონის ფირზე წერენ მუსიკას, ფარდის ახდის წინ კულისებსა თუ საკრიზიოროში ყველა კურადლებითაა: ერთმანეთს ეხმარებიან სხვისი გაკეთებაში, უსწორებენ მართულობას. ანტრაქტის დროსაც კი სცენაზე ტრიალებენ, გადააქვთ დეკორაციები, ბუტაფორია, საჭირო საგნები.

მათ წრეში მუშაობისას დაიწყო წერა დრამატურგმა ნ. ხუნწარია. იგი ამავე ინსტიტუტში სწავლობდა და მსახიობობასთან ერთად საფესტივალო კულტურებსაც ქმნიდა. მასვე ეკუთვნის მოზღაურალა წრის კონფერანსიესათვის გამართული კულტები, სოფლის მუშაკებთან შესახვედრად დაწერილი მისალმება და განა სხვა ცოტა რამ? შემდეგში მისი პიესები „შესანიშნავი სამეული“ და „მეგაიფ“ თბილისის მუსიკალური კომედიის საინტერესო სპექტაკლებად იქცა. ეს პიესები რესპუბლიკის ფარგლებსაც გასცდა და წარმატებით მიღეს მოსკოვისა და ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრებში. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნ. ხუნწარია ფილანთონისაშიც. იგი რამდენიმე სასტრანო ფელეტონის ავტორია.

ინსტიტუტის დრამატულ წრეში თიდა ფეხი ჯოდრძი ბერიანიშვილიც. სწავლასთან ერთად ნაყოფიერად მუშაობდა დრამატულ კოლექტივში. სიყვარულით ანსაიერება მთელ რიგ როლებს. წარმატებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და სპეციალობასთან ერთად დრამატურგისაც მოჰკიდა ხელი. დაწერა პიესა „გასის ტირილი“, რომელიც გასო ყუმიბაშვილმა სოხუმის სახელმწიფო თეატრში დადგა. მისივე „ტირიფები მტკარის პირას“ თელავის სახელმწიფო თეატრმა განახორციელა. პიესამ მოწონება დაიმსახურა, იგი ითარგმნა და დაიდგა თბილისის შაუმიანის სახელობისა და ბაქოს ახუნდოვის სახელობის სახელმწიფო თეატრებში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დღემის მეურნეობის სასწავლო ბაზაზე მექანიზატორის სპეციალობა არაერთმა კუბელმა ახალგაზრდამ მიიღო. ინსტიტუტის დრამატულმა კოლექტივმა კუბელი ახალგაზრდობაც მოიზიდა, კუბელთა მონაწილეობით კუბა-საბოთა კავშირის მეგობრობის ამსახველი დრამატული მონტაჟი მოაშუადა. ქართველმა მომღერლებმა რამდენიმე ქართული პოპულარული სიმღერა შესწავლეს კუბელ მოსწავლეებს. კუბელი ახალგაზრდობის სამშობლოში გამგზავრებასთან დაკავშირებით დიდი საღამო მოეწყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, კონცერტი ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად იქცა. ინსტიტუტის სტუდენტებმა და კუბელმა ახალგაზრდობამ ერთად შესარუ-

ლეს ცეკვა „ფერხული“, „ფაცატი“, რომლებსაც დიდი მოწონება ხვდა.

გასულ წელს, არდადეგების პერიოდში, ინსტიტუტის თეატრალური კოლექტივი სავასტროლოდ იმყოფებოდა კახეთის რაიონებში. გაიშარა საღამო-კონცერტი ახტალაზე. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუხეებიდან ჩამოსული დამსვენებლები წარმოადგენისა და კონცერტისათვის მადლობას უხდენდნენ სტუდენტებს.

